საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№43 (467)
28 ნოემბერი - 4 დეკემბერი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## მეორე ტური: რატომ დუმს დასავლეთი? 6

ტრამპი ყოველთვის ხაზს უსვამს იმას, რომ ვაშინგტონს აღარ სურს, ჭკუა ასწავლოს სხვა ქვეყნებს და მათ საშინაო საქმეებში ჩაერიოს

# არჩევანი ნათელია 2



## დღეს არჩევნებია, რა მოხდება ხვალ?

## მას არაფერი არ ეხერხება რეპრესიების, დატერორებისა და შურისძიების გარდა

## ჟურნალისტი, ეთიკა და დაუსჯელობის სინდრომი 5



## მთავრობის არაადეკვატურობა და ივანიშვილის პასუხისმგებლობა 3



„ბატონო ბიძინა, გატყუებენ, ისევ გატყუებენ და, თუ ამ ტყუილებს აჰყვებით, გამოვა, რომ მოსახლეობას უკვე ისინი კი არა, თქვენ მოატყუებთ, რადგან სიტუაციის გამოსწორების პირობა სწორედ თქვენ დადეთ“



## «სიტყვით მკვლელობა», რომელიც სააკაშვილის დავალებით «რუსთავი 2»-მა ჩაიდინა 10

## რომი წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას ცდილობს, ევროკომისია წინააღმდეგია 17




## უკრაინის ხელისუფლება მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის ეკლესიას 20-ზე მეტი საეკლესიო ობიექტის წართმევას უპირებს 16



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რევოლუციური სცენარის რეალიზაცია, დიდი ალბათობით, სამოქალაქო დაპირისპირებამდე ან სულაც ომამდე მიგვიყვანს. თუ სალომე ზურაბიშვილი დამაჯერებელი სხვაობით მოიგებს და სადამკვირვებლო მისიები დაადასტურებენ, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, საუბარი გაყალბებაზე, ისევე, როგორც 2016-ში, აქტუალობას დაკარგავს; მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს — „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველი მობილიზებულია, როგორც არასდროს: პირველად 6 წლის განმავლობაში მან დაიჯერა, რომ შეიძლება გაიმარჯვოს და, თუ სააკაშვილი, უბრალოდ, ეტყვის: ახლა დავიშალოთ და საპარლამენტო არჩევნებს დაველოდოთო, ეს დიდ იმედგაცრუებასა და გაღიზიანებას გამოიწვევს. ამიტომ „ნაცმოძრაობის“ ბელადი ნებისმიერ შემთხვევაში შეეცდება, ეს აკუმულირებული ენერგია გამოიყენოს.**

# დღეს არჩევნებია, რა მოხდება ხვალ?

**დღეს, 28 ნოემბერს, ქართველმა ამომრჩევლებმა ქვეყნის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არჩევანი უნდა გააკეთონ. ბოლო დღეებში „ქართულმა ოცნებამ“ მომხრეების მობილიზება მოახდინა და მისი ლიდერები ამბობენ, რომ სალომე ზურაბიშვილი აუცილებლად გაიმარჯვებს. მიუხედავად ამისა, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ყორანივით დასტრიალებს მარადიული კითხვა: „რა მოხდება თუ...?“ და ვაშაძის გამარჯვების შესაძლებლობაზეც მსჯელობს.**

ქართული პოლიტიკის ქვაკუთხედი არა ეკონომიკა, არამედ ფსიქოლოგიაა. ქართველებს ემოციურობა და ნეგატიური მოვლენების კატასტროფიზაციის ტენდენცია გვახასიათებს, ამიტომ „ვაშაძის გამარჯვება“ კოლექტიური ცნობიერებისთვის „ნაცების დაბრუნების“ იდენტურია.

სააკაშვილს, სავარაუდოდ, სწორედ ამის იმედი აქვს და მიიჩნევს, რომ, **ვაშაძის წარმატების შემთხვევაში, ქვედა და საშუალო რგოლის პარტიული აქტივისტების, ძალოვანებისა და მაღალჩინოსნების აღქმაში „ქართული ოცნება“ მიმავალი ძალის იმიჯს დაიმკვიდრებს, ხოლო „ნაცმოძრაობა“ — მისი შემცვლელის. შესაბამისად, დაიწყება ასობით ადამიანის გადასვლა მის მხარეს, რაც ივანიშვილის პარტიის მარცხს საპარლამენტო არჩევნებში ან რევოლუციური სცენარის ფარგლებში გარდაუვალს გახდის.**

„ქართული ოცნება“ არ წარმოადგენს გარკვეული იდეოლოგიითა და ღირებულებებით შედუღაბებულ ერთობას, შესაბამისად, საკმაოდ დიდია საფრთხე, რომ ის „მოქალაქეთა კავშირის“ ან „აღორძინების“ მსგავსად ჩამოიშლება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ნაციონალების“ გზა ხელისუფლებისკენ, ისევე, როგორც 2003-ში, ვარდებით იქნება მოფენილი. **ათიათასობით ადამიანი ხელისუფლების სათავეში „ნაცმოძრაობის“ დაბრუნებას სასიკვდილო საფრთხედ განიხილავს.** ეს ძალიან სერიოზული რესურსია, ის შეიძლება გამოიყენოს როგორც ივანიშვილმა, ისე რომელიმე სხვა ლიდერმა, რომელიც შეეცდება, შეტევაზე გადასული სააკაშვილის მთავარი ოპონენტის როლი მოირგოს. ამგვარად, მმართველი პარტიის ნაწილობრივი ან თუნდაც სრული ჩამოშლა „ნაცმოძრაობას“ უკონკურენტო მდგომარეობაში მაინც ვერ გადაიყვანს.

ზოგს უკვირს, რატომ მიანიშნებს გამუდმებით სააკაშვილი რევოლუციურ სცენარზე, როდესაც არჩევნებში გამარჯვების მეტ-ნაკლებად რეალური შანსი მიეცა. საქმე ის არის, რომ არჩევნები და პროცედურების ეტაპობრივი გავლა მის ოპონენტებს შესაძლებლობას მისცემს, წინააღმდეგობის ფორმები მოძებნონ და შესაბამისი სტრუქტურები ჩამოაყალიბონ, ხოლო რევოლუცია პოლიტიკურ დაფას „ამოაყირავებს“ და სუფთა ფურცლიდან დაწყების შესაძლებლობას მისცემს, ისე, როგორც ეს 2003-ში მოხდა. სააკაშვილს მაშინაც უფრო მეტად იზიდავდა რევოლუცია, ვიდრე პარლამენტში „მოქკავშირთან“ და „აღორძინებასთან“ ერთად ჯდომა საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში და ოპოზიციის აზრის გათვალისწინება ამ არჩევნების შემდეგ (მას, სავარაუდოდ, მოიგებდა). რევოლუცია ამ კონტექსტში სრული დომინირებისა და ოპონენტების დათრგუნვის ინსტრუმენტია.

პრეზიდენტის უფლებები შეზღუდულია და ვაშაძის მიერ პარლამენტისა და მთავრობის დაშლა, იურიდიული ბარიერების გამო თითქმის შეუძლებელია, მეტიც, მას შეიძლება ზოგიერთი თანაგუნდელის შეწყალებაც კი გაუჭირდეს. ნაციონალები ამას აცნობიერებენ და ამ კონტექსტში **ძალზე მნიშვნელოვანია ვაშაძის ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუ, როდესაც მან „დოიჩე ველეს“ კორესპონდენტს შესთავაზა, წარმოედგინა, რა მოხდება, თუ მის მხარდასაჭერად ქუჩაში 50 ან 100 ათასი ადამიანი გამოვა. მსგავსი მინიშნებები ფიქსირდება სხვა ნაციონალების გამოსვლებშიც. ისინი, სავარაუდოდ, „სომხური სცენარის“ ამოქმედებას გეგმავენ.** იმ პერიოდში, როდესაც **ნიკოლ ფაშინიანი** პრემიერმინისტრი გახდა, მაგრამ მისი ოპონენტები ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ საკანონმდებლო ხელისუფლებას, კონფლიქტურ სიტუაციაში ფაშინიანს პარლამენტთან ათიათასობით მომხრე მიჰყავდა და მათმა ზეწოლამ საბოლოოდ აიძულა დეპუტატები, ვადამდელ არჩევნებს დათანხმებოდნენ.

**თუ სააკაშვილის რადიკალური ოპონენტები დაინახავენ, რომ ნაციონალები ქუჩის „დაპყრობას“ ცდილობენ, დიდი ალბათობით, იმავეს გაკეთებას შეეცდებიან. ამის გამო შეიძლება მოხდეს ინციდენტები, მსგავსი იმისა, როგორიც 2013 წლის თებერვალში ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოხდა.** 1920-იანი წლების გერმანიის არ იყოს, გამორიცხული არ არის, ორივე მხარემ „მოიერიშე რაზმების“ მსგავსი სტრუქტურების ჩამოყალიბება დაიწყოს და შსს-ს მათი გაშველება, სავარაუდოდ, გაუჭირდება; მაგრამ, კარგად რომ იმუშავოს, ბრძოლა ქუჩის გაკონტროლებისთვის მაინც მრავალ უსიამოვნებას დაუკავშირდება.

განსხვავება საქართველოსა და სომხეთს შორის არის ის, რომ მეზობელი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა არ აღიქვამდა ნიკოლ ფაშინიანს, როგორც ჯალათსა და მკვლელს. ზოგს ის არ მოსწონდა, მაგრამ არ ჰქონდა იმის განცდა, რომ მის შესაჩერებლად ქუჩაში უნდა გავიდეს და დაპირისპირებაში ჩაებას. საქართველოში სიტუაცია განსხვავებულია — „ნაცმოძრაობას“ მოსახლეობის ნაწილში მკვეთრად ნეგატიური იმიჯი აქვს, მას სასიკვდილო საფრთხედ აღიქვამენ. თუ სააკაშვილი დაჯდება და ორი წელი დაელოდება საპარლამენტო არჩევნებს, მისი ოპონენტები (ივანიშვილი იქნება თუ სხვა) ამ განწყობას გამოიყენებენ, ამიტომ ის შეეცდება, პროცესი დააჩქაროს. საბაბი როგორც ვაშაძის გამარჯვების, ისე მისი მარცხის შემთხვევაში ექნება — თუ წინა პლანზე არჩევნების გაყალბების თემა არ გამოვა, ნაციონალები, ძალიან მაღალი ალბათობით, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გამართვას მოითხოვენ. შედარებით დახვეწილი კომბინაცია შეიძლება გაითამაშოს „ევროპულმა საქართველომ“, რომლის ლიდერებმა უკვე თქვეს, რომ არჩევნები მაჟორიტარულ ოლქებში უნდა გაუქმდეს დაუყონებლივ და არა მომდევნო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ეს იდეა თითქმის გარანტირებულად მოიზიდავს „მცირე პარტიებს“, რომელნიც, მათი სისუსტის მიუხედავად, ფართო ოპოზიციური კოალიციის შესაქმნელად საჭირო „სამშენებლო მასალას“ წარმოადგენს. საინტერესოა, რომ მაჟორიტარული ოლქების გაუქმებაზე გასულ კვირას **დავით უსუფაშვილმაც** ისაუბრა. თუ შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი იზოლირებულია და მას მთელი პოლიტიკური სპექტრი და სამოქალაქო საზოგადოება უპირისპირდება, დასავლეთმა შეიძლება რეჟიმის შეცვლას მხარი დაუჭიროს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის გახსენება, როგორ ყალიბდებოდა თანდათან ეს განცდა უკრაინული „მაიდნის“ დღეებში — დასკვნით ეტაპზე სავსებით ნეიტრალური დამკვირვებლებიც კი მიიჩნევდნენ, რომ **იანუკოვიჩი** იზოლირებულია და რაც შეიძლება მალე უნდა წავიდეს.

მიხეილ სააკაშვილის ოპონენტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ის შეეცდება „მაიდნის“ ტექნოლოგიები გამოიყენოს, ხოლო ხელისუფლებას შეიძლება არ ეყოს პოლიტიკური ნება იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს, თუ საზოგადოებასა და ძალოვან ორგანოებში „ქართული ოცნების“ ავტორიტეტი კიდევ უფრო მეტად დაეცემა. თუმცა **არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რომელმაც შეიძლება „მაიდნის“ დრამატურგია არიოს და საქმე ფრონტალურ სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანოს.** უკრაინელი საზოგადოება, სომეხის მსგავსად, „მაიდნის“ მონაწილეებს სასიკვდილო საფრთხედ არ აღიქვამდა. ამასთანავე, უკრაინისგან განსხვავებით, ამ ეტაპზე არ შეინიშნება დასავლეთის მხარდაჭერა რევოლუციური სცენარის მიმართ და ის, სავარაუდოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გამოჩნდება, რომ ხელისუფლება მარცხდება. **2003-ში დასავლეთის მხარდაჭერა წარმოადგენდა მთავარ რესურსს, რომლის მეშვეობით „რევოლუციონერები“ მოქმედ ხელისუფლებას აშანტაჟებდნენ და მისი წარმომადგენლების გადაბირებას ახდენდნენ. დღეს ეს რესურსი არ არსებობს და მისი დეფიციტის შევსებას „მიხომაიდანი“, სავარაუდოდ, ძალისმიერი მოქმედების ხარჯზე შეეცდება.**

ნაციონალები ამბობენ, რომ გასულ კვირას გამოქვეყნებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც (სავარაუდოდ) სააკაშვილი ამბობს: „შეგვიძლია გადავავადოთ ამათი დამხობა ან დროზე დავამხოთ... უნდა გადავიყვანოთ რევოლუციურზე“, მონტაჟია. ამაზე მედიასა და სოციალურ ქსელებში აზრთა სხვაობა აღინიშნა, თუმცა საგულისხმოა, რომ თითქმის არავის, ცნობილი ნაციონალების ჩათვლით, არ უთქვამს, რომ მიხეილ სააკაშვილს ამის თქმა არ შეეძლო, იმიტომ, რომ მას სხვა პოზიცია აქვს და ა.შ. ეს, ალბათ, ბუნებრივია, რადგან საზოგადოების უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი სწორედ ამაზე ფიქრობს.

**სააკაშვილის მთავარი პრობლემა არის ის, რომ არ იცვლება, ამიტომ ძნელი წარმოსადგენი არაა, რას გააკეთებს ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში — მას არაფერი არ ეხერხება რეპრესიების, დატერორებისა და შურისძიების გარდა**



სააკაშვილის მთავარი პრობლემა არის ის, რომ არ იცვლება, ამიტომ ძნელი წარმოსადგენი არაა, რას გააკეთებს ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში — მას არაფერი არ ეხერხება, რეპრესიების, დატერორებისა და შურისძიების გარდა.

რევოლუციური სცენარის რეალიზაცია, დიდი ალბათობით, სამოქალაქო დაპირისპირებამდე ან სულაც ომამდე მიგვიყვანს. თუ სალომე ზურაბიშვილი დამაჯერებელი სხვაობით მოიგებს და სადამკვირვებლო მისიები დაადასტურებენ, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, საუბარი გაყალბებაზე, ისევე, როგორც 2016-ში, აქტუალობას დაკარგავს, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს — „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველი მობილიზებულია, როგორც არასდროს. პირველად 6 წლის განმავლობაში მან დაიჯერა, რომ შეიძლება გაიმარჯვოს და, თუ სააკაშვილი, უბრალოდ, ეტყვის, — ახლა დავიშალოთ და საპარლამენტო არჩევნებს დაველოდოთო, ეს დიდ იმედგაცრუებას და გაღიზიანებას გამოიწვევს. ამიტომ „ნაცმოძრაობის“ ბელადი ნებისმიერ შემთხვევაში შეეცდება, ეს აკუმულირებული ენერგია გამოიყენოს.

**დღეს საქართველოს ბედი წყდება — ჩვენ ვაკეთებთ არჩევანს არა მხოლოდ ორ კანდიდატს შორის, არამედ დემოკრატიასა და დიქტატურას, წარსულსა და მომავალს შორის. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პასუხისმგებლობა მოვლენების შემდგომ განვითარებაზე საზოგადოების თითოეულ წევრს ეკისრება. სახლში დარჩენა და პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის ტოლფასია, ამიტომ — ყველანი არჩევნებზე!**

დღეს საქართველოს ბედი წყდება — ჩვენ ვაკეთებთ არჩევანს არა მხოლოდ ორ კანდიდატს შორის, არამედ დემოკრატიასა და დიქტატურას, წარსულსა და მომავალს შორის. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პასუხისმგებლობა მოვლენების შემდგომ განვითარებაზე საზოგადოების თითოეულ წევრს ეკისრება. სახლში დარჩენა და პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის ტოლფასია, ამიტომ — ყველანი არჩევნებზე!

28 ნოემბერი — 4 დეკემბერი, 2018 წელი. №43 (467) | 3

**ნათქვამია: „ზღვა კოვზით დაილიაო“ და სულ არარაობას, რაც კეთდება, ესეც კარგია. მთავარია, ასეთი „ასმილიონიანი აქციები“ არ იყოს მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირება, რეალურად იყოს მიმართული კონკრეტული საჭიროებების გრძელვადიანად გადასაჭრელად და ადგილობრივი საკითხების მოგვარებაში მათ პერმანენტული ხასიათი მიეცეს.**

## ჩაკუჩსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მთავრობის არაადეკვატურობა და ივანიშვილის პასუხისმგებლობა

**საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ჩაფლავების შემდეგ მართვის სადავეები მთლიანად ბიძინა ივანიშვილმა აიღო ხელში. აკი თავადაც თქვა ექსპრემიერმა, — მიშვებული მქონდა ყველაფერი და დროზე მოვბრუნდი პოლიტიკაში, თორემ შემდეგ მობრუნებასაც აზრი არ ექნებოდაო. მმართველი პარტიის თავმჯდომარემ პირობა დადო, ერთი წელი მაცადეთ და თვითონ ნახავთ, სასწაულს მოვახდენო.**


გიორგი ქობულია


მიხეილ ბატიაშვილი


ივანე მაჭავარიანი

**მაჭავარიანმა, რომელმაც უკვე შეადგინა 2019 წლის ბიუჯეტი და 2020 წლის პრიორიტეტებიც განსაზღვრა, ზუსტად იცის, რომ არც ამ წლის და არც მომავალი წლის ბიუჯეტში თავისუფალი 2.5 მილიარდი ლარი არ არის. კიდევ ერთი გარემოება გვინდა აღვნიშნოთ, რომელსაც თითქმის არ ახსენებს მთავრობა: როგორი იქნება ხელფასი ამ ახალ სამუშაო ადგილებზე (თუ ისინი შეიქმნა, რაშიც, გულახდილად გეტყვით, ეჭვი გვეპარება) და როგორი იქნება სამომხმარებლო ფასები, რომლებზეც ეს ხელფასი იხარჯება?**

ენდო თუ არა ივანიშვილის განცხადებას ამომრჩეველი, დღის ბოლოს უნდა გამოჩნდეს. ძველი გვარდია, ანუ 2012-იანელები ელოდებიან, რომ მათ მივიწყებულ ღვაწლს გაიხსენებენ და კეისარს კეისრისა მიეზღვება, თუმცა ძალიან რთული იქნება ამის გაკეთება, რადგან ექვსი წლის განმავლობაში თბილ ადგილებზე მოკალათებული გვამები იოლად არაფერს დათმობენ. რაც მთავარია, მათ მხარეს ფინანსური რესურსია, ის რესურსი, რომელიც სწორედ ამ ექვსი წლის განმავლობაში დააგროვეს და ახლა უშურველად დახარჯავენ, დაგროვებულის გაზრდის შესაძლებლობა რომ შეინარჩუნონ.

ამას გარდა, ივანიშვილს ერთი უზარმაზარი პრობლემა აქვს: იმის მიუხედავად, რომ მან რამდენჯერმე გაიმეორა, ახალი მინისტრთა კაბინეტი ძალიან მომწონს, მამუკა ბახტაძემ კარგი გუნდი შეკრაო, ფაქტია, რომ ჩვენი მთავრობის მინისტრები რეალობას აცდენილები არიან. სხვას რას უნდა დავაბრალოთ ის არაადეკვატური განცხადებები, რომლებსაც ყოველდღიურად აკეთებენ.

**განათლების მინისტრით** დავიწყოთ. საერთოდ, განათლების სფერო ცალკე და დიდი კრიტიკის თემაა, მაგრამ ახლა ერთ კონკრეტულ გარემოებაზე ვისაუბრებთ. **მიხეილ ბატიაშვილმა** განაცხადა, მშობლებთან და სპეციალისტებთან შეხვედრისას არაერთხელ დაისვა საკითხი, რომ სკოლებში **იაკობ გოგებაშვილის** „დედა ენა“ უნდა დაბრუნდესო. სიმართლე რომ ითქვას, ამას მოითხოვს პრაქტიკულად ყველა პირველკლასელის მშობელი და ლოგიკურიც არის — „დედა ენა“, რომელზეც ჩვენ გავიზარდეთ, მართლაც ყველასთვის საყვარელი, მისაღები და, რაც მთავარია, ბავშვების სწორად აღზრდაზე მისადაგებულია. ჰოდა, მინისტრს ეს იდეა რომ მოეწონა, ძალიან კარგია, მაგრამ...

ამ საკითხზე ვიმსჯელებთ და მერე გადავწყვეტთ, რამდენად მიზანშეწონილია გოგებაშვილის „დედა ენის“ სკოლებში დაბრუნება, რამდენად გასცემს პასუხს ის 21-ე საუკუნის მოთხოვნებს, — განაცხადა ბატიაშვილმა და, სიმართლე გითხრათ, ამ განცხადების შემდეგ სწორედ გოგებაშვილის „დედა ენაში“ ნასწავლის თქმის სურვილი გაგვიჩნდა: „აი თითი“!

**ინფრასტრუქტურის** მინისტრმა **მაია ცქიტიშვილმა** ბოლო კვირაში ორი საწარმო გახსნა და ამის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა: მიმდინარე პროექტებით კმაყოფილი ვარ, ყველა რეგიონს ასი მილიონი ხმარდება, რაც ქვეყნის აღმშენებლობაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანსო. ასი მილიონი ყურს კარგად ჭრის, თუმცა, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, რეგიონისთვის ასი მილიონი ლარი, პრაქტიკულად, არაფერია. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ცქიტიშვილის განცხადება ზედაპირულია და ახლავე აგიხსნით რატომ. **ავიღოთ, მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, რომელშიც ცხრა მუნიციპალიტეტია გაერთიანებული — ფოთი, ზუგდიდი, აბაშა, მარტვილი, სენაკი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხობი და მესტია. გამოდის, რომ თითო მუნიციპალიტეტს დაახლოებით 11 მილიონი ერგო და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ მუნიციპალიტეტებში შემავალი სოფლების რაოდენობა, საერთო ჯამში, ხუთასს უკაკუნებს, მივხვდებით, რომ დახარჯული თანხები ზღვაში წვეთია.** შესაძლოა, თქვათ: რაღა მაინცდამაინც ისეთ რეგიონს მიადექით, ცხრა მუნიციპალიტეტს რომ მოიცავსო?! კი, ბატონო, ქვემო ქართლზე ვთქვათ თავისი შვიდი მუნიციპალიტეტით — რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, წალკა და თეთრიწყარო. ამ შვიდ მუნიციპალიტეტს 350 სოფელი აქვს და მოსახლეობა ნახევარ მილიონს აჭარბებს. არც ამ რეგიონს ჰყოფნის ასი მილიონი და არც რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს, რომელშიც, მართალია, ოთხი მუნიციპალიტეტია (ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი) გაერთიანებული, მაგრამ საქმე 255 სოფელთან გვაქვს, რომლებსაც ასი მილიონი ვერანაირად ვერ ეყოფა და მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წელს თითო სოფელს ხუთ მილიონს დავპირდით. პრინციპში, ჩვენ კი არ დავპირდით, დაჰპირდნენ. სამართლიანობისთვის იმასაც ვიტყვით, რომ **ნათქვამია: „ზღვა კოვზით დაილიაო“, და სულ არარაობას, რაც კეთდება, ესეც კარგია. მთავარია, ასეთი „ასმილიონიანი აქციები“ არ იყოს მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირება, რეალურად იყოს მიმართული კონკრეტული საჭიროებების გრძელვადიანად გადასაჭრელად და ადგილობრივი საკითხების მოგვარებაში მათ პერმანენტული ხასიათი ჰქონდეთ.**

გაუგებრობაშია მოხვედრილი **ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი.** ეს კაცი ან მართლა ვერ ხვდება, სად არის და რა თანამდებობა უკავია, ან ვიღაცამ უთხრა, რაც გინდა, ის ილაპარაკე, ფინანსებში ისე ვართ გაჭედილი, მაინც არაფერი გვეშველებაო. გასული კვირის დასაწყისში მაჭავარიანმა ამაყად გამოაცხადა: საქართველოს მოსახლეობა ასეთი მდიდარი, როგორც ახლა არის, არასდროს ყოფილაო. მერე, ალბათ, ვიღაცამ უთხრა: დიდი სისულელე თქვიო და გამოასწორა — ნახევარ მილიონ სამუშაო ადგილს შევქმნით, ოღონდ 2025 წლამდეო. ანუ, მაჭავარიანმა გათვალა, დათვალა და ამ მოწვევის პარლამენტის (რომლის უფლებამოსილების ვადაც 2 წელიწადში იწურება) დრო რომ არ ეყო, ვერც მომდევნო მოწვევის პარლამენტის დროში ჩაეტია და კიდევ იქით გადაგვიწია დასაქმების პერსპექტივა. ასეთი გაწელვის მიუხედავად, დავითვალეთ და... რბილად რომ ვთქვათ, გვატყუებთ, ბატონო ივანე, და ახლავე აგიხსნით რატომ.

**ხელისუფლების დათვლითა და გათვლით, ერთი სამუშაო ადგილის შექმნას საქართველოში დაახლოებით 35 ათასი ლარი სჭირდება; შესაბამისად, ნახევარი მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას — 17.5 მილიარდი ლარი. გავყოთ ეს რიცხვი შვიდ წელზე (იმ შვიდ წელზე, რომლის განმავლობაშიც უნდა შეიქმნას ეს ადგილები) და გამოდის, რომ ყოველწლიურად საიდანღაც უნდა მოვიტანოთ 2.5 მილიარდი ლარი, რათა შევქმნათ დაპირებულ-დაანონსებული სამუშაო ადგილი. თანაც, ერთიანად რომ არ მოგვიხდეს სამუშაო ადგილების შექმნა და ეტაპობრივად გადავანაწილოთ, ყოველ წელიწადს დაახლოებით 70 ათასი ადგილია შესაქმნელი და, როგორც აღვნიშნეთ, 2.5 მილიარდი ლარი დასახარჯი.** არადა, მაჭავარიანმა, რომელმაც უკვე შეადგინა 2019 წლის ბიუჯეტი და 2020 წლის პრიორიტეტებიც განსაზღვრა, ზუსტად იცის, რომ არც ამ წლის და არც მომავალი წლის ბიუჯეტში თავისუფალი 2.5 მილიარდი ლარი არ არის. კიდევ ერთი გარემოება გვინდა აღვნიშნოთ, რომელსაც თითქმის არ ახსენებს მთავრობა: **როგორი იქნება ხელფასი ამ ახალ სამუშაო ადგილებზე (თუ ისინი შეიქმნა, რაშიც, გულახდილად გეტყვით, ეჭვი გვეპარება) და როგორი იქნება სამომხმარებლო ფასები, რომლებზეც ეს ხელფასი იხარჯება?**

რეკორდსმენად შეგვიძლია **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი — გიორგი ქობულია** მოვნათლოთ. როგორც იქნა, მან საქართველოსთვის მოიცალა და მინისტრად დანიშვნის შემდეგ ზედიზედ რამდენიმე დღე გაატარა ჩვენს ქვეყანაში. ეს უკვე მიღწევაა. მინისტრი რომ გახდა, სრულიად საქართველო ეძებდა და ვერ პოულობდა. თურმე პირადი საქმეების მოსაგვარებლად ყოფილა წასული და სამინისტრო ზუსტად ისე იყო მიშვებული თავისუფალ ცურვაში, როგორც ახლა ეროვნული ვალუტაა. ჰოდა, ქობულიამ გვამცნო: ლარს სერიოზული არაფერი სჭირსო და...

„ლარის გაუფასურება ფსიქოლოგიური სტრესის შედეგია და, როგორც კი ეს სტრესი შენელდება, ეროვნული ვალუტა შესაბამის ნიშნულს დაუბრუნდება. უკვე დაწყებულია ეს პროცესი და ნახავთ არჩევნების დასრულების შემდეგ... თუ ჩვენი პროგრამა შევასრულეთ, მაშინ ლარი შეიძლება ზედმეტადაც გაძლიერდეს“. ზუსტად ეს სიტყვები თქვა ქობულიამ და უნებურად გიორგი გაჩეჩილაძე გამახსენდა, რომელმაც საპარლამენტო ტრიბუნიდან იკითხა: ლარი დოლარს რომ გაუსწრებს, თუ ხართ მზად, ჭარბი ლარი ხმარებიდან ამოიღოთო? გარდა ამისა, ცოტა ადრე ფინანსთა მინისტრმა მაჭავარიანმა ბრძანა: ლარის გაუფასურება სპეკულაციის შედეგი იყოო. ეს უფრო ახლოა სინამდვილესთან და ქობულიამ რა გვითხრა: მავანნი, ვისაც ლარით სპეკულაციაზე მიუწვდება ხელი, ისინი იყვნენ სტრესში? **ბატონო ქობულია, სტრესის რა გითხრათ და, იმას თუ გვეტყვით, რას აპირებს საიმისოდ მთავრობა, რომ „სტრესში“ აღარ ჩავვარდეთ (გასაქცევად არ გაიხადოთ საქმე) და მერე „დასტრესილებმა“ ლარით რომ აღარ ისპეკულანტოთ?**

ქობულიამ, აგრეთვე, გვითხრა: მერე რა, ამ გაუფასურების გამო პროდუქტებზე ფასებმა მოიმატა, სამაგიეროდ, ტანსაცმელზე დაიკლოო. ნაციონალების პერიოდში იყო ფრთიანი ფრაზა: „ასფალტი ვჭამოთ?!“ და, ბატონო გიორგი, **ტანსაცმელი ჭამოს ხალხმა?** რას ჰქვია, ფსიქოლოგიური სტრესის შედეგი?! **იმას რით აგვიხსნით, რომ, როგორც კი ხელისუფლებამ მოინდომა, არც სტრესს შეუშლია ხელი და არც სხვა ფაქტორებს, ისე ამოსდეს ლაგამი გაქცეულ-გაჭენებულ ლარს?! ახლა არ თქვათ, ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, სტრესი რომ მოხსნოდა მოსახლეობასო. პირიქით, პიკი ახლაა და, წესით, ლარის პიკიც ახლა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად, დაიჭირეთ, გააჩერეთ და საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ლარის თამაში მაღალჩინოსნების მოწყობილ-ჩაწყობილი სპექტაკლი იყო და ამ თამაშ-თამაშში ვიღაცამ დიდძალი ფული იშოვა.**

ჰოდა, ამას ვამბობთ, **ბატონო ბიძინა, ერთ წელიწადში რომ აპირებთ ყველაფრის დალაგებას და პირობას დებთ, გამოვასწორებ მინუსებსო, ამ არაადეკვატურ განცხადებებს და მათ ავტორებს თუ ადევნებთ თვალს ან თუ გეუბნებათ ვინმე, რომ, რასაც თქვენი მინისტრთა კაბინეტის წევრები საუბრობენ, მოწყვეტილია რეალობას?!** სიმართლე გითხრათ, ძალიან გვეეჭვება, ვინმემ ამ სიმართლის თქმა გაგიბედოთ და დარწმუნებულები ვართ, ზუსტად ისევე გიხატავენ ლამაზ ფერებში ყველაფერს, როგორც არჩევნების პირველ ტურში დაგიხატეს და, სანამ ფაქტის წინაშე არ დადექით, მანამდე გჯეროდათ, რომ ლიბერალების მიერ თავსმოხვეული საშინაო და საგარეო პოლიტიკა არჩევნებს მოგაგებინებდათ. ბატონო ბიძინა, გატყუებენ, ისევ გატყუებენ და, თუ ამ ტყუილებს აჰყვებით, გამოვა, რომ მოსახლეობას უკვე ისინი კი არა, თქვენ მოატყუებთ, რადგან სიტუაციის გამოსწორების პირობა სწორედ თქვენ დადეთ და ხალხი უკვე მეორედ გენდოთ. დაპირებების ერთხელ არშესრულება შეიძლება ხალხმა შემთხვევითობას მიაწეროს, მაგრამ პირობის მეორედ შეუსრულებლობას უკვე ან სრულ არაკომპეტენტურობაში, ან შეგნებულად მოტყუებაში ჩაგითვლის. იმედია, ეს ყველაფერი კარგად გაქვთ გაცნობიერებული.

**ბესო ბარბაქაძე**

ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოს ხელისუფლებას კი არჩევნების მეორე ტურის წინ გაახსენდა „მესამე სექტორის“ თავხედობაც და ისიც, რომ თურმე მედიასა და არასამთავრობოებს ყველაფრის უფლება არ ჰქონიათ და ისინიც ქვეყანაში არსებულ ძირითადად კანონებს უნდა დაემორჩილონ.**

# «ავტორიტეტის» გაგება ქართულად და «გასაოცარი დემოკრატიის» ბოლო გაელვება?

## ბიძინა ივანიშვილს, როგორც ჩანს, ეს «გასაოცარი დემოკრატია» თავისი შედეგებით დიდად უკვე აღარ ეპიტნავება

**ის, რაც დღეს მოხდება საქართველოში, გინდ ისე დასრულდეს ეს მოვლენა და გინდ ასე, მაინც უნიკალური მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, თანაც მრავალი კუთხით უნიკალური! თუკი 2018 წლის 28 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს გრიგოლ ვაშაძე მოიგებს, ეს უნიკალური იმით იქნება, რომ გამოდის, საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტისთვის 6 წელი საკმარისია, გაუგონარი ტანჯვა-წამება, დამცირება და შეურაცხყოფა დაივიწყოს, მანიაკებს დანაშაული „ჩამოაწეროს“ და მათ კვლავ ჩაუგდოს ხელში ქვეყნის მართვის სადავეები. იმედია, ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება, მაგრამ თუნდაც სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვოს, დასაფიქრებელი და გასაანალიზებელი, ამასთანავე გასაკვირი და გასაოცებელიც მაინც ბევრი რამ დარჩება.**

დავიწყოთ იმით, რომ ბევრ „სალომისტს“, ანუ „ქართული ოცნების“ აქტივისტს ძალიან გაუხარდა, როდესაც ტელეკომპანია „იმედმა“ მის მიერ დაკვეთილი წინასაარჩევნო კვლევის შედეგები გამოაცხადა. ამ კვლევის მიხედვით, სალომე ზურაბიშვილი 53 პროცენტს, ხოლო გრიგოლ ვაშაძე 47 პროცენტს იღებს არჩევნებში. **თუ გავითვალისწინებთ, რომ მეორე ტურში არჩევნებზე მისვლის მსურველთა რაოდენობა გაცილებით მაღალია, ვიდრე პირველ ტურში იყო და, თუ დავუშვებთ, რომ არჩევნებზე მოსახლეობის 70 პროცენტი მაინც მივა, მაშინ გამოდის, რომ გრიგოლ ვაშაძეს მოსახლეობის 34 პროცენტი მისცემს ხმას,** ამიტომ მართლა მაინტერესებს, რა არის ამაში ასეთი სასიხარულო, აღსაფრთოვანებელი და ტაშის დასაკრავი? კი, გასაგებია, მათი ფავორიტი მოიგებს საბოლოო ჯამში, მაგრამ განა დასაფიქრებელი არ არის ის, რომ საქართველოს ყოველი მესამე მოქალაქე ისევ ჯალათების მხარეზეა? საბოლოო ჯამში გადავურჩებით ხელისუფლების ერთ შტოში ჯალათებისა და მანიაკების მოსვლას, მაგრამ განა ეს არ ტოვებს დიდ საშიშროებას, რომ ისინი ამას 2020 წელს მოახერხებენ? **მაშ, რა უხარიათ ასე ძალიან სალომესა და „ოცნების“ მომხრეებს?** ერთადერთი შედარებით დამამშვიდებელი ვარიანტია სალომე ზურაბიშვილის დამაჯერებელი გამარჯვება 65 პროცენტზე მეტით! მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტელეკომპანია „იმედი“ სწორედ ამ კანდიდატის მომხრეა და 53/47 შედეგი სწორედ ამ ტელეკომპანიის მიერ დაკვეთილმა კვლევამ აჩვენა, ესე იგი, ზურაბიშვილის „დიდი ანგარიშით“ მოგების იმედი დიდად არც თვითონ აქვთ.

რა ხდება და რამ გამოიწვია ეს ყოველივე? პასუხი ძალიან მარტივია: ახლა, მხოლოდ არჩევნების მეორე ტურის წინ რომ გაახსენდა „ქართულ ოცნებას“ „ნაციონალური მოძრაობის“ საზარელი დანაშაულები, ახლა რომ აავსეს ამ მხეცობის ამსახველი ვიდეო თუ ფოტოკადრებით ტელევიზიები, ინტერნეტი, ბილბორდები, ნუთუ მთელი 6 წელიწადი ეს არ ახსოვდათ? საქმეც ეგაა, **როდესაც 6 წლის განმავლობაში ჯალათებსა და მანიაკებს თვითონ უწოდებ „პოლიტიკურ ოპონენტებს“ და იჭერ პოზას, რომ „ძალიან კონსტრუქციული“ ხელისუფლება ხარ, მერე უკვე მართლა სასაცილოა, როდესაც ხალხსა და ამომრჩეველს მოუწოდებ, ბოროტებას, წამებას, დამცირებასა და შეურაცხყოფას ხმას ნუ მისცემო.**

თუ ეს ძალა, ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართული ოცნების“ მესვეურთა თვალში „ბოროტება“ და „მანიაკობა“ იყო, მაშინ ეს ასეც უნდა ეთქვათ (ეჭვი გვაქვს, ყველას თუ არა, ზოგიერთს მაინც უნდოდა ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა, მაგრამ ამერიკელებმა და ევროპელებმა დაუშალეს. ისინი ხომ მიშასა და ნაცების გამომზრდელ-მფარველ-ქომაგები იყვნენ და არიან — რედ.). ახლა კი ხალხი ძალიან გასაგებ ენაზე გიპასუხებს: აკი, 6 წლის განმავლობაში თავად მეუბნებოდი, რომ ეს „მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალაა“ და რომ ეს „პოლიტიკური კულტურის ნაწილია“. ჰოდა, მეც ავდექი და „პოლიტიკურად კულტურულად“ შენს „პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს“ ვაძლევ ხმას და არა ბოროტებას, მანიაკებს ან კიდევ სხვა საშინელებასო. თუკი ეს ხალხი და ეს ძალა შენთვის ბოროტება და მანიაკობა იყო, მაშინ მათ შესაბამისად უნდა მოქცეოდი და კოაბიტაცია არ უნდა გაგეჩაღებინაო.

სწორედ **მმართველი გუნდის ასეთი პოლიტიკური პოზიორობის ბრალია ისიც, რასაც დღეს ჩვენში ე.წ. მესამე სექტორი სჩადის. ეს „არასამთავრობო ორგანიზაციები“ იმდენის უფლებას აძლევენ თავს, რომ უკვე, საზოგადოების უდიდესი ნაწილის აღშფოთებასთან ერთად, დაცინვასა და უკიდურეს ირონიასაც იმსახურებენ. საქართველოს ხელისუფლებას კი არჩევნების მეორე ტურის წინ გაახსენდა „მესამე სექტორის“ თავხედობაც და ისიც, რომ თურმე მედიასა და არასამთავრობოებს ყველაფრის უფლება არ ჰქონიათ და ისინიც ქვეყანაში არსებულ ძირითადად კანონებს უნდა დაემორჩილონ.**

მანამდე, წლების განმავლობაში, ეს არასამთავრობო სექტორი ნავარდობდა და დათარეშობდა სრულიად საქართველოში, ვისაც რა უნდოდა, იმას დააბრალებდნენ, ვისაც როგორც უნდოდა, ისე გალანძღავდნენ და დასწამებდნენ ცილს — კაციშვილი გამკითხავი არ იყო. მთავრობა მხოლოდ მათი „მოთაფვლით“ იყო დაკავებული და მათ ყველა ჭირვეულობას ასრულებდა. მეტიც, რიგ შემთხვევებში ადამიანებს სამსახურში ნიშნავდნენ ან ხსნიდნენ სწორედ „არასამთავრობოების“ ზეწოლით და ასე განსაჯეთ, **გარკვეულ შემთხვევებში ადამიანთა დაპატიმრება და ციხეში ჩასმა-არჩასმაც სწორედ „მესამე სექტორის“ განწყობებსა და კაპრიზებზე იყო დამოკიდებული. სწორედ ეს მიანიშნებს „ქართული ოცნების“ უმწიფრობა-უვიცობაზე. ეგონათ, თუკი „მესამე სექტორს“ არ აწყენინებდნენ, მაშინ, თავის მხრივ, ამ არასამთავრობოებსაც სინდისი შეაწუხებდათ გადამწყვეტ მომენტში და არ დაარტყამდნენ. ვერ გეტყვით, ვინ დააჯერა ისინი ასეთ აბსურდში, მაგრამ ფაქტია — არჩევნებამდე სამიოდე დღით ადრე „მესამე სექტორმა“ ისეთი „ცირკი“ მოუწყო „ქართულ ოცნებას“, ცხოველების ცნობილ მწვრთნელ დუროვსაც შეშურდებოდა.**



ეკა გიგაური | მიხეილ ბენიძე | სულხან სალაძე

**პატივცემულო ტელევიზიებო, იქნებ ამიხსნათ, რის საფუძველზე და ვის თვალში არიან ავტორიტეტული ის ორგანიზაციები, რომლებიც წლებია უკვე, უსაფუძვლო, კომიკური ბრალდებებისა და ცილისწამების გარდა, სხვა არაფრით არ არიან დაკავებულნი? რით დაიმსახურეს მათ, რომ ყოველ საინფორმაციო გამოშვებას ამ სიტყვებით იწყებთ: «ჩვენი ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტულმა და გავლენიანმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს განცხადება...», ხოლო მერე ირკვევა, რომ მათ ეს განცხადება — ამ «წყარომ» რომ იმ «წყაროს» უთხრა, ის, რაც სხვა «წყაროსგან» მოისმინა — აი, ამის საფუძველზე გაავრცელეს?**

კერძოდ, „არასამთავრობოების“ მიერ გავრცელებული ცნობა, რომ იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს „სპეციალურ თათბირზე“ ვინმე „წყარომ“ მოისმინა, თითქოს „ქართული ოცნების“ მთავრობა არჩევნების მეორე ტურისთვის ყალბი პირადობის მოწმობების დამზადებას აპირებს, ქართული მედიის უმთავრესი თემა გახდა.

ყველაზე საინტერესო აქ ის იყო, რომ ხსენებული „წყარო“, რომელმაც თითქოს მოისმინა, როგორ გადაწყვიტეს თათბირის მონაწილეებმა ყალბი პირადობის მოწმობების დამზადება საარჩევნოდ, ამ თათბირს თურმე არც კი ესწრებოდა და ეს ინფორმაცია სხვა „წყაროსგან“ მოისმინა. თუმცა, ჯერაც გაურკვეველია, აი „ის წყარო“ რომელმაც მოუყვა „ამ წყაროს“ სერვისების სააგენტოში გამართული თათბირის თაობაზე, პირადად ესწრებოდა თთბირს თუ მანაც „სხვა წყაროსგან“ შეიტყო ყოველივე ეს?!

კულმინაცია არის ის, რომ **ამ „ათას წყაროზე მოხტუნავე“ არასამთავრობო ორგანიზაციებს ყველა ქართული ტელევიზია ავტორიტეტულ და გავლენიან ორგანიზაციებად მოიხსენიებს.**

სიტყვა „ავტორიტეტულის“ მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ ამა თუ იმ ავტორიტეტულმა პიროვნებამ თუ ორგანიზაციამ ეს ავტორიტეტი თავისი საქმიანობიდან, პირველ რიგში კი, სანდოობიდან გამომდინარე უნდა მოიპოვოს. მაქვს კითხვა: **პატივცემულო ტელევიზიებო, იქნებ ამიხსნათ, რის საფუძველზე და ვის თვალში არიან ავტორიტეტული ის ორგანიზაციები, რომლებიც წლებია უკვე, უსაფუძვლო, კომიკური ბრალდებებისა და ცილისწამების გარდა, სხვა არაფრით არიან დაკავებულნი? რით დაიმსახურეს მათ, რომ ყოველ საინფორმაციო გამოშვებას ამ სიტყვებით იწყებთ: „ჩვენი ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტულმა და გავლენიანმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს განცხადება...“, ხოლო მერე ირკვევა, რომ მათ ეს განცხადება — ამ „წყარომ“ რომ იმ „წყაროს“ უთხრა, ის, რაც სხვა „წყაროსგან“ მოისმინა — აი, ამის საფუძველზე გაავრცელეს?**

დავიჯერო, ორღობის ჭორაობას მოაქვს ასეთი დიდი ავტორიტეტი?

არ გეწყინოთ, პატივცემულო კოლეგებო (ამ ქვეყანაში ხომ ჟურნალისტზე აუგის თქმა ლამის სამშობლოს ღალატთან არის გაიგივებული), მაგრამ ვფიქრობ, რომ ეგ თქვენი „მესამე სექტორი“ ზუსტად იმ დონის ავტორიტეტით სარგებლობს ხალხში, როგორც თქვენ.

მთელი ქვეყანა რომ დაგცინით უკვე და მასხრად გიგდებთ მაგ თქვენი „წყაროებითა“ თუ „ჩიტის მოტანილი ამბებით“ და ჟურნალისტისგან ახალი ამბის მოსმენას ხალხს ურჩევნია, **ჟენია ბაბოსგან** გაიგოს რამე ცნობა, რადგან ყველა ფიქრობს, რომ ჟენია ბაბო გაცილებით სანდოა და მიუკერძოებელი, ვიდრე თქვენ.

რა უშველის სიტუაციას? თუ ბიძინა ივანიშვილს ვენდობით (კიდევ ერთხელ), „არჩევნების შემდეგ ძალიან მკვეთრი და ბევრი ცვლილება იქნება. ადამიანების სამსახურებში დაწინაურება ან მათი პარტიულ საპარლამენტო სიებში მოხვედრაც ძალიან გამკაცრდება“, — გვპირდება ის. თუ გავითვალისწინებთ, რომ აქამდე ნაცების პორტირებას „ოცნებაში“ და მათ დაწინაურებას მაღალ თანამდებობებზე „დემოკრატიული პროცესი“ ერქვა, ყოველ შემთხვევაში მას ასე უწოდებდა ივანიშვილი, **როგორც ჩანს, მას ეს თავისი „გასაოცარი დემოკრატია“ თავისი შედეგებით დიდად უკვე აღარ ეპიტნავება.**

გამოდის, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური, რომელიც 28 ნოემბერს ტარდება, ამ „გასაოცარი დემოკრატიის“ ბოლო გაელვება იქნება და ამის შემდეგ უკვე ჩვეულებრივ, ნორმალურ დემოკრატიას ველირსებით; დემოკრატიას, რომელიც მაინაკებს, მკვლელებსა და ნაძირლებს ქვეყნის სათავეში მოსვლის საშუალებას აღარ მისცემს და საქართველოს კი სახელმწიფოებრიობას შეუნარჩუნებს! დაველოდოთ მეორე ტურის შედეგებს.

**როცა ჟურნალისტისგან თავმობეზრებულმა რესპონდენტმა, რიგითმა მოქალაქემ კითხვა დაუსვა: „თუ ტვინი გაქვს, მასეთ კითხვას რატომ მისვამ?!“, რასაც ჟურნალისტის მყისიერი რეაქცია მოჰყვა — რატომ შეურაცხმყოფთ ქალბატონო? და ეს იმ ტელევიზიის ჟურნალისტის რეაქცია იყო, რომლის გენდირექტორმაც პირდაპირ ეთერში არაერთხელ შეიგინა დედა.**

ეთიკა და ესთეტიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჟურნალისტი, ეთიკა და დაუსჯელობის სინდრომი

**დღეს საქართველო ახალ პრეზიდენტს ირჩევს. შეიძლება თამამად ითქვას, ეს არჩევნები ყველასგან გამორჩეულია. უფრო ზუსტად, წინასაარჩევნო კამპანია იყო გამორჩეული, რადგან არ გვახსოვს ამდენი ღვარძლი, ამდენი გინება, ამდენი გაწევ-გამოწევა, ბრალდებები, ოჯახის წევრებისთვის ნასროლი ლაფი, სახელისა და ღირსების ამოსვრის მცდელობა. გინება ისმოდა ყველგან — სატელევიზიო ეთერით დაწყებული, ქუჩით დამთავრებული. სოციალური ქსელები ხომ საერთოდ წალეკა ბილწსიტყვაობამ და საქმის გარჩევებმა. ეგ კი არა, ლამის ყოველი მეორე კრიმინალური შემთხვევა არჩევნებს მიაბეს და ბოლოს ისიც კი სალაპარაკო გახდა, ვინმე წითელზე თუ გაივლიდა, რომელი პარტიის მხარდამჭერი იყო.**



არ გამართლდა ივანიშვილის ნათქვამი: „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური სივრციდან გაქრებაო. გაქრება კი არა, **მმართველმა გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ პოლიტიკურ სამარეში გაგზავნილი „ნაცმოძრაობა“ გზიდან მოაბრუნა, მოასულიერა და კინაღამ ძალაუფლება გადააბარა.**

ახლა არ მითხრათ, კორექტულობა დაიცავიო, რადგან კორექტულობისა და ობიექტურობის არაფერი ეტყობოდა არც ერთ ტელევიზიას. გინებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ობიექტური მედიის ცნება საერთოდ გაქრა ტელესივრციდან და ყველა იმისიანი ან ამისიანი იყო. სწორედ ამ პირობებში ვცდილობდით ობიექტურობის დაცვას და ყველაზე კრიტიკული თვალით მომზირალი ადამიანიც კი ვერ იტყვის, რომელიმე მხარე დაგვეჭიროს, თუმცა...

როგორც ოპოზიცია, ისე ხელისუფლება ჩვენს გაზეთს გამადიდებელი შუშით აკვირდება. საკმარისია, დავწეროთ, რომ რუსეთთან მოლაპარაკება აუცილებელია, რომ დიალოგი დასაწყებია და, რაც მალე დავიწყებთ, მით უკეთესი ქვეყნისთვის, მაშინვე მოღალატეები ვხდებით. მოღალატეები ვართ მაშინაც, როცა ვამბობთ, რომ ამერიკა და ევროკავშირი საკუთარი ინტერესებისთვის გვიყენებს (და ამას ფაქტებით ვამყარებთ). მოღალატეებად გამოგვაცხადეს მაშინაც, როცა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, **ნიკოლა სარკოზის,** განცხადება ვთარგმნეთ, რომელშიც ის ამბობდა, რომ საქართველოსა და უკრაინას ნატოში მიღების შანსი არ აქვთ და ამ ქვეყნებმა რაღაც შავი ზღვის აუზის სახელმწიფოების დარი კავშირი უნდა შექმნან. არადა, ეს სარკოზიმ თქვა და ჩვენ მისი ნათქვამი გავიმეორეთ, მაგრამ თურმე ესეც ღალატია, უნდა დავმალოთ, თურმე, სიმართლე. და რა ვქნათ ახლა, სარკოზიმ გასულ კვირას რომ გამოაცხადა: **ვლადიმერ პუტინი** ყოველთვის ჩემი მეგობარი იყო, არის და იქნებაო, არ დავწეროთ? თუ არც ის დავწეროთ, საფრანგეთის ექსპრეზიდენტმა დამარცვლით რომ თქვა: ამ ყველაფერზე პრეზიდენტად ყოფნის დროს ვერ ვსაუბრობდი, ახლა კი თამამად ვამბობ სიმართლესო? გესმით, მეგობრებო? მაგრამ ამ რეალობის მოსმენა არ გვინდა. არ გვინდა იმის აღიარება, რომ მაშინ, როცა სარკოზი პუტინს ხვდებოდა და ჩვენ გვეუბნებოდა, რუსეთის პრემიერს (პუტინი მაშინ პრემიერი იყო) თქვენ გამო მთელი ევროპა დავუპირისპირეო, გამოდის, ტყუილი ყოფილა. ახლა გაცხადდა, რომ არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა, სარკოზი მეგობრულად საუბრობდა რუსეთის პირველ პირთან და ამ მეგობრობის ერთგულია ახლაც.

თუმცა საკუთარ თავს მივხედოთ. ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დამცველი ორგანიზაცია რომ არის, უმნიშვნელო გადაცდომაზე ბრიფინგებს რომ აწყობს, ხომ არ იცით, რატომ არ აპროტესტებს დედის გინებას ტელეეთერიდან? თუ არ მოგისმენიათ, საძიებო სისტემაში ჩაწერეთ „გვარამიას დედაც...“ და ისეთ ამბებს მოისმენთ, წინ რომ +18 უნდა ეწეროს. ტელევიზიები არც ბოდიშის მოხდით იწუხებენ თავს, რადგან დედისმაგინებლებს თურმე ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვთ და, რაც მეტი გინება გაისმება ეთერში, მით უკეთესი. სწორედ ამიტომ პრაქტიკულად ყველა ტელევიზია ცდილობს, თოქ-შოუებში ისეთი ადამიანები მოიწვიონ, რომლებიც დებატებისას ერთმანეთის დედის გინებას არ ერიდებიან. ისინიც სიხარულით თანხმდებიან იმ „ფილმში“ მონაწილეობას, რომლის ბოლოც მათთვისაც ცხადია, მაგრამ მზად არიან, აიტანონ დედის გინებაც, ოღონდ კიდევ ერთხელ გამოჩნდნენ ტელეეკრანზე. მერე კი, როცა არჩევნები მორჩება, ერთ ან მეორე მხარეს მივიდნენ და უთხრან, თქვენი გულისთვის დედის გინება ავიტანე და იმ ტორტიდან, მთავარ სუფრაზე რომ დევს, ერთი პატარა ნაჭერი მეც მეკუთვნისო.

ამ ყველაფერს მეორე მხრიდანაც შევხედოთ: თუ ქუჩაში ადამიანი შეგაგინებთ, შეგიძლიათ უჩივლოთ და საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძვრება. დამტკიცების შემთხვევაში, დამნაშავეს ფულადი ჯარიმის გარდა, შესაძლოა, რამდენიმედღიანი პატიმრობა ან პირობითი მსჯავრი შეუფარდონ. ოღონდ ეს დამტკიცების შემთხვევაში, რისი გაკეთებაც ქუჩის პირობებში ძალიან ძნელია, იმიტომ, რომ შესაძლოა, ვინმემ მოულოდნელად შეგაგინოს და გაიქცეს. თანაც, ამ ფაქტს ერთი ადამიანი მაინც უნდა შეესწროს, რადგან, მოწმე თუ არ იქნება, საქმე ვერ აღიძვრება. აი, ტელეეთერში გინებას რაც შეეხება, არც მოწმე გინდა და არც დამნახავი — გადაახვიე და ნახავ, კონკრეტულად ვინ ვის და რატომ აგინებს, თუმცა გსმენიათ, რომ ტელეეთერში გინების გამო ვინმე, დაეკავებინოთ კი არა, დაკითხვაზე დაებარებინოთ? არც ჩვენ არ გვსმენია და ეს იმ დაუსჯელობის სინდრომის ბრალი გვგონია, ბოლო პერიოდში რომ გამეფდა ტელესივრცეში. ტელეეთერში გაქვს ყველაფრის თქმის უფლება, შეგიძლია ცილი დასწამო ნებისმიერს ნებისმიერ საქმეზე და ყველაფერი შეგრჩება. შეგრჩება იმიტომ, რომ მთქმელმაც და გამგონემაც ზუსტად იციან, ამის გამო მათ არავინ დასჯით და მიშვებულია ყველა და ყველაფერი თავის ნებაზე.

შედეგად ვიღებთ უცნაურ რეალობას — ბეჭდური მედია (ისიც ყველა არა) მაქსიმალურად კონტროლდება, თითოეულ სიტყვასა თუ ასოს გულისყურით კითხულობენ, სპეციალური დეპარტამენტიც კი აქვთ ძალოვნებს სამისოდ და არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ტელესივრციდან უხამსი სიტყვების ნიაღვარი აღკვეთონ, თანაც პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: მაგალითად, **„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია რომ დაიბარონ დაკითხვაზე იმ განცხადებების გამო, რომლებიც მან ბევრი აკეთა, ეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად შეფასდება, ცალკე არასამთავრობოები და ცალკე ევროპელი თუ ამერიკელი „პარტნიორები“ ატეხენ ხმაურს, პოლიტიკურ დევნად შეაფასებენ და დაკითხვაზე დაბარებული გვარამია პროკურატურიდან გმირისა და წამებულის სახელით გამოვა. და ასე იქნება ყველა შემთხვევაში, როცა ვინმეს გინების გამო პასუხს მოსთხოვენ, რადგან ყველა ვიღაცის მხარესაა, ყველას გამოუჩნდება მფარველი პარტიაში, რომელიც შეეცდება, ქულები ჩაიწეროს და წამებული საკუთარ მხარდამჭერად წარმოადგინოს.**

აქვე უნდა აღვნიშნოთ ვინმე **ლანა ღვინჯილია,** სააკაშვილის ბიბლიოთეკის თანამშრომელი. ეს ე.წ. ქალბატონი გამორჩეულად უზრდელია და ისეა ნაცების დაუსჯელობით გათავხედებული, რომ საოკუპაციო ხაზთან ჩასულ პრეზიდენტობის სამთავრობო კანდიდატს პირისპირ მიუხტა და „ჩათლაშკა“ უწოდა ყველას გასაგონად (მკითხველთან და ქალბატონ ზურაბიშვილთან ბოდიშს ვიხდით) იმ დროს, როცა ეს პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა.

ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ — არის შემთხვევები (არცთუ იშვიათად), როცა ჟურნალისტს არ ესმის ან არ სურს, გაიგოს, რომ ადამიანს არ უნდა კომენტარის გაკეთება. ამის მიუხედავად, ჟურნალისტი ჯიქურ ცდილობს ინფორმაციის გამოძალვას (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და მაგ დროს რომ შეაგინო (ცხელ გულზე), ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლად შეფასდება და ამის გამო, შესაძლოა, ციხეშიც კი გამოგკეტონ. თუნდაც ბოლო შემთხვევა ავიღოთ, **როცა ჟურნალისტისგან თავმობეზრებულმა რესპონდენტმა, რიგითმა მოქალაქემ კითხვა დაუსვა: „თუ ტვინი გაქვს, მასეთ კითხვას რატომ მისვამ?!“, რასაც ჟურნალისტის მყისიერი რეაქცია მოჰყვა — რატომ შეურაცხმყოფთ ქალბატონო? და ეს იმ ტელევიზიის ჟურნალისტის რეაქცია იყო, რომლის გენდირექტორმაც პირდაპირ ეთერში არაერთხელ შეიგინა დედა, მთელი საქართველო ფეკალიებში ამოავლო და განაცხადა, რომ ასე ფიქრობს და სხვაგვარად არ ძალუძს. ჰოდა, იმ ჟურნალისტმა, ბოლომდე რომ მიჰყვეს საქმეს, ეგებ რიგით მოქალაქეს ამ კითხვის გამო პასუხიც აგებინონ, მაგრამ ზუსტად იცის, რომ მის გენდირექტორს პასუხს არავინ მოსთხოვს. რატომ? იმიტომ, რომ ეს პოლიტიკურ ზეწოლად და დამოუკიდებელი ტელევიზიისთვის მუშაობაში ხელის შეშლად შეფასდება.**

სამაგიეროდ, არ ფასდება ხელის შეშლად, თუ ბეჭდური მედიის წარმომადგენელს მოღალატედ გამოაცხადებ. გახსოვთ, ალბათ, ცოტა ხნის წინათ იყო, ლამის მთელი რედაქცია სამშობლოს ღალატში რომ დაგვადანაშაულეს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფორუმში, რომელიც საქართველოში გაიმართა, სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებთან ერთად, ჩვენი კოლეგებიც მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციიდან. და მაშინ არც ერთ არასამთავრობოს არ უთქვამს: ჟურნალისტებს მუშაობაში ხელს უშლიან, არიქა, განგაშის ზარებს შემოვკრათო. არა, ბატონებო, კრინტიც არავის დაუძრავს. ამ ეგრეთ წოდებული თავისუფალი მედიისთვის და არასამთავრობოებისთვის ჟურნალისტის საქმიანობა და ჟურნალისტის უფლებები შერჩევითია — თუ ვნებ ქვეყანას, თუ მაყურებელსა და მკითხველს ატყუებ, რაც მთავარია, თუ რუსეთს აგინებ, „სწორი“ ჟურნალისტი ხარ და ამაში ხელის შეშლა არავინ უნდა გაგიბედოს, თუ რამე — უცბად დაირაზმებიან და მავნებელს, მატყუარას, უზრდელს, თავხედს ერთად გადაეფარებიან. თუ სიმართლეს ამბობ და მანკიერებებს ამხელ — მათთვის კეთროვანი ხარ და ახლოს არავინ გაგეკარება, შენი ლანძღვა-გინება მათთვის უზენაესი და კარგად დაფინანსებული ნეტარებაა. მაშინ ტელევიზიებსა და „არასამთავრობოებს“ ყველაფერი შერჩათ. შერჩათ მაშინ, ადრეც, იმის მერეც, ახლაც და შერჩებათ მომავალშიც.

**ამიტომ, პატივცემულო მთავრობავ, როცა კონკრეტული ტელევიზიიდან ნებისმიერი მსურველი დედებს მოგიკითხავთ... უბრალოდ, შეირგეთ და შეირგეთ მანამ, სანამ კანონს არ აამოქმედებთ და უზრდელ ვიგინდარებს პასუხს არ მოჰკითხავთ!**

**ბესო ბარბაქაძე**

**ამ ეგრეთ წოდებული თავისუფალი მედიისა და არასამთავრობოებისთვის ჟურნალისტის საქმიანობა და ჟურნალისტის უფლებები შერჩევითია — თუ ვნებ ქვეყანას, თუ მაყურებელსა და მკითხველს ატყუებ, რაც მთავარია, თუ რუსეთს აგინებ, «სწორი» ჟურნალისტი ხარ და ამაში ხელის შეშლა არავინ უნდა გაგიბედოს, თუ რამე — უცებ დაირაზმებიან და მავნებელს, მატყუარას, უზრდელს, თავხედს ერთად გადაეფარებიან. თუ სიმართლეს ამბობ და მანკიერებებს ამხელ — მათთვის კეთროვანი ხარ და ახლოს არავინ გაგეკარება, შენი ლანძღვა-გინება მათთვის უზენაესი და კარგად დაფინანსებული ნეტარებაა. ამიტომ, პატივცემულო მთავრობავ, როცა კონკრეტული ტელევიზიიდან ნებისმიერი მსურველი დედებს მოგიკითხავთ... უბრალოდ, შეირგეთ და შეირგეთ მანამ, სანამ კანონს არ აამოქმედებთ და უზრდელ ვიგინდარებს პასუხს არ მოჰკითხავთ!**

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ, ᲬᲘᲜᲐ ᲬᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲜᲡ. ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲖᲔ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲛᲘᲙᲔᲠᲫᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲛᲐ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲛᲘᲘᲚᲝ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲕᲔᲠ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

# მეორე ტური: რატომ დუმს დასავლეთი?





**დასავლეთის ჩართულობა ქართულ არჩევნებში, წინა წლებთან შედარებით, მინიმალური ჩანს. უცხოელი დიპლომატები, პოლიტიკოსები და ექსპერტები განვითარებულ პროცესებზე კომენტარს ძალიან იშვიათად და, როგორც წესი, მიუკერძოებლად აკეთებენ. ქართველების ნაწილი ამ დამოკიდებულებით გაკვირვებულია, მით უმეტეს, რომ წინასაარჩევნო პროცესმა დრამატული ხასიათი მიიღო. ისინი ვერ ხვდებიან, რა და რატომ შეიცვალა დასავლეთის დამოკიდებულებაში.**

ყველას ახსოვს **რიჩარდ მაილსის** პოზიცია და განცხადებები „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში, რომელმაც ხელისუფლების შეცვლაში უდიდესი როლი შეასრულა, **ჯონ ტეფტისა** და **ჯონ ბასის** მხარდაჭერა მიხეილ სააკაშვილის მიმართ მაშინ, როდესაც ის დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს აშკარად თელავდა, თუმცა მედალს მეორე მხარეც ჰქონდა — 2012 წლის არჩევნების შემდეგ **რიჩარდ ნორლანდი** ზუგდიდში ოპოზიციური კანდიდატის — **ირაკლი ალასანიას** მიტინგზე მივიდა, ხოლო მისმა შემცვლელმა **იან კელიმ** არაერთხელ შეიკავა თავი ივანიშვილის ხელისუფლების კრიტიკისგან, მაშინ, როდესაც ამის საფუძველი ნამდვილად არსებობდა. საქმე მხოლოდ აშშ-ის წარმომადგენლებს როდი ეხება — იყო პერიოდი, როდესაც საფრანგეთის ელჩის — **ერიკ ფურნიეს** რეზონანსული განცხადებები გაზეთების პირველ გვერდებზე ერთი მეორის მიყოლებით ხვდებოდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ხშირ შემთხვევაში არ იცის ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენლის სახელი, მათი განცხადებების განხილვა სოცქსელებში იშვიათად ხდება. თქმული ეხება არა მხოლოდ დიპლომატებს, არამედ მაღალი რანგის პოლიტიკოსებსაც, როდესაც ისინი საქართველოში შექმნილ სიტუაციას აფასებენ, ზომიერ ალტაცებას ან, პირიქით, აღშფოთებას გამოხატავენ, მაგრამ აღარ გამოხატავენ პოზიციას, რომელიც მომგებიანია მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალისთვის, როგორც ეს ხშირად ხდებოდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და შედარებით იშვიათად — ივანიშვილის მმართველობის პირველ წლებში.

ცხადია, არის გამონაკლისები, თუმცა მკვეთრ და დაუბალანსებელ განცხადებებს ამჟამად მხოლოდ სააკაშვილის ლობისტები აკეთებენ (ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები და სხვ.), ზოგჯერ კი ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთევროპული ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები. ამ შემთხვევაში მიზეზი, ალბათ, ფსიქოლოგიურია — მათ სურთ, თავი „სრულფასოვან ევროპელებად“ წარმოაჩინონ, რომლებიც სხვას ჭკუას ასწავლიან. ქართული აუდიტორია მსგავს ეპიზოდებს, როგორც წესი, ირონიული ღიმილით ხვდება.

**„ვარდების რევოლუციის“ პერიოდში დასავლეთის პოზიცია წარმოადგენდა უძლიერეს კოზირს რევოლუციური ტრიუმვირატის ხელში, სწორედ ამის გამო ძველი ხელისუფლების ბევრმა მაღალჩინოსანმა ცვლილებებს წინააღმდეგობა არ გაუწია, მეტიც, ხელი შეუწყო მათ. შემდგომ პერიოდში დასავლეთის მხარდაჭერა სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საზოგადოების პროდასავლური ნაწილის, განსაკუთრებით კი ლიბერალი პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების პოზიციაზე — ისინი ხელისუფლებას აშკარა უმსგავსოებისთვის ზერელედ აკრიტიკებდნენ ან სულაც დუმდნენ.**

ამ ეტაპზე სააკაშვილს ეს კოზირი არ აქვს. კონსპიროლოგებმა შეიძლება თქვან, რომ ეს დროებითა, და მას შემდეგ, რაც ის „მაიდანს“ ააგორებს, მხარდაჭერაც ექნებაო. მაგრამ, თუ დავაკვირდებით „ვარდების“ რევოლუციის“ ან უკრაინის 2004 და 2014 წლების მოვლენების წინარე პერიოდს, ვნახავთ, რომ დასავლეთის სიმპათია მომავალი რევოლუციონერების მიმართ სამივე შემთხვევაში წინასწარ იგრძნობოდა და სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. ამჟამად კი საქმე, სავარაუდოდ, შიშველ პრაგმატიზმთან გვექნება და **დასავლეთი ხელისუფლების შეცვლას მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს, თუ ნახავს, რომ მმართველი ძალის ჩამოშლა გარდაუვალია.**

ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, არის ის, რომ იმ პერიოდიდან, როდესაც **ბუშის** ადმინისტრაცია ნეოკონსერვატორების იდეებით ხელმძღვანელობდა, დღემდე საქართველოსა და სხვა შორეული ქვეყნების პრიორიტეტულობა ვაშინგტონისთვის თანდათან შემცირდა. მართალია, ამავე პერიოდში გაიზარდა ევროკავშირის გავლენა მის სამეზობლოში, მაგრამ ევროპელები ამ ქვეყნებში ყოველთვის ითვალისწინებენ აშშ-ის პოზიციას და მისი ინტერესების წინააღმდეგ 99% შემთხვევაში არ მიდიან. სწორედ ვაშინგტონი ქმნის ამა თუ იმ ქვეყანასთან დასავლეთის ურთიერთობის სტილს — საქართველოში ის ამ ეტაპზე მშვიდი და გარკვეულწილად ინდიფერენტულიცაა.

ᲢᲠᲐᲛᲞᲛᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲗᲔᲚ ᲠᲘᲒ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ, ᲨᲔᲛᲝᲘᲚᲝ ᲞᲠᲝᲢᲔᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲝᲛᲘ ᲒᲐᲐᲩᲐᲦᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲝᲡ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲖᲡ ᲣᲡᲕᲐᲛᲡ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ, ᲭᲙᲣᲐ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲔᲠᲘᲝᲡ

პრობლემის განხილვას ტრამპის ადმინისტრაციის „ახალ იზოლაციონიზმამდე“ მივყავართ. მის იდეოლოგიურ ბაზისს ამერიკელი კონსერვატორი რესპუბლიკელების, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. პალეოკონსერვატორების პოზიცია ქმნის, რომლებიც ნეოკონსერვატორების მთავარ ალტერნატივას წარმოადგენენ. სხვათა შორის, მათ დიდად არ მოსწონთ, როდესაც იზოლაციონისტებს უწოდებენ და სხვა ტერმინის — ანტიინტერვენციონისტების“ გამოყენება ურჩევნიათ. საქმე ისაა, რომ 1941-ში პერლ-ჰარბორზე იაპონელების თავდასხმის შემდეგ „იზოლაციონისტი“ აშშ-ში ლამის სალანძღავი სიტყვა გახდა. ითვლებოდა, რომ სწორედ იზოლაციონისტების ბრალია, რომ იაპონიამ ექსპანსია გააძლიერა, უზომოდ გათამამდა, ბოლოს კი თავს დაესხა შეერთებულ შტატებს. რამდენად შეესაბამება სიმართლეს ვერსია იზოლაციონისტების ბრალეულობის შესახებ, ცალკე საუბრის თემაა, თუმცა ფაქტია, რომ ხსენებული პოლიტიკოსები „იზოლაციონისტს“ ნეგატიურ ტერმინად თვლიან, ხოლო „ანტიინტერვენციონისტს“ — პოზიტიურად.

ისინი, უპირველესად, წამოადგენენ რესპუბლიკური პარტიის მემარჯვენე ფრთას და მასთან დაკავშირებულ „ჩაის სმის მოძრაობას“ — ყველაზე ხშირად მათ შორის მედია ახსენებს **რონ პოლსა** და მის ვაჟიშვილ **რენდს**, **ჯესი ჰელმსს, კურტ ველდონსა** და **პოლ ვაირიხის**. მათი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს „ძველი იზოლაციონიზმის“ ერთ-ერთი ფუძემდებლის, პრეზიდენტ **უილიამ ტაფტის** ვაჟის, **რობერტ ტაფტის,** იდეები წარმოდგენენ. ის რუზველტის ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული ოპონენტი იყო, ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის ჩაბმას მეორე მსოფლიო ომში, ნატოს შექმნას და ანტიკომუნისტური რეჟიმების შეიარაღებულ მხარდაჭერას. მისი იდეების კვინტესენცია შემდეგია — აშშ-მა უნდა შექმნას „ციხესიმაგრე ამერიკა“ — გარე საფრთხეებისგან თავდაცვის მძლავრი სისტემა და არ ჩაერიოს უცხო ქვეყნების შეიარაღებულ კონფლიქტებში. **რობერტ ტაფტი თვლიდა, რომ მონაწილეობა ასეთ ომებში აშშ-ში თავისუფლებების შეზღუდვის საფრთხეს ზრდის, ხოლო ყველაზე დიდ კოშმარად ბრიტანეთის იმპერიის გზის გამეორება მიაჩნდა.**

რა თქმა უნდა, **დონალდ ტრამპის** ადმინისტრაცია არ ხელმძღვანელობს ძველი იზოლაციონისტების ან თანამედროვე პალეოკონსერვატორების იდეებით, მაგრამ იყენებს მათ, როდესაც წინა პლანზე გამოაქვს ლოზუნგი „ამერიკა — უპირველეს ყოვლისა“. **ტრამპმა უარი თქვა გლობალიზაციასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პროექტებზე, შემოიღო პროტექციონისტული ტარიფები და ნახევარ მსოფლიოსთან სავაჭრო ომი გააჩაღა, რადგან ეს შესაძლებლობას აძლევს, ეროვნული ეკონომიკა განავითაროს. თავის გამოსვლებში ის ყოველთვის ხაზს უსვამს იმას, რომ ვაშინგტონს არ სურს, ჭკუა ასწავლოს უცხო ქვეყნებს და მათ საშინაო საქმეებში ჩაერიოს.** ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ აშშ-ისთვის მთავარია, „აიფონები“ და სხვა საქონელი გაყიდოს და სულ არ აინტერესებს, ვინ იყიდის მათ — დემოკრატიული ფრანგი, ნახევრადდემოკრატიული ქართველი თუ არადემოკრატიული ჩინელი.

ცხადია, ტრამპის ადმინისტრაცია არ ამბობს უარს პოლიტიკურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ბაზრების გაფართოების შესაძლებლობას აძლევს. ეს კარგად ჩანს თხევადი აირის მაგალითზე — აშშ-მა გამოიყენა თავისი პოლიტიკური გავლენა, რათა პოლონეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებს ამერიკული თხევადი აირი ეყიდათ. ის ხელს უშლის ევროპულ-რუსული მილსადენის „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის აშენებას და ა.შ., მაგრამ ტრამპის მმართველობის პერიოდში წინა პლანზე გამოვიდა ეკონომიკური ინტერესი და ის ცდილობს, არ მიმართოს ინტერვენციონისტულ პოლიტიკას მხოლოდ ნეოკონსერვატორების მესიანისტური იდეებიდან გამომდინარე იქ, სადაც კონკრეტული სარგებლის მიღება ძნელი ან შეუძლებელია.

ამ კონტექსტში საქართველოს მდგომარეობა რთულია. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს აზერბაიჯანული და პერსპექტივაში შუააზიური ენერგომატარებლების ექსპორტისთვის, აგრეთვე, ერთ-ერთ საინტერესო მარშრუტს ტვირთების გადაზიდვისთვის, მაგრამ მისი როლი აშშ-ის ეკონომიკური ექსპანსიის კონტექსტში გამოკვეთილი არ არის, მეტიც, საერთოდ, არ ჩანს. **ვაშინგტონის დღევანდელი პრაგმატული პოლიტიკა არ გულისხმობს დიდ ძალისხმევას აბსტრაქტული გავლენის გასაფართოებლად. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ის უკვე მოპოვებულ პოზიციებს დათმობს, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, საქართველო მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ან პოლიტიკური ექსპერიმენტების პოლიგონი გახდეს. ეს მიდგომა უხეშად შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ცოტას დაგეხმარებით, მაგრამ საკუთარ თავს თვითონ უნდა მიხედოთ და სტაბილურობა შეინარჩუნოთ.**

ასეთი სიტუაცია უჩვეულოა ქართული პოლიტიკური ელიტისთვის, რომლის უდიდეს ნაწილს ურჩევნია, საელჩოში მზა, დეტალური ინსტრუქციები მიიღოს, ხოლო სამინისტროებში ათობით უცხოელი მრჩეველი ამუშაოს, როგორც ეს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხდებოდა (იმ პირობით, რომ ბიუჯეტის „ათვისებაში“ ხელს არ შეუშლიან). ის მიჩვეული არაა პოლიტიკის დამოუკიდებელ ფორმირებას და ურჩევნია, პასუხისმგებლობა დასავლელ პარტნიორებს დააკისროს, მაგალითად, „კოჰაბიტაცია მოგვთხოვეს და რა გვექნა?!“. ქართველი პოლიტიკოსები იქცევიან ისე, თითქოს, დამოუკიდებელ ქვეყანას კი არა, კოლონიას მართავენ და ჯერჯერობით გაუგებარია, როგორ შეიძლება ამ დამოკიდებულების შეცვლა.

ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲚᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ, ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲨᲘ ᲛᲖᲐ, ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲚᲝᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲔᲑᲨᲘ ᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲡ «ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ» ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ (ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ «ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲨᲘ» ᲮᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲨᲚᲘᲐᲜ). ᲘᲡ ᲛᲘᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲙᲘᲡᲠᲝᲡ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, «ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲒᲕᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲕᲔᲥᲜᲐ?!». ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲘᲥᲪᲔᲕᲘᲐᲜ ᲘᲡᲔ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ, ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ

**ლუკა ნემსაძე**

„ჩვენ არ ვართ იზოლირებულნი, რაც საქართველოში ხდება განპირობებულია გლობალური პოლიტიკით, უცხო ქვეყნების სურვილით, ამიტომ არ შეუძლია ხელისუფლებას, ისე მოიქცეს, რომ თითქოს არ აინტერესებს, როგორ შეხედავს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ევროპა“.

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თამარ კიკნაძე: ჯერ ნაციონალები უნდა მოვიშოროთ და გავთავისუფლდეთ ფსევდოოპოზიციისგან, შემდეგ კი უნდა შეიქმნას რეალური ოპოზიციური ძალა, რომელიც ხალხის აზრის გამომხატველი იქნება

**სანამ ჩვენი ქვეყანა საარჩევნო ბატალიებშია ჩართული, ევროკავშირში, საითაც საქართველო მიისწრაფვის, სერიოზული პრობლემებია. ევროკავშირის მოთხოვნებს იტალიამ უარი უთხრა და უცვლელად დატოვებს 2019 წლის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს. ევროკავშირის ისტორიას არ ახსოვს რომისა და ბრიუსელის ახლანდელი დაპირისპირების მსგავსი რამ. უნგრეთის წარმომადგენელმა შუა თითი უჩვენა ევროპარლამენტს; პოლონეთი აცხადებს, რომ შესაძლოა, დატოვოს ევროკავშირი; ფაქტობრივად, ომის ზღვარზეა რუსეთი და უკრაინა... ჩვენ საით მივდივართ? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

— მსოფლიოში რთული ვითარებაა, განსაკუთრებით ევროკავშირში. მსოფლიო მასშტაბით ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბება ხდება. დღეს სრულიად განსხვავებულია ამერიკისა და ევროპის ურთიერთობები. შემთხვევითი არ არის, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** განაცხადა, რომ საჭიროა შეიქმნას ევროპის შეიარაღებული ძალები. **ტრამპი** ისეთ განცხადებებს აკეთებს, წარმოუდგენელია... მას დამოუკიდებლად არ შეუძლია გადაწყვიტოს ნატოდან გამოსვლა, თუმცა კონგრესი ამ საკითხს განიხილავს და ნატოსთვის ეს საფრთხე არსებობს. გარდა ამისა, ტრამპს თავისი პოლიტიკით ამერიკა იზოლაციონალიზმისკენ მიჰყავს. ის ბევრი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამოდის, რითაც იხსნის იმ ვალდებულებებს, რომლებიც მანამდე ჰქონდა აღებული. ამერიკა გამოვიდა ადამიანის უფლებების დაცვის კომისიიდან, პარიზის ხელშეკრულებიდან, საფოსტო კავშირიდან...

რთული ვითარებაა ევროპაში. მაგალითად, ბრექსიტი პრობლემაა. ინგლისმა და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს შეთანხმებაზე, მაგრამ ინგლისელი ექსპერტები ამბობენ, რომ ეს წამგებიანია მათთვის და ამის გამო ინგლისში რამდენიმე მინისტრი თანამდებობიდან გადადგა. ინგლისი რამდენიმე წლის განმავლობაში დამოკიდებული იქნება ევროკავშირზე ბრექსიტის გამო, რადგან გადასახადები უნდა გადაიხადოს. ევროკავშირი ძალიან დიდი ბიუროკრატიული ორგანიზაციაა და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ინგლისს პრობლემები შეუქმნას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ევროკავშირის ქვეყნებში ნაციონალისტური განწყობები მძლავრობს. მაგალითად, უნგრეთში, რომელსაც ხმის უფლება ჩამოართვეს; პოლონეთში, სადაც ნაციონალისტური განწყობების აშკარა გამოხატვაა; იტალიაში, რომელსაც აქვს პრობლემა ბიუჯეტის დაგეგმვაზე... უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

**— ასეთ რთულ ვითარებაში სწორია საქართველოს მხრიდან ევროპისკენ სწრაფვა და ამის აშკარა დეკლარირება? თანაც იმდენად, რომ ევროპის აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქართველი ხალხის სურვილი?**

— ჩვენ დეკლარირებული გვაქვს პროდასავლური კურსი ნატოსა და ვეროკავშირისკენ, ამიტომ დღეს მკვეთრი მოძრაობები, რომ ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია აღარ გვინდა, ალბათ, არასწორი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მომავალი ამ გზაზე საეჭვოა.

**— მაგრამ კურსი, რომელზეც ვდგავართ, წარუმატებელია...**

— რა თქმა უნდა, რადგან შეცდომები თავიდანვე იყო დაშვებული.

ევროპაში დეზინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ საქართველო დახმარებებს მაინც იღებს, პროექტებში ვართ ჩართული, ამიტომ ჩვენს ხელისუფლებას ამჟამად ხელს არ აძლევს მკვეთრი განცხადებების გაკეთება. საქართველოს ცუდი ფინანსური მდგომარეობა აქვს. უნდა დაველოდოთ, როგორ განვითარდება პროცესები ევროპასა და ამერიკაში.

**— ჩვენები პროცესების განვითარებას ელოდებიან და ამიტომ არ აღიარებენ ევროკავშირის კრახს?**

— არ ვარ ინფორმირებული, რა ხდება შიგნით, მაგრამ ვხედავ გარედან, რომ დინებას მიჰყვებიან და ფრთხილობენ. პროცესები ისედაც მიდის და ჩვენ დავინახავთ, როგორ პოლიტიკას აირჩევს ჩვენი ხელისუფლება.

ასოცირების ხელშეკრულებით ჩვენ ვიკისრეთ 350 კანონის მისადაგება ევროპულისთვის. აი, ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან რაც ევროპაში მისაღებია, ქართველებისთვის არის მიუღებელი და აქ ნამდვილად გვმართებს ლავირება.

**— რუსეთთან ხომ უნდა მოვაგვაროთ ურთიერთობა? როდის უნდა დავიწყოთ ეს?**

— რუსეთთან გვმართებს ურთიერთობის მოგვარება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან ამით დაინტერესებულნი და თვლიან, რომ დაელაპარაკებიან ქართველებს მაშინ, როდესაც მათთვის მომგებიანი სიტუაცია შეიქმნება. წაგებული ყველა შემთხვევაში ჩვენ ვართ. უნდა შევძლოთ, ვაწარმოოთ მოლაპარაკება პრაგმატულად. საქართველო და რუსეთი სხვადასხვა სახელმწიფოებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი აზროვნებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ.

**— სანამ საქართველოში საარჩევნო გაწამაწიაა, რუსეთ-უკრაინას შორის კინაღამ სამხედრო კონფლიქტი დაიწყო. უკრაინის ელჩი ითხოვს ჩვენგან მხარდაჭერას, მაშინ, როდესაც თვითონ საერთოდ არ გაითვალისწინეს ჩვენი თხოვნა სააკაშვილსა და ნაციონალებზე — მათ ყველა ქართველი დამნაშავე შეიფარეს...**

— საქართველო ვალდებულია, ჭკვიანური პოლიტიკა გაატაროს, რადგან რუსეთ-უკრაინას შორის დაპირისპირება გეოპოლიტიკური პრობლემიდან გამომდინარეობს. ეს კონფლიქტი დაკავშირებულია „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ისა და თურქული ნაკადის პროექტებთან. უკრაინის მთავრობა არ არის თავისუფალი, ისევე, როგორც ჩვენი ხელისუფლება, ამიტომ მათ ეხებათ ყველაფერი, თუკი რამ ძვრება რუსეთის წინააღმდეგ. თუ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი მწვავე ფაზაში შევა, რუსეთს მთელი რიგი პრობლემები შეექმნება და შესაძლოა, ამით სარგებლობს უკრაინა.

**— ეს ვითარება, შესაძლოა, 2008 წლის აგვისტოს ომს შევადაროთ?**

— **2008 წლის აგვისტოში საქართველოში იყო დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის, ოღონდ ჩვენს ტერიტორიაზე და უკრანასა და რუსეთს შორის რაც ხდება, ისიც ჰგავს იმ ყველაფერს.** რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაც არის დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირება, მაგრამ მოვლენები მაშინ სხვანაირი იყო და ახლა სხვანაირია.

**— ამერიკის პრეზიდენტი რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების ესკალაციაზე არაფერს ამბობს, არც ნატო იყო რადიკალური და ამ დროს საქართველო გამოდის აშკარა უარყოფითი პოზიციით...**

— შეიკრიბა გაეროს უშიშროების საბჭოც და არც მათ ჰქონდათ მკვეთრი რეაქცია. ვფიქრობ, ამ ვითარებაში საქართველომ თავი უნდა შეიკავოს მკვეთრი განცხადებებისგან, რათა საფრთხეს ავარიდოთ თავი. შეიძლება დასავლეთი ითხოვს საქართველოსგან მკვეთრი განცხადებების გაკეთებას, მაგრამ მაინც უნდა შევიკავოთ თავი, ჩვენი ქვეყნის ინეტერსები დავიცვათ და ზომიერები ვიყოთ განცხადების გაკეთების დროს. არავინ იცის, ხვალ მოვლენები როგორ განვითარდება, ჩვენ თვითონ არ აღმოვჩნდეთ კონფლიქტში. არჩევნები გვაქვს, ბევრი ექსპერტი ამბობს, რომ, შესაძლოა, არჩევნებს გართულებები მოჰყვეს... ნაციონალები ქართული ძალა არ არიან, სააკაშვილი დაუფარავად საუბრობს ესკალაციაზე, ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს.

**— რიგით ამომრჩეველს არ მოსწონს ივანიშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ ევროპას მოსწონს ეს არჩევნები. ქართველებს სურთ, ქვეყნის პირველი პირებისგან მოისმინონ ის, რაც ერს სურს და ეს არის — არა ლიბერალიზმს...**

— ჩვენ არ ვართ იზოლირებულნი, რაც საქართველოში ხდება განპირობებულია გლობალური პოლიტიკით, უცხო ქვეყნების სურვილით, ამიტომ არ შეუძლია ხელისუფლებას, ისე მოიქცეს, რომ თითქოს არ აინტერესებს, როგორ შეხედავს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ევროპა.

ძალიან კარგი ფაქტი იყო ის, რომ დედაქალაქის ცენტრში ასი ათასი ადამიანი შეიკრიბა. ეს ფაქტი დადასტურებაა იმისა, რა სურს ქართველ ხალხს, რასაც დასავლეთიც აუცილებლად გაითვალისწინებს. 2012 წელსაც იგივე მოხდა, ქუჩაში გამოსული ხალხის რაოდენობამ დაგეგმილი სცენარი სრულიად შეცვალა, სცენარის შეცვლამ ხელისუფლების შეცვლა გამოიწვია. ხალხის აქტიურობა ყოველთვის ცვლის პროცესებს. ვინც ჩვენს ქვეყანაში გეგმებს აწყობს, ხალხის ხმას ყოველთვის მოისმენს, თუკი ვიაქტიურებთ.

## ღმერთმა არ ქნას, ნაციონალებმა გაიმარჯვონ!

ხელისუფლება გრძნობს თავის შეცდომებს, მათ შორის, საგარეო და საშინაო პოლიტიკაშიც. მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება და იმის თქმა, რომ ხელისუფლებამ ხალხის დაკვეთა უნდა შეასრულოს. ვფიქრობ, ისინი მზად არიან ვითარების შესაცვლელად. მთავრობა ვალდებულია, რადიკალური ცვლილებები განახორციელოს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ყოფნაარყოფნის საკითხი დადგება.

**— მოსახლეობამ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი აქტიური მოქმედებებით ხელისუფლებას და არა მხოლოდ მათ, დაანახვა, რომ ლიბერალიზმს უთხრა უარი, უარი უთხრა დასავლურ კურსს, რადგან საპრეზიდენტო კანდიდატები ლიბერალურ ფრთას წარმოადგენდნენ...**

— ჯერ ნაციონალები უნდა მოვიშოროთ, უნდა გავთავისუფლდეთ ფსევდოოპოზიციისგან, შემდეგ კი შეიქმნას რეალური ოპოზიციური ძალა, რომელიც იქნება ხალხის აზრის გამომხატველი. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ხალხის ლეგიტიმაცია უნდა ჰქონდეს ოპოზიციას, რომელიც, მჯერა, ამ არჩევნების შემდეგ გამოჩნდება და მერე ყველაფერი რიგზე იქნება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**




**«2008 წლის აგვისტოში საქართველოში იყო დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის, ოღონდ ჩვენს ტერიტორიაზე და უკრანასა და რუსეთს შორის რაც ხდება, ისიც ჰგავს იმ ყველაფერს»**

**«ასოცირების ხელშეკრულებით ჩვენ ვიკისრეთ 350 კანონის მისადაგება ევროპულისთვის. ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან, რაც ევროპაში მისაღებია, ქართველებისთვის არის მიუღებელი და აქ ნამდვილად გვმართებს ლავირება»**

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ გვჭირდება ახალი რესურსი, ახალი მიდგომა, ახალი საგანმანათლებლო ბაზა. ჩვენს პოლიტიკურ ისტებლიშმენტს გამდიდრება სჭირდება ემიგრაციასა და რეგიონებში მცხოვრები საინტერესო ადამიანებით“.**

# «ხალხმა დაინახა ულტრალიბერალიზმი ნაცების მხრიდან და ამიტომ დაიძახა: არა მიშას! არა ბოკერიას! არა ჯალათებს!»

**2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა ქართველ საზოგადოებას ახალი, მძლავრი ძალის შექმნის აუცილებლობა დაანახვა. ქართულ პოლიტიკაში „ახალ ძალად“ შემოსვლის სურვილი უკვე რამდენიმე სუბიექტმა გამოთქვა. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ზუსტად საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, 28 ნოემბერს, გამოვა. ჩვენ შევეცდებით პოლიტიკოსებთან და პოლიტოლოგებთან ერთად ვიმსჯელოთ არჩევნების მეორე დღიდანვე რაზე უნდა იზრუნოს ქართველმა ხალხმა. ვესაუბრებით პოლიტოლოგ ირაკლი უზილავასა და პოლიტიკოს დიმიტრი ლორთქიფანიძეს.**

**ბოლო არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ლიბერალური ძალები, ამერიკელების მიერ შექმნილი ძალები, განიცდიან დელეგიტიმაციას, კოტრდებიან, ძალას იკრებენ კონსერვატორული ძალები. ამ ყველაფერს ხელს შეუშლის არსამთავრობოები და ამერიკის საელჩო, მაგრამ ყველაფერი ხალხის გადასაწყვეტია, ხალხმა უნდა ივაჟკაცოს**



**„თავისუფლების მოედანზე კონსერვატორული საზოგადოება იდგა. ყველამ დაინახა, რომ ქვეყანაში კონსერვატორები სჭარბობენ“**

**ირაკლი უზილავა, პოლიტოლოგი:**

— როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებზე ვსაუბრობთ, ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ და ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რის მიღწევას აპირებდა დასავლეთი საქართველოში — მას სურდა, რომ ბრძოლა ძალაუფლების მოსაპოვებლად ორ ლიბერალურ ძალას შორის ყოფილიყო, რეალურად ამას ხედავს კიდეც ქართველი საზოგადოება. „ქართულმა ოცნებამ“ არათუ დასაჯა დამნაშავეები, არამედ ისინი მთავარ ოპოზიციურ ძალად დაიყენა. ამ ვითარებამ ხელისუფლება ჩიხში შეიყვანა. ქვეყანაში შეიქმნა ორი პოლუსი, ორივეს ჰყავს თავისი ამომრჩეველი, დანარჩენი ამომრჩეველი არის ნიჰილისტურად განწყობილი — არ მიდიან არჩევნებზე, მაგრამ ამერიკელებს ეს არ აინტერესებთ, მათ მხოლოდ ის უნდათ, რომ ხელისუფლება იყოს პროამერიკული, მათ საქართველოში პოლიტიკური განვითარება დაასრულეს, ფაქტობრივად, დახურეს ეს სფერო.

საქართველოში **ანგელა მერკელი** აგვისტოში იყო და განაცხადა: მმართველმა პარტიამ უნდა შეიგნოს, რომ, შესაძლოა, დღეს მმართველი იყოს, მაგრამ ხვალ ოპოზიციაში აღმოჩნდესო. ეს მიუთითებდა იმაზე, რომ გლობალისტებს სურთ, საქართველოში ორ ლიბერალურ ძალას შორის იყოს დაპირისპირება. მათ ამას მიაღწიეს კიდეც.

საზოგადოების უპირველესი ამოცანაა, **სალომე ზურაბიშვილმა** მოიგოს, თუმცა ამჟამინდელი კონსტიტუციის მიხედვით არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ვაშაძე მოიგებს თუ ზურაბიშვილი, რადგან საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს არ შეუძლია ხელისუფლებასა და საკანონმდებლო ორგანოზე ზემოქმედება. ქართველმა საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. 23-25 ნოემბერს „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებულმა საპროტესტო აქციებმა ბათუმსა და თბილისში დაგვანახვა, რომ კონსერვატორ ამომრჩეველთა რაოდენობა გაცილებით მეტია ქვეყანაში, ვიდრე ლიბერალები. შესაბამისად, უნდა მოხდეს კონსერვატორებისა და ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, უნდა შეიკრას ერი ერთ ძალად, რათა 2020 წელს შეძლოს ხელისუფლების სათავეში მოსვლა, ხელისუფლებიდან კი უნდა გაირიყოს ყველა ლიბერალური ძალა.

**— დღეს ბევრს საუბრობენ, რომ ახალი ძალაა საჭირო. ვის განიხილავთ მეორე ძალად? ბევრმა გამოთქვა „ახალ ძალად“ ჩამოყალიბების სურვილი...**

— **თაკო ჩარკვიანს** სურს, მესამე ძალა გახდეს, მაგრამ ეს ქალბატონი, თავისი პოლიტიკური წარსულიდან გამომდინარე, ვერ გახდება მესამე ძალა, რადგან ლიბერალური ფრთაა და იქ უკვე ბევრნი არიან, მას ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არ აქვს. მისი მხრიდან პარტიის შექმნის იდეა კიდევ უფრო დაანაწევრებს ლიბერალების ხმებს. ლიბერალებს სამი პარტია აქვთ: „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“, თაკო ჩარკვიანი კი ხმებს გაყოფს და კონსერვატორებისთვის ეს უკეთესია. საქართველოში ამომრჩევლის 60% კონსერვატორია და ამიტომ ამ პოზიციაზე მდგომი პარტიები უნდა გაერთიანდნენ, მაგრამ, თუ ისინი გათითოკაცდებიან, დაჯგუფებებად დაიყოფიან, მათი ხმებიც გაიყოფა და ხელისუფლებაში მოსვლის შანსს დაკარგავენ. **ბურჯანაძის** პარტია იქნება, **გიორგი ანდრიაძისა** თუ „პატრიოტები“, უნდა დათმონ ამბიციები და ერთ ძლიერ მუშტად შეიკრან. სხვა შემთხვევაში კონსერვატორებს გამარჯვების შანსი არ აქვთ.

**— მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსი“ ვერ შეძლებს ხელისუფლების სათავეში ყოფნას? მათ ასი ათასი ადამიანი გამოიყვანეს ქუჩაში...**

— მარტო ვერავინ შეძლებს, მოერიოს ლიბერალურ ძალას, **„პატრიოტების“ აქციებმა საზოგადოებასა და ხელისუფლებასაც დაანახვა, რომ მთავარი რესურსი კონსევატიულ განწყობებშია, მაგრამ ამ რესურსს სწორად გამოყენება სჭირდება. მის ირგვლივ, მის საფუძველზე უნდა გაერთიანდნენ ის ძალები, რომლებიც თავს პატრიოტებად თვლიან. მათ პირადი ამბიციები გვერდზე უნდა გადადონ.** ერთ მუშტად შეკვრას უნდა მოჰყვეს მძლავრი პოლიტიკური პლატფორმის, იდეის შექმნა.

**— „პატრიოტთა ალიანსმა“ დღეს დაიძახა: „არა ნაციონალებს!“ და ამიტომ დადგა ხალხი მათ გვერდით. სხვა ლოზუნგის ქვეშ თუ გაერთიანდება მათ ირგვლივ საზოგადოება?**

— არა, სხვა შემთხვევაში მათთან ხალხი არ მივა. საზოგადოებას ვერ მოატყუებ, **ხალხმა დაინახა ულტრალიბერალიზმი ნაცების მხრიდან და ამიტომ დაიძახა „არა მიშას! არა ბოკერიას! არა ჯალათებს!“ — ეს არის ანტილიბერალური გამოსვლა და ხალხი ამიტომ დაუდგა „პატრიოტებს“ გვერდით. თავისუფლების მოედანზე კონსერვატორული საზოგადოება იდგა. ყველამ დაინახა, რომ ქვეყანაში კონსერვატორები ჭარბობენ.**

ხელისუფლებაც და ოპოზიციაც დელეგიტიმაციას განიცდის, მათი ამომრჩეველი არის 15-დან 18 პროცენტამდე, დანარჩენი ჩვენ ვართ — კონსერვატორები. ლიბერალების მომხრეები კიდევ შემცირდება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუკი კონსერვატორები შეცდომებს არ დაუშვებენ.

ბოლო არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ლიბერალური ძალები, ამერიკელების მიერ შექმნილი ძალები, განიცდიან დელეგიტიმაციას, კოტრდებიან, ძალას იკრებენ კონსერვატორული ძალები. ამ ყველაფერს ხელს შეუშლის არსამთავრობოები და ამერიკის საელჩო, მაგრამ ყველაფერი ხალხის გადასაწყვეტია, ხალხმა უნდა ივაჟკაცოს.

**— თუ ასე არ მოხდება, 2020 წელს რა შედეგი გვექნება?**

— თუ ისევ ეს ძალები დარჩნენ ხელისუფლებასა და ოპოზიციაში, მაშინ 2020 წელს ხელისუფლებას ნაციონალები ჩაანაცვლებენ, დავბრუნდებით იქ, სადაც ვიყავით და უარესიც, საგარეო პოლიტიკაში დაიწყებენ აგრესიულ მოქმედებებს, დაიწყებენ ახალ კონფლიქტს რუსეთთან და ეს დაგვღუპავს.

აუცილებლად უნდა მოხდეს ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაცია, სხვა არაფერი გადაგვარჩენს.



**„სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება იქნება ქართველი ხალხის გადაწყვეტილება და არა ხელისუფლების“**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, ქართულ-რუსული ურთიერთობების საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი:**

— ჩვენი გაზეთი არჩევნების დღეს გამოვა, ღმერთმა ქნას, იმ შედეგით დასრულდეს დღე, რომელიც ბევრს სურს საქართველოში... რა ვქნათ ხუთშაბათიდან, რაზე უნდა იზრუნოს ქართველმა საზოგადოებამ?

— **სალომე ზურაბიშვილის** გამარჯვება დამოკიდებულია არა ხელისუფლებაზე, არამედ ქართველი საზოგადოების მხარდაჭერაზე. სალომეს გამარჯვებას ალტერნატივა არ აქვს ამ არჩევნებში. მეორე ტურის წინ ყველაფერი შეიცვალა.

სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება იქნება ქართველი ხალხის გადაწყვეტილება და არა ხელისუფლების, რასაც ეტაპობრივად, ნათლად და დამაჯერებლად იტყვის თქვენი გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, დიდი მადლობა იმისთვის, რომ არჩევნების დღეს მე მომმართეთ. სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობა სახალხო არჩევანი იქნება და არა პარტიული.

სალომე გამოცდილი დიპლომატია, პოლიტიკოსი და ის ხალხის რჩეულია, ყველა იმ უფლებებით, რომლებიც მას აქვს.

**— სალომე ზურაბიშვილი სახელისუფლებო კანდიდატია, ხელისუფლება ლიბერალურია, ამიტომ ხალხი ფიქრობს, რომ ის ლიბერალურ გადაწყვეტილებებს მიიღებს, მხარს დაუჭერს მთავრობას ნებისმიერ საკითხში...**

— სალომე ზურაბიშვილი მაინც დამოუკიდებელი კანდიდატია და მის გაპრეზიდენტებას ქართველმა ხალხმა დაუჭირა მხარი. ეს არ არის ხელისუფლების დამსახურება. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, მეც ვიფიქრებდი, რომ ზურაბიშვილი დამოკიდებული იქნებოდა ხელისუფლებაზე.

**— ბევრმა სუბიექტმა გამოთქვა „მესამე ძალად“ ყოფნის სურვილი. რა აქვს ხალხს გასაკეთებელი არჩევნების დასრულების შემდეგ?**

— მესამე ძალა არა, „ახალი ძალა“, ეს სიტყვა თქვა **ლევან ჩაჩუამ**, მისი ექსკლუზივია. ახალი ძალა აუცილებელია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს **თაკო ჩარკვიანის** პარტია, რომელიც **ლეხ კაჩინსკის** მიერ ჩამოყალიბებული პარტიის იდენტურია. გიორგი ანდრიაძის გარშემო საინტერესო ადამიანების თავყრილობაა, იქ არიან **ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი, კოტე მთავრიშვილი** და ბევრი სხვა. „პატრიოტთა ალიანსი“ ანგარიშგასაწევი ძალაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხალხმრავალი აქციები გამართეს. სასურველია, გაერთიანდნენ ის პარტიები, რომლებისთვისაც სამშობლო უპირველესია. ამბიციები ახლა ყველამ განზე უნდა გადადოს და გაერთიანებისთვის ყველაფერი გააკეთოს, მაგრამ, თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ახალი ძალის რესურსი უნდა ვეძებოთ რეგიონებსა და ემიგრაციაში. მჯერა, მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც 2020 წლის არჩევნებს დაუკავშირებენ თავიანთ მოღვაწეობას. ჩვენ გვჭირდება ახალი რესურსი, ახალი მიდგომა, ახალი საგანმანათლებლო ბაზა. ჩვენს პოლიტიკურ ისტებლიშმენტს გამდიდრება სჭირდება ემიგრაციასა და რეგიონებში მცხოვრები საინტერესო ადამიანებით. ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც ახალი ძალის ჩამოყალიბების იდეის მომხრეა. **არ შეიძლება, გამუდმებით ცუდსა და უარესს შორის ვაკეთოთ არჩევანი.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«ქართველმა საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. 23-25 ნოემბერს «პატრიოტთა ალიანსის» მიერ ორგანიზებულმა საპროტესტო აქციებმა ბათუმსა და თბილისში დაგვანახვა, რომ კონსერვატორ ამომრჩეველთა რაოდენობა გაცილებით მეტია ქვეყანაში, ვიდრე ლიბერალები. შესაბამისად, უნდა მოხდეს კონსერვატორებისა და ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, უნდა შეიკრას ერი ერთ ძალად, რათა 2020 წელს შეძლოს ხელისუფლების სათავეში მოსვლა, ხელისუფლებიდან კი უნდა გაირიყოს ყველა ლიბერალი»**

**2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ბიძინას სასარგებლოდ მუშაობდა 9 წელიწადზე საუბარი, რადგანაც ამ თემას პარლამენტის ტრიბუნიდან ის ადამიანები ჩრიდნენ ნაცებს ცხვირში, რომლებმაც 2012 წლის არჩევნებად წოდებულ რევოლუციაში ლომის წილი დაიდეს. 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე კი იმიტომ აღარ იმუშავა ეფექტიანად 9 წლის თემამ, რომ ამაზე, ძირითადად, საუბრობდა 2016 წლის მოწვევის გალიბერასტებული პარლამენტის „სასტავი“ — ჩუგოშვილ-თალაკვაძეები და მდინარაძე-კობახიძეები და ა.შ. რომლებიც 2012 წლამდე ან საერთოდ არ ჩანდნენ, ან თუ ჩანდნენ, ნაცების ბანაკში და ამიტომ მათ 9 წელიწადის თემაზე საუბრის მორალური უფლება არ ჰქონდათ.**



ავი მესაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «პატრიოტთა ალიანსი» — ალტერნატივა საქართველოსთვის?

**ა.წ. 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე ვწერდით, რომ ასევე 28 ოქტომბრის, ოღონდ 1990 წლის საპარლამენტო არჩევნების, შემდეგ, რომლის შედეგადაც ჯერჯერობით ერთადერთი ეროვნული ხელისუფლება იყო ქვეყნის სათავეში, ლამის 30 წელიწადია, საქართველოს მუდამ ცუდსა და უარესს შორის უწევს არჩევნის გაკეთება.**

ასევე ვწერდით, რომ მართალია, ქოცები და ნაცები იდეოლუგიურად ერთი ლიბერასტული ხის სხვადასხვა ტოტები არიან, მაგრამ პირსისხლიანი **სააკაშვილის ვაშაძესა და ბაქრაძეს** ისევ **ბიძინა ივანიშვილის სალომე ზურაბიშვილი** სჯობია... მაგრამ ისე მძიმედ თუ იყო საქმე, რომ ნაცები მეორე ტურში გააღწევდნენ, ამას ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე უკლებლივ ყველა არჩევნებში ბიძინა ივანიშვილი, როგორც თვითონ ამბობდა, მოსახლეობის ჭარბი ნდობით სარგებლობდა და, სარიც რომ ჩაერჭო მიწაში, ბიძინას ხათრით იმასაც ხმას მისცემდა ამომრჩეველი — ასეთი „სარები“ აგვარჩევინა ბიძინამ: თბილისის მერად — დავით ნარმანია, საქართველოს პრეზიდენტად — გიორგი მარგველაშვილი, რაიონის გამგებლებზე ხომ ლაპარაკიც არ ყოფილა.

**2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ბიძინას სასარგებლოდ მუშაობდა 9 წელიწადზე საუბარი, რადგან ამ თემას პარლამენტის ტრიბუნიდან ის ადამიანები ჩრიდნენ ნაცებს ცხვირში, რომლებმაც 2012 წლის არჩევნებად წოდებულ რევოლუციაში ლომის წილი დაიდეს. 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე კი იმიტომ აღარ იმუშავა ეფექტიანად 9 წლის თემამ, რომ ამაზე, ძირითადად, საუბრობდა 2016 წლის მოწვევის გალიბერასტებული პარლამენტის „სასტავი“ — ჩუგოშვილ-თალაკვაძეები და მდინარაძე-კობახიძეები და ა.შ. რომლებიც 2012 წლამდე ან საერთოდ არ ჩანდნენ, ან თუ ჩანდნენ, ნაცების ბანაკში და ამიტომ მათ 9 წელიწადის თემაზე საუბრის მორალური უფლება არ ჰქონდათ.**

ამას დავუმატოთ ისიც, რომ 6 წლის განმავლობაში ახალ ხელისუფლებას უბრალო ხალხისთვის თითქმის არაფერი გაუკეთებია და ისიც, რომ ნაცებზე არანაკლებ გაუმაძღარები არც ქოცები აღმოჩნდნენ და, მეორე ტური კი არა, პირველივე ტურში რომ არ გაიმარჯვეს ნაცებმა, ესეც საკვირველად მოგვეჩვენება...

სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ მიშნაცების შედეგი ქოცების წინააღმდეგ საერთაშორისო შეთქმულების ბრალიც არის.

**დასავლეთიდან გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობოები, როგორც მათ უწოდებენ, მესამე სექტორი — საია, საერთაშორისო გამჭვირვალობა და ე.წ. სამართლიანი არჩევნები, პლუს სახალხო დამცველი, აშკარად იდგნენ და დგანან მიშნაცების მხარეს. ამათ პლუს „რუსთავი 2“ და კიდევ პლუს ნაცების მიერ მოსყიდული ევროსაბჭოს დეპუტატები; ე.წ. შვილმოკლული მამების ნაცების მიერ აშკარად მართული პოლიტიკური აქცია და ერთუჯრედიანი ზაზა ოქუაშვილი ზემოთ ხსენებული შეთქმულების ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლია.**

ამ ყველაფრის დასტურად გავიხსენოთ, **კაპიტან გიგაურის** „ენჯეოებმა“ სახალხო დამცველ ლომჯარიასთან ტანდემში როგორ პროვოკაციულად გაშალეს კარვები რუსთაველზე შვილმოკლული მამების საამებლად. ეს ის ხალხი და ორგანიზაციებია, რომლებსაც ყური არ შეუბერტყავთ მაშინ, როდესაც კანცელარიის წინ მოშიმშილე „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებსა და მათ თანამოაზრეებს, კარვები გააშლევინეს კი არა, უბრალო ცელოფნის გადაფარების ნებასაც არ აძლევდნენ იმ სუსხსა და ქარ-წვიმაში! ეს ის ხალხი და ორგანიზაციებია, რომლებიც იმ ავბედითი 9 წლის განმავლობაში აშშ-ევროპაში წერილებს გზავნიდნენ იმის შესახებ, როგორ ყვაოდა ადამიანის უფლებები „დემოკრატიის შუქურის“ საქართველოში.

**ევროსაბჭოს დეპუტატები? თუ აქამდე სისხლიანი მიშნაცების მფარველი ე.წ. ევროპის სახალხო პარტია შეფარვით ცდილობდა ქართველთა ჯალათების ლობირებას, ახლა ეს ნიღაბიც მოიხსნეს და უკვე ღია ტექსტით ამუნათებენ ქოცების ხელისუფლებას, იქამდეც კი, რომ ბიძინა ივანიშვილის დაპირებას 600 ათასი ადამიანისთვის საბანკო ვალების განულების შესახებ უაპელაციოდ უწოდებენ ამომრჩევლის მოსყიდვას არჩევნების მეორე ტურის წინ.**

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმულს, ქოცების დასაცავად კი არა, ობიექტურობის გამო ვიხსენებ, რადგან, რაც არჩევნებზე მარცხი იწვნიეს, ღირსი იყვნენ, მაგრამ ჩვენ, რიგითმა მოქალაქეებმა, რა დავაშავეთ?!

სწორედ აქედან გამომდინარე ირაზმება მეორე ტურის წინ სრულიად საქართველო, თუმცა დარაზმვაც არის და დარაზმვაც — ქოცების ხელისუფლების დარაზმვა სხვა არაფერია, ადმინისტრაციული რესურსის მაქსიმალური მობილიზაციის გარდა.

აქედან გამომდინარეა, ალბათ, ის, რომ **დავით მაღრაძის** მეთაურობით რეგიონებში მივლინებული სააგიტაციო ბრიგადები პატარა ზომის დახურულ სივრცეში შეხვედრებსა და იქ „აკადემიურ“ საუბრებს ამჯობინებენ სისხლიანი 9 წლის შესახებ, ვიდრე ხალხმრავალ დარბაზებში. ასე იყო ქუთაისში, ბათუმსა თუ თელავში. პირველი ტურისგან განსხვავებით, მეორე ტურის წინ სპორტის სასახლეში შეკრებას ვეღარ ბედავდნენ ქოცები, — ემანდ იქნებ ვერ შევავსოთ და სირცხვილი ვჭამოთო. დიდ მოედნებზე თუ სტადიონებზე ხომ ლაპარაკიც არ არის.

ვინც მსგავსი გამოწვევა მიიღო, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსია“, რომელმაც მეორე ტურის წინ პოლიტიკური პარტიებიდან ერთადერთმა გამოუცხადა თანადგომა **სალომე ზურაბიშვილს** — რეალური ძალის მქონე პარტიებზე გვაქვს საუბარი, თორემ ე.წ. ორკაციანი პარტიები რა სახსენებელია?!



**თუ აქამდე სისხლიანი მიშნაცების მფარველი ე.წ. ევროპის სახალხო პარტია შეფარვით ცდილობდა ქართველთა ჯალათების ლობირებას, ახლა ეს ნიღაბიც მოიხსნეს და უკვე ღია ტექსტით ამუნათებენ ქოცების ხელისუფლებას, იქამდეც კი, რომ ბიძინა ივანიშვილის დაპირებას 600 ათასი ადამიანისთვის საბანკო ვალების განულების შესახებ უაპელაციოდ უწოდებენ ამომრჩევლის მოსყიდვას არჩევნების მეორე ტურის წინ**



რეალურ ძალას რომ ფლობენ, ეს „პატრიოტებმა“ ჯერ 23 ნოემბერს ბათუმში დაამტკიცეს, სადაც ერას მოედანი 15 ათასამდე ადამიანმა შეავსო და შემდეგ, 25 ნოემბერს თბილისში, თავისუფლების მოედანზე 100 ათას კაცზე მეტი გამოვიდა.

მავანმა შეიძლება დამამუნათოს, რომ ამდენი ხალხი, „პატრიოტთა ალიანსთან“ კი არა, იდეის გამო მივიდაო, თუმცა რაღა მავანმა, როცა ზუსტად ეს მითხრა აქციაზე ერთმა ყოფილმა და, შესაბამისად, დაბოლმილმა „პატრიოტელმა“...

იქნებ ნაწილობრივ ასეც იყო, მაგრამ არც ის არის უმნიშვნელო, ვინ არის აქციის ორგანიზატორი — ახლა **შალვა ნათელაშვილმა** რომ დააანონსოს აქცია ლოზუნგით „არა ნაცებს“, მხოლოდ ლოზუნგის გამო 100 ათასი კაცი მივა?

ცნობილი ამბავია, რომ „პატრიოტთა ალიანსმა“ პარტიის წევრებსა და მათ მხარდამჭერებს არჩევნების პირველი ტურის წინ სრული თავისუფლება მიანიჭა, მათგან ზოგი საერთოდ არ წავიდა არჩევნებზე და, ვინც წავიდა, უმრავლესობამ ყველა კანდიდატი გადახაზა.

იქიდან გამომდინარე, რა რაოდენობის ხალხი გამოიყვანეს ალიანსის წევრებმა ბათუმსა და თბილისში, „პატრიოტთა ალიანსს“ 28 ოქტომბერს რომ მოეწოდებინა პარტიის წევრებისთვის სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერისკენ, თამამად შეიძლება იმის თქმა, ქალბატონი სალომე პირველივე ტურში გაიმარჯვებდა.

თუმცა ნათქვამია: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ და პირველ ტურში ამომრჩევლის მიერ ქოცებისთვის სილის გაწვნამ მეორე ტურის წინა საარჩევნო პერიოდში ერთი დადებითი შედეგი უკვე გამოიღო.

დიდი ხანია, რაც საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ე.წ. მესამე ძალის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობენ და თქვენი მონა-მორჩილი უფრო შორსაც წავალ.

დასავლეთის წამყვან ქვეყნებში, უკლებლივ ყველგან, შეინიშნება ეროვნული, კონსერვატიული ძალების მომძლავრების აშკარა ტენდენცია. მაგალითად, საფრანგეთში ეს არის **მარინ ლე პენის** პარტია, ხოლო გერმანიაში ფანტასტიკური შედეგი აჩვენა ბუნდესტაგის არჩევნებზე პოლიტიკურმა პარტიამ „ალტერნეტივა გერმანიისთვის“...

აქედან გამომდინარე, ჩვენშიც უნდა შეიქმნას, მესამე ძალა კი არა, „ალტერნატივა საქართველოსთვის“. ამაზე საფუძვლიანი პრეტენზია შეიძლება „პატრიოტთა ალიანსმა“ განაცხადოს. მაგრამ ეს „შეიძლება“ რეალობად რომ იქცეს საჭიროა, მათ მიერ ორგანიზაბულმა მრავალათასიანმა აქციებმა კონკრეტული შედეგები გამოიღოს. მაგალითად, **თუ არჩევნების შემდეგ ქართველი საზოგადოების მიერ გადარჩენილმა ქოცების პარლამენტმა პატრიოტების მიერ ინიცირებული რეზოლუცია სააკაშვილი-ბოკერიას ხელისუფლების დამნაშავე რეჟიმად გამოცხადებისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ არ მიიღო (რისი დიდი შანსიც არის, რადგან, ვიმეორებ, ქოცები და ნაცები იდეოლოგიურად ერთნი არიან), რადგან ნათქვამია: „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო“, პატრიოტებმა მრავალათასიანი მიტინგი უნდა გამართონ და, თუ მაინც არ შეისმინეს ხალხის ხმა, მაშინ აქციამ პერმანენტული ხასიათი უნდა მიიღოს უფრო რადიკალური მოთხოვნით: გადადგეს ქოცების ხელისუფლება და დაინიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები!**

ასეთ შემთხვევაში, თუ ჭკუა ეყო, „პატრიოტთა ალიანსს“ მხარში უნდა ამოუდგეს სალომე ზურაბიშვილი, რადგან მართალი თქვა **ირმა ინაშვილმა:** მეორე ტურში ბიძინა ივანიშვილი კი არ ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტს, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ მისი უდიდებულესობა ქართველი ერი აირჩევს სალომე ზურაბიშვილს და, თუ ჭკვიანად არ იქნება, მასაც პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრებსო.

„პატრიოტთა ალიანსი“ ასევე დემონსტრაციულად უნდა გაემიჯნოს ე.წ. მესამე სექტორს, როგორც ნეოლიბერალების მეხუთე კოლონას საქართველოში.

პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის ლოგიკიდან გამომდინარე, არჩევნების შემდეგ პარლამენტში დაიწყება „ქართული ოცნების“ რღვევის პროცესი, სავარაუდოდ, „პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლოდ — ეროვნულად მოაზროვნე დეპუტატების უმრავლესობა ალიანსის რიგებში გადაინაცვლეს, რის შედეგადაც ყოველგვარი მიტინგების გარეშეც „პატრიოტთა ალიანსი“ პარლამენტში ანგარიშგასაწევ ძალად იქცევა.

პარტიამ, რომელსაც პრეტენზია ექნება, იყოს „ალტერნატივა საქართველოსთვის“, 2020 წლის არჩევნებამდე უნდა მიაფურთხოს ეშმაკს და ქართველ ხალხს უთხრას სიმართლე, რომ ფარისეველი დასავლეთის შემყურე საქართველო ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში შაგრენის ტყავივით დაპატარავდა, რომ ათასი ჯურის მიგრანტებმა წალეკეს საქართველო და ქართველი ერი, რომელიც უკონტროლო მიგრაციის გამო მენტალური გადაგვარების, ფიზიკური გადაშენების რეალური საფრთხის წინაშე დგას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები ერთმორწმუნე რუსეთშია და არა ლიბერასტულ ვაშინგტონ-ბრიუსელში, როგორც ამას ერთ ხმაში გვიგალობენ ქოცები და ნაცები.

**დავით მხეიძე**

ერის გასაგონად

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვალერი ასათიანს ორმაგი მკვლელობა დააბრალეს სატანისტური რიტუალის განხორციელებით, მაშინ, როცა მკვლელი არა მხოლოდ გამოვლენილი იყო, აღიარებდა დანაშაულს და... მის ავადმყოფურ გონებაში მოხარშული ეს ბოდვა „რუსთავი 2“-ს თავის გასამართლებლად მიასაღა.**

**2000 წლის მაისის პირველ რიცხვებში „რუსთავი 2“-მა პროგრამით „60 წუთი“ (წამყვანი — გოგიჩაიშვილი) განახორციელა, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, სიტყვით მკვლელობა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, გულმხურვალე მამულიშვილისა და სპეტაკი ადამიანის — ვალერი ასათიანისა; აქტი ბილწი, რომელიც ხელეწიფებოდა მხოლოდ ისეთ ანტიეროვნულ და ბინძურ მედიასაშუალებას, როგორიც ეს ყროლად ჩამოყალიბებული ტელეკომპანია იყო და არის.**

# «სიტყვით მკვლელობა», რომელიც სააკაშვილის დავალებით «რუსთავი 2»-მა ჩაიდინა

ვალერი ასათიანს ორმაგი მკვლელობა დააბრალეს სატანისტური რიტუალის განხორციელებით, მაშინ, როცა მკვლელი არა მხოლოდ გამოვლენილი იყო, აღიარებდა დანაშაულს და... მის ავადმყოფურ გონებაში მოხარშული ეს ბოდვა „რუსთავი 2“-ს თავის გასამართლებლად მიასაღა.

იმასაც ეს უნდოდა და:

— დაიწყო სერია ანონსების, რომ მალე საზოგადოება შეიტყობს საოცარ ამბავს, რომელიც დაკავშირებულია მკვლელობასთან, აგენტობასთან, კორუფციასთან და ა.შ. და ამ ყველაფრის თავიდათავი მე ვარ, — **იხსენებს ბატონი ვალერი მძიმედ, ტკივილით, რომელიც მოურჩენელ ჭრილობად გასდევს მის ცხოვრებას იმ დროიდან მოყოლებული დღემდე,** — ათი-თხუთმეტი ანონსი გავიდა, საზოგადოებას ამზადებდნენ, მის ყურადღებას იპყრობდნენ.

რა იყო ამ გადაცემის, მისი ავტორების, ტელეკომპანიის ხელმძღვანელობისა და დამკვეთ-დამფინანსებლის მიზანი და ამოცანა? — მეკითხებოდნენ მაშინ და ახლაც მეკითხებიან.

„ახალგაზრდა რეფორმატორები“ ამბობდნენ და საზოგადოებაში ნერგავდნენ აზრს, რომ მოდიოდნენ სუფთა ხელებითა და სინდისით, პროფესიონალები, რომლებმაც განათლება ოკეანის გაღმა მიიღეთო: ზოგმა — იქ, ზოგმა — აქ, მოვდივართ იმათ აღსაგვილად, რომლებიც ხელისუფლებაში არიან — მკვლელების, რუსეთის აგენტებისა და კორუმპირებულებისო.

**— ბრალს რაში გდებდნენ?**

— სამი ბრალდება წამიყენეს: ორი კაცის სატანისტური მკვლელობა, რუსეთის აგენტობა და კორუმპირებულობა.

ძალიან მომგებიანი იყო მაშინ მათთვის ეს თემატიკა.

დიდი მადლობა უნდა ვუთხრა ყველას, ვინც მაშინ მხარში ამომიდგა, გამამხნევა და სასამართლო სხდომებზე დასწრებაც არ დაიზარა. მადლობელი ვარ მართალი პრესის, ხელოვნების მუშაკების, მწერლების. ჯანსუღ ჩარკვიანმა რამდენიმე ლექსიც კი გამოაქვეყნა. ერთ-ერთს, რომელიც 31 მარტს დაიბეჭდა, ერქვა „აწმყო შეგვერგო არმად“:

**ჭეშმარიტება გაქრა,**
**ღვინო ქცეულა შხამად,**
**მივსდევთ ეშმაკთა ამქარს,**
**აწმყო შეგვერგო არმად.**

ასე იწყებოდა. გაშხამებული ცხოვრება ნაციონალების მიერ იყო ხელდებული, „რეფორმატორების“, ცრუდემოკრატების, მიშა სააკაშვილის გუნდის მიერ, სხვებს აღარ ჩამოვთვლი, არც ღირს მათი სახელების ხსენება. ზოგი ცოცხალიც არ არის.

**— თქვენ რატომ ამოგირჩიეს მაინცდამაინც?**

— მარტო მე არა, სხვებიც იყვნენ... მთავარი მაინც ის არის, რომ ნაციონალებმა საშინელი უბედურება დაატრიალეს საქართველოში. **სააკაშვილის მოძრაობა, ნაციონალური რომ დაირქვეს, ეროვნული ჭირია, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა მოიშოროს ისე, როგორც ძველმა თებელებმა — სანამ ვერ იპოვიდნენ მეფე ლაიოსის მკვლელს, შავი ჭირი არ დატოვებდა თებეს. ისე ვერ მოისვენებს საქართველო, თუ სამართლიანობა არ დამკვიდრდება, თუ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა. ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად მოხდება.**

მაგრამ დღეს ეს ეროვნული უბედურება გრძელდება.

ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა მკითხა, — სააკაშვილზე რას იტყვითო. გავიმეორებ, რაც ვუპასუხე: **სააკაშვილი არის არსება, რომელიც ადამიანად ვერ შედგა, არათუ ქართველად, არათუ პოლიტიკოსად, არათუ მოქალაქედ, — ადამიანად, საერთოდ. იგია არსება, რომელიც ვერ უპასუხებს ადამიანისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, ადამიანის კრიტერიუმს.**

ამას მე სრული რწმენით ვამბობ, რადგან იგი და მთელი მისი ხროვა, მისი ფილიალები, რომლებიც დღეს ფსევდოდემოკრატიული იდეების დამკვიდრებას ცდილობენ, ყველაფრის მკადრებლები არიან, ყველაფერზე ხელმომწერნი. ხელისუფლების სათავეში ყოფნისას მათი უგუნური პოლიტიკის შედეგად გაიხლიჩა საქართველო. **სწორედ სააკაშვილისა და მისი გუნდის აღვირახსნილი, არაკვალიფიციური, არაპროფესიული, არაადამიანური პოლიტიკის შედეგად დავკარგეთ ტერიტორიები. ესენი რომ არა, სხვაგვარად შეიძლება წარმართულიყო საქართველოს ისტორია. შეარყიეს ადამიანების ფსიქიკა, ზნეობა, ჩვენი მენტალობის შეცვლა მოინდომეს უკუღმართი ფსიქიკის მატარებელმა უდღეურებმა.**

**დღეს ესენი ბედავენ და ჭკუას გვარიგებენ, დიდაქტიკოსებად გვევლინებიან.**

დღეს საქართველოდან გაქცეული და მის მიერვე შექმნილი კანონებით გასამართლებული სააკაშვილი ჰოლანდიიდან და ამერიკიდან აცხადებს, რომ არ ცნობს საქართველოს კანონმდებლობას (!). რომელ მის დემოკრატობაზე შეიძლება ამ შემთხვევაში ლაპარაკი?!

ან რომელი დემოკრატიის გამოხატულება არის ის, რაც სააკაშვილმა ჩემ მიმართ იკადრა?!

„რუსთავი 2“-ის გადაცემის ეთერში გასვლისთანავე მივმართე პროკურატურას თხოვნით, გამოეკვლია ის ბრალდებები, რომლებიც წამიყენეს. პროკურატურამ გამოწვლილვით შეისწავლა ყველა გარემოება და გამოაქვეყნა თავისი ვრცელი დადგენილება ამ საკითხის შემოწმების შედეგების შესახებ: ყოვლად უსაფუძვლო იყო ყველა ბრალდება, მაგრამ მოგეხსენებათ ხალხური სიბრძნე — მე დაგაბრალებ და შენ თავი იმართლეო. ტალახი შემასხეს, ამ მდგომარეობაში ჩამაყენეს მეც და მთელი ქვეყანაც.

თუ დააკვირდებით, ჩვენი ქვეყნის დღის წესრიგს ეს ტელევიზია და მისი მსგავსნი აყალიბებენ. დღესაც ასე არ არის?

**— გეთანხმებით.**

— ამ მზაკვრული ტექნოლოგიების დიდოსტატები არიან.

**— ე.წ. ოვერტონის ფანჯრის პროვინციული მონდომებით განმახორციელებლები.**

— დიახ. ისინი ცდილობდნენ, ხალხში ჩაენერგათ აზრი, რომ მათ მოსვლამდე საქართველოში იყო სიბნელე, უკუნეთი და სხვა არაფერი, უზნეობის, უსამართლობის, უწესობისა და არაპროფესიონალიზმის გარდა. თითქოს მარსიდან ჩამოფრინდნენ ველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე.

ჩვენს თაობას ბრალად წაუყენეს კომკავშირის წევრობა. მე მეამაყება, რომ ვიყავი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდული ერთობის ხელმძღვანელი. **სააკაშვილი იყო პარაზიტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი. მის ბიოგრაფიას ამშვენებს ეს პასაჟი.**


ვალერი ასათიანი

ამას რომ გავყვეთ, ძალიან შორს წავალთ და ნუ მოვაცდენთ თქვენს მკითხველებს ამ არაკაცის ბიოგრაფიის დეტალებით.

მთავარი ის არის, რაც მან და მისმა ხროვამ ჩვენს ქვეყანას დამართეს, როგორ გაამწარეს ხალხი და ღირსება შეულახეს. შეიძლება ვინმემ დაიჯეროს, რომ ესენი ფერსა და ტყავს იცვლიან?! წარმოუდგენელია! ხევისბერი რომ ვიყო, შევძახებდი: იყუჩეთ! მოინანიეთ! იცხოვრეთ რიგითი ადამიანის ცხოვრებით! არ შეიძლება თქვენი მოსვლა ქვეყნის სათავეში! დამღუპველია!

> **«სააკაშვილის მოძრაობა, ნაციონალური რომ დაირქვეს, ეროვნული ჭირია, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა მოიშოროს, ისე, როგორც ძველმა თებელებმა — სანამ ვერ იპოვიდნენ მეფე ლაიოსის მკვლელს, შავი ჭირი არ დატოვებდა თებეს. ისე ვერ მოისვენებს საქართველო, თუ სამართლიანობა არ დამკვიდრდება, თუ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა. ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად უნდა მოხდეს»**

ჩვენ ხშირად ერთმანეთს ვსაყვედურობთ, რომ ვერ ვიჩენთ პრინციპულობას, მოქალაქეობრივ გამჭრიახობას, ბოლომდე ვერ მიგვყავს საქმე, უკომპრომისონი არ ვართ იმ პოზიციების დაცვაში, რომლებიც სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, სიზანტე დაგვძლევს ხოლმე, მაგრამ მაინც არის ის ხაზი, რომელსაც ერი კრიტიკულ მომენტებში განახორციელებს.

დღევანდელი ქართული საზოგადოებრიობა არა და ვერ დაუშვებს ნაციონალების, ამ ეროვნული უბედურების, აღორძინებას საქართველოში. ასეთია ჩემი და არა მარტო ჩემი რწმენა.

დღეს პრეზიდენტის ინსტიტუტის დაცვაზეა ლაპარაკი, მაგრამ, უპირველესად, მაინც ღირებულებების საკითხი დგას. საქართველოში არიან ძალები — ახალგაზრდობაც, შუა თაობაც, შედარებით გამოცდილი თაობაც, ქვეყნის სათავეში რომ მოვიდნენ, როგორც ძველები იტყოდნენ, ზნეობრივად ამაღლებული ადამიანები, და — ამაღლდება საქართველო.

**— ნაცებმა წინასაარჩევნო პერიოდში სიბილწის, სიბინძურის, სიცრუისა და ქვეგამხედვარობის გვირგვინი თავზე დაიდგეს. ხომ არ ვაჭაბებ?**

— არ აჭარბებთ. ესენი მართავენ ბოროტების მანქანას და ამ მანქანის მესაჭეა სააკაშვილი. იცის ხალხმა, რომელ ტელემანქანასაც ვგულისხმობ. იგი მოქმედებდა მაშინაც, როცა მე წარმოუდგენელი რამ დამაბრალეს, იუსტიციის მინისტრი მაშინ მიშა სააკაშვილი იყო. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ხაზგასმით ითქვა, რომ ცილისწამების გავრცელება მოხდა იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით. ხმა ვერ ამოიღო ვერავინ, ვერ უარყვეს. ან რით და როგორ უნდა უარეყოთ, როცა სიმართლე ჩემ მხარეს იყო, დასაბუთებული და არგუმენტირებული?!

**— ისე ჩაუწყდათ ხმა, რომ ბოდიშის მოხდაც ვერ მოახერხეს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მათ ეს დაევალათ...**

— 18 წელიწადი იწურება და დღემდე არ მოუხდია ბოდიში სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიას. ასეთია მათი კანონმორჩილება და მათი დემოკრატიაც ეს არის. მივმართავ მათ, ყალბ დემოკრატებს: კიდევ რამდენ ხანს აპირებთ სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირებას?!

**— ერთი ძველი ანდაზაა: რაც მოციქულები წავიდნენ, სულელებმა წინასწარმეტყველება ხელობად აქციესო. ნუ იწყენთ და შეგეკითხებით: როგორი შედეგით დამთავრდება საქართველოში პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური?**

— უკვე გითხარით, რომ ესენი (ნაცები) არიან უზნეობის, ბოროტების, ქვებუდანობის უახლესი ტექნოლოგიების დამამკვიდრებლები საქართველოში. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ ვკარგავ იმედს, მეტიც, მჯერა, რომ ამ შემთხვევაში ეს არჩევნები ქვეყნის სასიკეთოდ დამთავრდება.

> **«სწორედ სააკაშვილისა და მისი გუნდის აღვირახსნილი, არაკვალიფიციური, არაპროფესიული, არაადამიანური პოლიტიკის შედეგად დავკარგეთ ტერიტორიები. ესენი რომ არა, სხვაგვარად შეიძლება წარმართულიყო საქართველოს ისტორია. შეარყიეს ადამიანების ფსიქიკა, ზნეობა, ჩვენი მენტალობის შეცვლა მოინდომეს ამ უკუღმართი ფსიქიკის მატარებელმა უდღეურებმა. დღეს ესენი ბედავენ და ჭკუას გვარიგებენ, დიდაქტიკოსებად გვევლინებიან»**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „სიტყვით მკვლელობა“ კი ჩაიდინა „რუსთავი 2“-მა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, რადგან კაცი დახვდა ძლიერი და ალალმართალი.**

**ა.ს.**

**როგორც ერთ-ერთმა რიგითმა მოქალაქემ, შემიძლია განვაცხადო, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიერ, ვითომ უფრო მეტი ევროპულობის მოჩვენებითი თვალსაზრისით, წინა ხელისუფლების მიერ საკონსტიტუციო შესწორებით ნაანდერძევი საპარლამენტო მმართველობის შემოღება ამ ფსევდოდემოკრატიულ, შეუმდგარ და ფინანსურ-ეკონომიკურად გაპარტახებულ სახელმწიფოში ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯია.**

მკითხველის თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, შემდგომი წლების სამარცხვინო ისტორია აშკარად მიუთითებს, რომ ჩვენივე უგუნურებითა და უზნეობით, ეროვნული ღირსების დაკნინებით, ეგოისტური გათითოკაცებით და მავანთა მიერ საერთო-სახალხო სახელმწიფოებრივი ქონების უსამართლოდ მითვისებით, ფსევდოდემოკრატიული და ანტისამართლებრივი მმართველობით, უცხო პოლიტიკური ძალების დირექტივებითა და მათ ინტერესებზე დამყარებული იდეოლოგიის გატარებით, ეკონომიკის არაკვალიფიციური მართვით თუ მისი განვითარების მიზანმიმართული შეფერხებით მივიღეთ უმძიმესი შედეგი: ჩვენი მოსახლეობის ხავერდოვანი გენოციდი — ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 5,4 მილიონიდან 28 წლის განმავლობაში შევმცირდით 3,7 მილიონამდე, ე.ი., დაახლოებით მესამედით.**

# დამოუკიდებელი საქართველოს სავალალო პარადოქსები

ჩვენი ყველაზე დიდი და გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა ცხოვრების სოციალისტური ფორმაციიდან უკიდურესად უზნეო და მტაცებლური მეთოდების გამოყენებით არა სამართლიან და ჯანსაღ კონკურენტუნარიან საბაზრო ეკონომიკის ფორმაციაზე გადასვლა, არამედ უკუსვლა მე-19 საუკუნის დასაწყისის ველური კაპიტალიზმის ფორმაციისკენ, რაც, ძირითადად, იმ გარემოებამ განაპირობა, რომ არაკანონიერად მოპოვებულმა კაპიტალმა ჩვენს ქვეყანაში არაკანონიერება დაამკვიდრა.

*** თუ არ გავაცნობიერებთ**, რომ ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების საძირკველი და ბაზისი არის ენერგორესურსების (წყლის, ელექტროენერგიის, ნავთობპროდუქტებისა და წიაღისეული საწვავის) მომხმარებლისთვის გონივრულ ფარგლებში ხელმისაწვდომ ფასად მიწოდება;

*** თუ არ გავაცნობიერებთ**, რომ ამ რესურსების მოპოვება-შესყიდვა და გამოყენება, უპირველესად, ზოგადსახელმწიფოებრივი და არა ვიწრო ბიზნესკომერციული რანგის კატეგორიებია და რომ შესაბამისად უნდა მოხდეს მათი არანაკლებ 70-დან თითქმის 100 პროცენტამდეც კი განსახელმწიფოებრიობა, რათა სახელმწიფო სექტორმა, თავისუფალი კონკურენციის პირობებში კერძო ბიზნესსექტორსაც უკარნახოს ოპტიმალურად დაბალი ფასები;

*** თუ არ გავაცნობიერებთ**, რომ სახელმწიფოს უპირველესი რესურსი და კაპიტალი შრომისუნარიანი და განათლებული ადამიანია და რომ განსაკუთრებული საბაზისო მნიშვნელობა აქვს ერის, განსაკუთრებით მოზარდი თაობის ჯანმრთელი ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისა და შრომისუნარიანობის ამაღლებისთვის ჩვენივე სოფლის მეურნეობისა და მისი გადამამუშავებელი ადგილობრივი მრეწველობის ეკოლოგიურად სუფთა კვებითი პროდუქტებით მომარაგებას;

*** თუ არ გავაცნობიერებთ** იმ მანკიერ და პარადოქსულ ვითარებას, რომ ნაყოფიერი მიწებით დაჯილდოებულ, უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობის მწარმოებელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ქრონიკულად განიცდის სურსათის უკმარისობასა და დეფიციტის შესავსებად საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოგვაქვს, ვარგისთან ერთად, უფრო ხშირად საეჭვო კვებითი ღირებულების პროდუქტები, სხვა ქვეყნების ეკონომიკას ვაძლიერებთ და ჩვენი ერის მასაზრდოებელი მეურნე გლეხკაცი კი, რომელსაც ეროვნული სულისკვეთების მქონე და გონიერი ხელისუფლება ხელისგულზე უნდა ატარებდეს, შექმნილი არახელსაყრელი სამეწარმეო ვითარებისა და გაუსაძლისი პირობების გამო დიდ ქალაქებსა და უცხოეთის ქვეყნებში გარბის ლუკმაპურის საშოვნელად;

*** თუ არ გავაცნობიერებთ,** რომ, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარებით შევქმნით იმ საბაზისო წინაპირობას, რომლის საშუალებითაც განვითარების შემდგომი ქმედითი პროგრამებით გზას გავუხსნით მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების, მაღალტექნოლოგიური შეიარაღებითი თავდაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, მაღალხარისხოვანი ტურიზმისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ამაღლების კუთხით ქვეყნის შემდგომ წინსვლას;

**წინააღმდეგ შემთხვევაში:** ჩვენი სამიათასწლიანი სახელმწიფოებრიობის ისტორიის განმავლობაში ქართველთა სწორედ ის სამარცხვინო თაობა აღმოვჩნდებით, რომელნიც უახლოეს მომავალში, არა მხოლოდ ვერ შევინარჩუნებთ ისედაც მყიფე და ნომინალურ დამოუკიდებლობას, არამედ ეთნიკურადაც გადავგვარდებით და გადავშენდებით ჩვენივე სამკვიდრო ღვთითმომადლებული მიწა-წყლიდან, რომელზეც აშკარად თუ შეფარვით მუშტრის თვალი უჭირავთ, როგორც შორეულ, ასევე მეზობელ ქვეყნებს.

არ იფიქროთ, რომ ზემოთ ნათქვამი არის მხოლოდ სიტყვაკაზმული რიტორიკა, არა! ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების განვლილი 28-წლიანი სიღრმისეული ანალიზი მიანიშნებს, რომ პროცესი დიდი ხნის დაწყებულია და იგი ჩვენივე მმართველი წრეების მარიონეტული პოლიტიკის ხელშეწყობით წარმატებით ხორციელდება.

**განა** უცნაური არ არის, რომ 28 წლის განმავლობაში ვერ ჩამოვაყალიბეთ ჯანსაღ პრინციპებზე დამყარებული საკანონმდებლო ბაზა და მმართველობის სტრუქტურული სქემები, რომლებიც გარანტირებულად მიგვიყვანდა ჭეშმარიტად დემოკრატიული და სამართლებრივი გარემოს შექმნასთან და ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობასთან?!

**განა** ნორმალურია, რომ სახელმწიფოს მართვის სტრუქტურების სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად დღესაც საჭიროა საკანონმდებლო ბაზის გადამუშავება და მათ შორის უმთავრესის — საქართველოს კონსტიტუციისა, რომელიც 1995 წლის პირველი კონსტიტუციის მიღებისთანავე, თანდაყოლილ ხარვეზებთან ერთად, შემდგომ წლებში, ვითომ სახელმწიფოს მართვის უფრო მაღალი დემოკრატიის რანგში საპარლამენტო მართვაზე გადასვლის კეთილშობილური განზრახვის საბაბით, რეალურად კი, ყოფილი პრეზიდენტის — **მიხეილ სააკაშვილის** ავტორიტარული რეჟიმის ბატონობის სამარადჟამოდ განმტკიცების მიზნით, ისე დავამახინჯეთ, რომ ველარ გაგვირკვევია, რა არის ქვეყნის პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის ფუნქციები; ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფოს როგორც დე ფაქტო, ისე დე იურე მეთაური; რა მეთოდებით უნდა იმართებოდეს სახელმწიფო საომარ ვითარებაში, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება ექვემდებარება პრემიერმინისტრს, ხოლო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი პრეზიდეტია?! მით უმეტეს, რომ, კონსტიტუციის ბოლო შესწორებული ვარიანტის თანახმად, პრეზიდენტს მაქსიმალურად შეეკვეცა ის დარჩენილი უფლებებიც და 2024 წლიდან, საყოველთაო სახალხო არჩევნების ნაცვლად, მას აირჩევს, პარლამენტართა ჩათვლით, ეგრეთწოდებული სამასი ხმოსანი?!

როგორც ერთ-ერთმა რიგითმა მოქალაქემ, შემიძლია განვაცხადო, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიერ, ვითომ უფრო მეტი ევროპულობის მოჩვენებითი თვალსაზრისით, წინა ხელისუფლების მიერ საკონსტიტუციო შესწორებით „ნაანდერძევი" საპარლამენტო მმართველობის შემოღება, ამ ფსევდოდემოკრატიულ, შეუმდგარ და ფინანსურ-ეკონომიკურად გაპარტახებულ სახელმწიფოში ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯია და ემსახურება მხოლოდ იმ მერკანტილურ ინტერესს, რომ ქვეყნის უმაღლეს პოსტზე ვირჩევდეთ კანდიდატს არა პირდაპირი, საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით, არამედ ამომრჩეველთა რაც შეიძლება შეზღუდული კონტიგენტით, რაც მავანთათვის სასურველი კანდიდატის გაყვანის უფრო კომფორტული და შედარებით იოლად მისაღწევი საშუალებაა.

საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას კი, ნამდვილად ესაჭიროება აღმასრულებელი ხელისუფლების მართვის უფლებით, მოსახლეობის საყოველთაო და პირდაპირი არჩევნებით მინიჭებული მაღალი ხარისხის ლეგიტიმურობით აღჭურვილი პრეზიდენტი, რომელიც იქნება ხალხის მსახური და მისი ნების გამომხატველი, რომელიც რეფორმატორული გზით ქვეყანას გამოიყვანს ჩიხიდან.

მაღალი ლეგიტიმურობა და ფართო უფლებები რომ არ გადაიზარდოს ავტორიტარიზმსა და ერთპიროვნულ დიქტატურაში, მოქმედი პრეზიდენტი რომ განიმსჭვალოს ამომრჩეველთა წინაშე მაღალი პასუხისმგებლობით, ამისათვის საჭიროა, კონტიტუციურად დაკანონდეს, რომ, **თუ პრეზიდენტი გარკვეულ პერიოდში არ ან ვერ შეასრულებს ქვეყნის წინაშე არსებულ კონკრეტულ ამოცანათა წრეს, პარლამენტსა და ამომრჩევლებს უნდა ჰქონდეთ რეალურად ხელშესახები საკანონმდებლო მექანიზმები, რათა გაიწვიონ ასეთი პრეზიდენტი და დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები.**

რაც შეეხება **პრეზიდენტის რეზიდენციის** საკითხს, ჩვენი ქვეყნის მასშტაბისა და ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, ყველაზე მისაღები და გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა ის, რომ რუსთაველის გამზირზე მდებარე მე-19 საუკუნის სამოციანი წლების დასასრულს არქიტექტორ **ოტო სიმონსონის** პროექტით აგებული ამიერკავკასიის მთავარმართებლის ყოფილი რეზიდენცია (დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე), რომელიც თავისი დაგეგმარებითი ფუნქციითა და ფასადური გამომსახველობით, რაღა თქმა უნდა, წარმოადგენს ადმინისტრაციული მმართველობის ტიპის ნაგებობას და რომლის დღევანდელ მოთხოვნათა გათვალისწინებით მოდერნიზება დაჯდებოდა, ალბათ, სულ რაღაც, 10-15 მილიონი დოლარი, სრულად დააკმაყოფილებდა იმ მოთხოვნას, რომელიც საჭიროა საქართველოს პრეზიდენტის სახელისუფლო მმართველობის აღსრულებისთვის, ხოლო ქალაქის ცენტრალურ უბანში მოსწავლე ახალგაზრდობისთვის აშენებულიყო თანამედროვე, მისი კონკრეტული ფუნქციის შესაბამისი ნაგებობა.



> **განა პარადოქსი არ არის, რომ ჩვენი დიდი წინაპრების — დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილისა და იოსებ სტალინის შთამომავალი ერი ისე დავკნინდით და დავმცირდით, რომ გვიჭირს საკუთარი ქვეყნის სრულფასოვანი და წარმატებული მართვა?! განა პარადოქსი არ არის, რომ ჩვენი ბედკრული ისტორიის განმავლობაში რა ზიანიც მოუყენებია გარეშე მტერს ჩვენი ქვეყნისთვის, არანაკლები ზიანი მივაყენეთ ჩვენც საკუთარ თავს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ამ ოცდაათი წლის მანძილზე ეგოისტური, უგუნური და ქვეყნისადმი მოღალატური ქმედებებით?!**

განა პარადოქსი და ანომალია არ არის, როგორც კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური, ასევე საერთოდ, ქვეყნის ჰარმონიული განვითარების თვალსაზრისითაც, რომ ჩვენს დედაქალაქ თბილისში არის თავმოყრილი ქვეყნის მოსახლეობის მესამედზე მეტი?!

**თბილისის განტვირთვისა და შემდგომი ტერიტორიული გაფართოების შეჩერების მიზნით,** უნდა შემუშავდეს გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვით პრიორიტეტი უნდა მიეცეს, ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებასთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დარგობრივი საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრების შექმნას.

თბილისის განტვირთვის „გასაღები" რეგიონების ფუნქციონირების გააქტიურების ამაღლებაშია.

ამ თვალსაზრისით საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის, ქუთაისში და საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადატანას არანაირი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს.

ჯერ კიდევ კაცობრიობის ისტორიის ადრეული ეპოქიდან, ტრადიციულად და სავსებით ლოგიკურადაც ქვეყნის პოლიტიკური მართვის ცენტრს, სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, ეწოდებოდა სატახტო ქალაქი და დედაქალაქი, რაც დღევადელობის გაგებითაც ნიშნავს იმას, რომ დედაქალაქის ფუნქციიდან და სტატუსიდან გამომდინარე, ქვეყნის პოლიტიკური მართვის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, მასში უნდა იყოს განთავსებული და დაფუძნებული, როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სახელისუფლო შტოები, ასევე უცხო ქვეყნების საელჩოებიც. ხელისუფლების მხრიდან კი ისეთი ქმედება, რომელიც თბილისს უკარგავს პოლიტიკური მმართველობის ფუნქციას და, შესაბამისად, დედაქალაქის სტატუსს, მრავალი ხილული თუ უხილავი ფაქტორის გათვალისწინებით, რბილად რომ ვთქვათ, სტრატეგიული შეცდომაა.

**განა** პარადოქსი არ არის, რომ ჩვენი დიდი წინაპრების: **დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილისა** და **იოსებ სტალინის** შთამომავალი ერი ისე დავკნინდით და დავმცირდით, რომ გვიჭირს საკუთარი ქვეყნის სრულფასოვანი და წარმატებული მართვა?!

**განა** პარადოქსი არ არის, რომ ჩვენი ბედკრული ისტორიის განმავლობაში რა ზიანიც მოუყენებია გარეშე მტერს ჩვენი ქვეყნისთვის, არანაკლები ზიანი მივაყენეთ ჩვენც საკუთარ თავს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ამ ოცდაათი წლის მანძილზე ეგოისტური, უგუნური და ქვეყნისადმი მოღალატური ქმედებებით?!

მაგრამ ისტორიის ამ მცირე მონაკვეთში ქართველმა ხალხმა დააგროვა მწარე გამოცდილება, რომლითაც 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში დაანახვა ხელისუფლებას, რომ ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის და, თუ ხელისუფლება არ გადადგამს რეალურ ნაბიჯებს ქვეყანაში დემოკრატიის, სამართლიანობის, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების კუთხით, წერტილს დაუსვამს მის ყოფნას ქვეყნის სათავეში.

**ანზორ დავითაშვილი,**
**არქიტექტორი**

გრიგოლ ოniანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინიზმი სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მოწყობის ის მექანიზმია, რომლის იდეოლოგიაზე აღზრდილ ადამიანებს ერთსულოვნად სწადიათ საკუთარ სამშობლოში დამკვიდრდეს თავისუფლება, სამართლიანობა და თანასწორობა. აქ, ალბათ, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას; კერძოდ, იმას, რომ მკვიდრ ერებში ვგულისხმობ, როგორც ისტორიულ, ისე ახალ ერებს, ანუ ვგულისხმობ კაცობრიობის უმრავლესობას, რის წინააღმდეგაც დღესაც წარმოებს „ბრძოლა“. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ის მიგრაციული პროცესები, რომლებიც დღეს მიმდინარეობს მსოფლიოში, თავიდან ბოლომდე მიმართულია ერთი მიზნისაკენ — დაირღვეს თანაფარდობა მკვიდრ ერსა და „ჩამოსახლებულთა“ შორის, ჩამოსახლებულთა სასარგებლოდ.**

# სტალინი — შტრიხები პორტრეტისთვის

**ჟუკოვი თავს უფლებას რომ აძლევს, სტალინი შეაფასოს და ამას საზოგადოება მნიშვნელობას ანიჭებს, ეს გამომხატველია არა მხოლოდ ჟუკოვის დაბალი განათლებისა, რომელიც არ სცილდება მეორე კლასის მოსწავლის ცოდნის დონეს, არამედ საზოგადოების დაბალი აზროვნების დონეზეც მიუთითებს. ასეთივე სურათს იძლევა ვოროშილოვის, კონევის, ბუდიონის, ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელისა თუ პარტიული მუშაკის შეფასებები სტალინზე.**



## სტალინიზმი, იგივე სოციალიზმი — ეს არის ქვეყნისა თუ დედამიწის მოწყობის კეთილშობილური პატრიოტული ვერსია დაფუძნებული თანასწორობის, თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის ამაღლებულ პრინციპებზე

საბჭოთა თანამედროვეთაგან სტალინის მიახლოებით სურათს ხატავს **ანდრეი გრომიკო,** როგორც ნიჭიერი და თავშეკავებული დიპლომატი, სტალინზე მხოლოდ დიპლომატიურ ნაწილში გამოთქვამს თავის შეფასებას, რაც მის დაკვირვებულ თვალს და გონებას არ გამორჩენია.

გვაქვს სტალინის შეფასების ქართული ვარიანტებიც, რომლებსაც არაფერი ჰქვია, მაკულატურის გარდა. ისინი ერთხმად გაიძახიან, რომ სტალინი დიადი პიროვნებაა, მაგრამ ერთი მაგალითიც არ არის წარმოდგენილი მისი სიდიადის გამომხატველი. არც სტალინის მოძულეთა ფაქტებია დამაჯერებელი, თუ არ **ჩავთვლით ლევან ბერძენიშვილის** აღმოჩენას, რომ „სტალინი ფიზიკურად ჭამდა ბავშვებს“, რომ „წიგნის კითხვით არ შეიძლება გახდეს ადამიანი განათლებული“ და სხვ.

სულ სხვაა ფრანგი ჟურნალისტის შეფასება (რომელსაც შარლ დე გოლს მივაწერთ იმიტომ, რომ ის პრეზიდენტი იყო და მის სიტყვას მეტი ფასი აქვს) — „სტალინი წარსულში კი არ გადაბარგდა, ის მომავალში გაიბნა“.

ამ ერთ წინადადებაში მოაქცია ავტორმა კაცობრიობის ისტორია, ანუ, სტალინი წარსულის მატიანე კი არ არის, მომავალშია მოსაძებნი, რომელიც დედამიწაზე მარგალიტებადაა მიმოფანტული.

ანალოგი არ მოეპოვება **უინსტონ ჩერჩილის** გამონათქვამს სტალინის შესახებ, რომელიც პლასტებად არის დაყოფილი და თითოეულ პლასტზე ცალ-ცალკე სქელტანიანი ტომების შექმნაა შესაძლებელი. ან თუნდაც მყისიერი პასუხის მიღება სტალინისაგან „ტორჩის“ ოპერაციაზე, რომელმაც ჩერჩილს ათქმევინა:

**„ჩვენ ამ საიდუმლო ოპერაციაზე ექვს თვეს ვიმუშავეთ გენერალურ შტაბთან ერთად და მისი წამებში ახსნა და იმის დამატება, რაც ჩვენ ოპერაციის შედგენისას ვერ გავითვალისწინეთ დედამიწაზე მცხოვრებ არც ერთ არსებას არ შეეძლო, სტალინის გარდა“.**

რას უნდა მივაწეროთ ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის „ამომავალი ვარსკვლავის“ — **ლაშა ბუღაძის** მიერ 24 ნოემბერს ტელეარხ „რუსთავი 2“-ის ეთერში გაკეთებული შეფასება: **„სტალინი ნაძირალა იყო“.**

ან თუნდაც აწ განსვენებული **აკაკი ბაქრაძის** სიტყვები: **„სტალინი პამპულა ბელადი იყო“,** ან **რეზო ჭეიშვილისა** და სხვათა გამონათქვამები. ეს ხომ არ ნიშნავს ქართული ინტელექტუალური ზედა ფენის დეგრადაციას და უზნეობის ჭაობში გადაჩეხვას?

თუმცა იმედს ის მიჩენს, რომ „ქრისტე მრევლს ისე არ განუდიდებია, როგორც მისმა უარმყოფელებმა განადიდეს“.

თქვე მართლა ნაძირალებო, როგორ უნდა იცხოვროთ დედამიწაზე თქვენ და თქვენმა შთამომავლობამ, როდესაც თქვენი სალანძღავი სტალინიზმი მალე მსოფლიო რელიგიად გადაიქცევა?

მკითხველს მინდა შევახსენო ჩემ მიერ ბევრჯერ მოხსენიებული და ციტირებული **იმანო მეიმეს** ფილოსოფიური შეფასებები სტალინის შესახებ, რომელიც დიდხანს დაგრჩებათ მეხსიერებაში:

„დღეს თქვენ, თანამედროვე ადამიანს, შეუძლებელია, არ წაგეკითხათ ან რამე არ მოგესმინათ სტალინის შესახებ. ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის და ყველაფერს ჩასწვდა მის პიროვნებასა და ბიოგრაფიაში. იცით, რომ სტალინი ერთადერთი რაინდია კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მთელი სიცოცხლე ეთამაშებოდა სიკვდილს, არაერთგზის გაიქცა ციხიდან თუ გადასახლებიდან..... ებრძოდა თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მანამადე უძლეველ მტრებს, ებრძოდა ფაშიზმს და კაცობრიობა დამონებისგან იხსნა. მოკლედ, გგონიათ ყველაფერი იცით მის შესახებ... ამის საფუძველიც გაქვთ, მაგრამ მერწმუნეთ, ცდებით...

თქვენ ნამდვილად ვერ გრძნობთ იმ კეთილისმყოფელ კვალს, რომელიც მან დაამჩნია კაცობრიობას; ვერ გრძნობთ მის რეალურ პიროვნულ სიდიადეს, როლსა და ადგილს მსოფლიო ისტორიაში. ჰოდა, გაემზადეთ განსაცვიფრებლად!

რა ხდება სამყაროში... რატომ და რისთვის ხდება... მოდი ჩემთან ერთად თქვენც იფიქრეთ ამაზე.

ამას რას მოვესწარი... ჩემი თვალით ვნახე ადამიანთა გასაცოდავება, გადაგვარება, გაუბედურება. ვნახე და თავადაც ვიწვნიე... მათ შორის უდავოდ მეც ვარ.

მე შევიძელი თავდავიწყება, თუმცა ვერასოდეს შევიძლებ სხვათა დავიწყებას, რადგან დანაშაულში მოწმე ვერასოდეს ვიქნები... დანაშაულში მე ან დაზარალებული უნდა ვიყო, ან მსხვერპლი... ვარ კიდეც!

ეს წიგნი ჩემი სულიერი წამების ქრონიკაა.

უზნეო გარემოში მტყუანი ხარ, დიდსულოვნად მოგიტევებენ,

მართალი ხარ, ელოდე ჯვარცმას!

**ი. მ.**

საყოველთაო სამართლიანობის ვითარებაში, თუ ხდება ცალკეული უსამართლობა, ეს ვერ იქნება უბედურება.

საყოველთაო უსამართლობის ვითარებაში, თუ ადგილი აქვს ცალკეულ სამართლიანობას, ეს ვერ იქნება კეთილდღეობა.

**ი. მ.**

აღუწყველია სამყარო თავისი ცხადითა და იდუმალებით... სამყაროში ცალკე სამყარო შენ ხარ, ადამიანო, შენი ცხადითა და იდუმალებით!

შენ ძალგიძს, დასახო, შექმნა და შეცვალო – ეს შენი სიძლიერეა!

გვაქვს სისუსტეებიც, შეიძლება მოტყუვდე ან წარიწყმიდო!

მოტყუებული სიკეთის სახელით ბოროტებას ჩაიდენ!...

წარწყმედილი ბოროტებას სიკეთეს დაარქმევ!...

შენ შენი ერი ხარ! შენ კაცობრიობა ხარ!

გახსოვდეს, შენი თანამოძმე-ადამიანი ვითარებისა და გარემოს მსხვერპლია, ე.ი., მისი ერთ-ერთი წარმომქმნელიც შენ ხარ....კეთილი ინებე და გაინაწილე მისი ცოდვა-ბრალი!

სიკეთე, რომელიც შენ ყოველთვის თან უნდა გქონდეს, ეს სამართლიანობაა!

სამართლიანობა უდიდესი სიკეთეა!

**გახსოვდეს, თუ უსამართლობას სჩადიხარ ათასი მართალის წინააღმდეგ ერთი მტყუანის სასარგებლოდ, ან ათასი მტყუანის სასარგებლოდ ერთი მართალის წინააღმდეგ, ერთნაირად ბოროტი და არაკაცი ხარ. უსამართლობას გთხოვენ... არაკაცად გთვლიან!**

თუ სუსტს მოწიწებით ექცევი და მისი თხოვნის შემსრულებელიც ხარ, ძლიერისადმი მოწიწება და მისი ბრძანების შესრულება ვერასოდეს შეგარცხვენს.

თუ ძლიერთა წინააღმდეგ ამხედრებას ვერ ბედავ, არ გაგემტყუნება,... შიში გაბედული ადამიანის გონივრული განცდაა. შიში სიყვარულმა იცის,... შიში თავმოყვარეობამ და პატიოსნებამაც იცის.

შენ კაცობრიობის ნების მომხრე ან უარმყოფი უნდა იყო....

უმთავრესი სიკეთე შენ საკუთარ სულში უნდა გადაარჩინო; თუ ვერ გადაარჩენ, გაგემტყუნება, რადგან თავისუფლებას, თანასწორობასა და სამართლიანობას ალტერნატივა არ გააჩნია.

ადამიანო, შეურიგდი ბედს, ეს შეიძლება შენს სიცოცხლეში არ აღსრულდეს!

იცოცხლე იმედით!

**ი. მ.**

ზნეობრივ გარემოში, ადამიანო, შენ ყველა ადამიანურ სიკეთეზე გაქვს უფლება და საწყალობლად არ გაქვს საქმე!

„დრო მოვიდა“... ეს წინათ იყო, XX საუკუნის დასაწყისში, ეპოქალური და განუმეორებელი. ავანგარდული მეცნიერული თეორიებისა და პრაქტიკული მოქმედებების ისტორია. დრო დაუდეგარი და იმდენად ტევადი, ასეულობით მნიშვნელოვან თარიღშიაც ვერავინ დაატევს. მოვიდა და მოიტანა ცისფერი იმედის სამყარო, უცნაური და სანატრელი, თან მეცნიერული, თან დაუჯერებელი.

ასე ვთქვათ, მეცნიერულ-თეორიული ფანტასტიკა! „ზღაპრები“ სოციალურ სამართლიანობაზე.... საყოველთაო თანასწორობასა და ათას სხვა ძნელად სარწმუნოსა და ძნელად დასაჯერებელზე.

დედამიწაზე ათასმა წყალმა ჩაიარა, ათასმეერთემ ოცნების ეპოქა შემოაცურა. საუბრები სამართლიანობასა და თანასწორობაზე კაცობრიობის ყველაზე მოდური გატაცება შეიქმნა. სჯეროდათ თუ არ სჯეროდათ!.. მოსწონდათ თუ სძაგდათ.

მარქსიზმ-სტალინიზმის ტოლფას გატაცებას არ იცნობს სამყარო, ასეთი წარმოდგენაშიც შეუძლებელია. კაცობრიობის ამ უპირველეს ეპოქაში ცალკე ეპოქა... იოსებ სტალინი გახლდათ სამყაროს №2 საოცრება...

სასიამოვნო გამონაკლისი... პრეცედენტის პრეცედენტი... მიმზიდველი ბიოგრაფიით, რომელიც ზეაღსვლის მწვერვალებით, ისტორიული კვალით კაცობრიობის ისტორიაში აღემატება ყველა დროისა და ხალხების ათეულობით უდიდეს პიროვნებას, ერთმანეთს მიმატებულს. ადამიანი, რომელსაც ვერ წარმოიდგენდა და ვერ შეთხზავდა ერთობლივად მხატვრული პროზის ათეულობით გენიალური შემოქმედი....

ზღაპრული მოვლენა, პიროვნება-ფანტასტიკა, რომელსაც ვერავინ დაიჯერებდა, ფაქტი რომ არა.

სტალინი, მისი ცხოვრება და შემოქმედება რევოლუციამდე, რევოლუციაში და რევოლუციის შემდეგ ეს ცალ-ცალკე ადამიანური სასწაულებია. იგი უდავოდ წარმოადგენს ზეადამიანს, გნებავთ, ღმერთკაცს, რომლის გარდაცვალებასაც აქვს თავისი „სიცოცხლე“. ამდენად, სტალინის ბიოგრაფია ორ ეპოქად უნდა იყოს განხილული — სიცოცხლისა და სიკვდილის ბიოგრაფიად.

**სიცოცხლის** — როცა სტალინის, როგორც რევოლუციონერის, სიცოცხლეს ახლდა სიკვდილის, დატყვევების, დაპატიმრებისა და გადასახლების ხიფათი, როდესაც იგი თავისი ზეადამიანური ინტელექტით მრავალს ეჭიდებოდა და იმკვიდრებდა ლიდერის ადგილს პარტიაში თუ სახელმწიფოში, როდესაც განსაზღვრავდა სამყაროს გადანაწილებისა და განვითარების საზღვრებსა და მიმართულებებს, როდესაც ამკვიდრებდა დედამიწაზე ეროვნული თუ პიროვნული თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლიანობის იდეალებს.

**სიკვდილის ბიოგრაფია** — როდესაც ე. წ. ხალხის მტრები ყველა ხერხითა და საშუალებით ებრძოდნენ მის სახელსა და ავტორიტეტს, ებრძოდნენ კაცობრიობის უდიადეს მონაპოვარს თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლიანობის იდეალებს. ებრძოდნენ და კიდეც გაიმარჯვეს, გაიმარჯვეს და... სასურველი რეალობად გაასაღეს... გაუვიდათ.

ვიდრე სტალინის უკვდავების ქრონიკების ეპიზოდებზე მსჯელობას დავიწყებ, უნდა მოგიბოდიშოთ, ვინაიდან მოხდენა „სასწაულებისა“, რასაც თქვენთვის ვაპირებ, სულაც არ არის ჩემი მოწოდება. დიახ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ „მოვცდებოდი“ ისტორიულ გმირზე წიგნის დასაწერად, თუნდაც ის უპირველესი ვინმე ყოფილიყო. ჩემი ახირების პრინციპზე უარის თქმას, ბუნებრივია, აქვს საფუძველი, კერძოდ ის, რომ სტალინზე აზვირთებული ცილისმწამებლური ბუმის ეპოქაში შემექმნა შთაბეჭდილება, თითქოს მასზე ისტორიული სიმართლის გასაღებს მხოლოდ მე ერთი ვფლობ. აქ ჩემმა ეროვნულმა თავმოყვარეობამაც ითამაშა როლი და... როგორც ხედავთ, უჩვეულო საქმეს შევეჭიდე, რასაც აღარ ვნანობ, რა თქმა უნდა, თუ არ მანანეს!

**სტალინი... იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი,** დედითა და მამით უტყუარად ქართველი, ქართველი თავისი სულიერებით, გნებავთ, ფსიქიკური წყობითა თუ გარეგნობით. სულაც არ ვაჭარბებ, არც სურვილი მაბრმავებს. სტალინმა კრემლში ოფიციალურ მიღება-შეხვედრებში ქართული წეს-ჩვეულებების ელემენტები შეიტანა. შთამბეჭდავი იყო **გორბაჩოვის** მიღება პეკინში უმაღლეს დონეზე, სადაც იგი სტალინის წესითა და რიგით მიიღეს. აქ ასეც კი ითქვა, წმინდა ქართულად: ეს ბოკალი ბოლომ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინი... იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი, დედითა და მამით უტყუარად ქართველი, ქართველი თავისი სულიერებით, გნებავთ, ფსიქიკური წყობითა თუ გარეგნობით. სტალინმა კრემლში ოფიციალურ მიღება-შეხვედრებში ქართული წეს-ჩვეულებების ელემენტები შეიტანა.

◀დე უნდა დაიცალოს.

...და ეს ღრმადქართველი ბიჭი, ნანატრი გაზაფხულივით მოაწყდა დიდთოვლობით დაზაფრულ სამყაროს, მოევლინა, როგორც ფავორიტე, ოცნებებით აბორგებულ კაცობრიობას და იქვე იქცა ჯერ პროლეტარების, შემდეგ კი მთელი სამყაროს ერთადერთ იმედად.

ამთავითვე უნდა გამოგიტყდეთ, მე არ ვაპირებ სტალინის ბიოგრაფიის ქრონოლოგიურ აღწერას, ეს სხვების საქმეა.... ჩემი ჩანაფიქრი სხვა რამეს ისახავს მიზნად, **რაც წამიკითხავს და დამამახსოვრდა, აქედანაც არა ყველა, არამედ ზოგიერთი ფრაგმენტის მოშველიებით, შევქმნა სტალინის პორტრეტი. გნებავთ, ხატი მისი უწმინდესობისა და უძლეველობის შესახებ. ჩემი ღრმა რწმენით, პირველ რიგში, უნდა განვსაზღვრო ის ძირითადი კანონზომიერებანი, რომელთა გამო შედგა სტალინის ერთობ მართალი, პრინციპული და შეუვალი პიროვნების მოსვლა პარტიისა და სახელმწიფოს, ჯერ რუსეთის, შემდეგ სსრ კავშირის სათავეში.**

გავიხსენოთ... სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური პარტიის შიგნით ძირითადი ბრძოლა გაჩაღდა მას შემდეგ, რაც **ტროცკი** და მისი გუნდი ლენინიდან სტალინზე გადმოერთნენ. დღეს ტროცკისა და სტალინის პოლიტიკურ ორთაბრძოლას თანამედროვე ხელისუფლებისათვის ბრძოლას ვუწოდებ. Uუნდა ითქვას, რომ ეს ბრძოლა, ყოველ შემთხვევაში, თავის პირველ სტადიაზე არ იყო ორმხრივი, ვინაიდან ტროცკი და მისი „ძლევამოსილი" გუნდი ბრძოლას ცალმხრივად აწარმოებდა პარტიის ლიდერის მიმართ. ტროცკის გუნდს ძლევამოსილი ვუწოდე, რადგან ამ გუნდმა მანამდე ყოფა უტირა დიად ლენინს და, ასე ვთქვათ, ლიდერებთან ბრძოლის დიდი გამოცდილებაც მიიღო.

ჩემი ღრმა რწმენით, ტროცკის ბრძოლა სტალინის წინააღმდეგ მხოლოდ ხელისუფლებისათვის ბრძოლა ნამდვილად არ იყო. Eეს იყო ბრძოლა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური თეორიიდან ერთ-ერთის დასამკვიდრებლად. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ტროცკის მხრიდან წამოწყებულ იქნა ყველა ხერხითა და საშუალებით.

ვიდრე მე ე. წ. ხელისუფლებისათვის ბრძოლის საკითხებს საბოლოოდ შევაჯამებდე, მოთმინებისაკენ მინდა მოგიწოდოთ, ვინაიდან ვფიქრობ, ამისათვის მევალება ერთი-ორი ზედმეტი სიტყვის თქმა, მცირე ექსკურსის გაკეთება, ჩემთვის უდავოდ პატივსაცემი ებრაელი ერის მიმართ, როგორც მოგეხსენებათ, ტროცკი და მისი გუნდი მთლიანად დაკომპლექტებული იყო ებრაელი ეროვნების რევოლუციონერებისაგან. გულწრფელად ვაცხადებ, შემიძლია ხატზეც დავიფიცო, რომ მე დიდად დამფასებელი ვარ ებრაელთა გენიალობის, მიზანსწრაფულობის, რომლის წყალობითაც დედამიწაზე მათ სასწაული არაერთხელ მოახდინეს და, რა თქმა უნდა, დღესაც განაგრძობენ სასწაულების მოხდენას. ეროვნებით ებრაელი **ჩარლი ჩაპლინი** ჩემი უსაყვარლესი მსახიობი გახლავთ. როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მე სტალინი სამყაროს მეორე საოცრებად მივიჩნიე. ალბად, ბუნებრივია, ყველას მაშინვე გაგიჩნდათ ინტერესი, ვინ ან რა იქნებოდა სამყაროს პირველი საოცრება. უდავოა და უეჭველი, რომ ეს ეგვიპტის პირამიდები არ არის, ეს ებრაელი ერია. ებრაელებისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მტკიცებას, ალბათ, მიმიხვდით, მწადია, სხვა სიმართლეც მოვაყოლო.

ვიწყებ... ისრაელის საზღვრებს მიღმა მცხოვრები ებრაელების ფსიქიკის ერთ-ერთი მახასიათებელი მათი გამორჩეული თვითმყოფადი მსოფლმხედველობაა. მათ შექმნეს და გაითავისეს სხვა ქვეყნებში, ასე ვთქვათ, „მშობლიურ უცხოეთში" ცხოვრების მობილური კანონები, რომლებიც არასოდეს ემთხვევა იმავე საზღვრებში მოსახლე მკვიდრი ერის ცხოვრების ნორმებს, რაც კიდეც განსაზღვრავს „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ებრაელთა დამოკიდებულებას ქვეყნის სახელმწიფო თუ ნაციონალური ინტერესების, აგრეთვე, აბორიგენი მოსახლეობის მიმართ. ასევე განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებას ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან და საერთოდ, სამყაროსთან. ამდენად, უდავოა, რომ „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ებრაელი სხვებზე მეტი სულიერი სიღრმის პიროვნებაა, იგი გაორებულია და ყოველთვის მობილიზებულია ამ გაორების დასამალავად. მისი იდეოლოგია „თავისიანებთან", ებრაელებთან სხვაა, არაებრაელებთან — სხვა, რაც ჩემთვის უდავო და უეჭველია. მეტსაც ვიტყვი, „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ებრაელები, ასე ვთქვათ, „გასამხედროებული" სულის ადამიანები არიან, რომლებიც მზად არიან, დამალონ საკუთარი სახე და არ თქვან ის, რასაც ფიქრობენ.

ებრაელთა სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ „მშობლიურ უცხოეთში" გადაბირებულ პირთა თუ სხვა ეროვნებად მონათლული მზვერავ-ებრაელ-პოლიტიკოსთა მეშვეობით შეძლეს მთელი კაცობრიობის მოტყუება, უფრო კი დაყოლიება. მათ შეძლეს, დაებრმავებინათ ხალხები. მათ უფრო უარესიც შეძლეს... ასე ვთქვათ, „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე უდავოდ გენიალურმა ებრაელებმა თავიანთი უნიკალური ტალანტით შექმნეს და განახორციელეს „მსოფლიოს ათვისების" დივერსიული პროგრამა, თავს მოახვიეს დანარჩენ კაცობრიობას ასიმილაციის, ნაციონალურ-პატრიოტული სულისკვეთების განელების თეორიულ-პრაქტიკული მოდელი, რომელიც ებრაელთა ინტერესების მქონეა და რომელიც აკანონებს მათ ეკონომიკურ ძლევამოსილებას, შეუზღუდავ თავისუფლებას და განამტკიცებს „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ებრაელთა ჰეგემონიას მსოფლიოში.

ეს მაშინ, როცა „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ებრაელებმა, სწორედ რომ ეროვნული რელიგიისა თუ იდეოლოგიის წყალობით, თავისი ერის შიგნით გაიძლიერეს ნაციონალურ-პატრიოტული თვითშეგნება, შექმნეს გაებრაელების ყველა საჭირო პირობა და ნორმა.

**კერძო კაპიტალით საქართველოს დაპყრობის დღიდან მოყოლებული ჩვენი პოლიტიკოსები ამაყად გაიძახიან, რომ საქართველოდან «გასულია» უკვე მილიონზე მეტი ქართველი, რაც პატრიოტებისთვის უდიდეს ეროვნულ უბედურებას წარმოადგენს. როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ბედის უკუღმართობით დემოგრაფიულ უკიდურესობაში ჩავარდნილი მცირერიცხოვანი ერია, აქ კიდევ ერთბაშად ერთ მილიონზე მეტი დაკარგული ადამიანი, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ქართველები უკვე უმცირესობაში ვართ**



ყოფილ საბჭოთა კავშირში, ებრაული წარმოშობის ვინმე **ცვეტოვმა** საკავშირო ტელევიზიით შერისხა ქართველი დედა, რომელიც თავისი ვაჟიშვილის რუს ქალზე დაქორწინების წინააღმდეგი იყო. ამით შეურაცხყოფილი საქართველოს ინტელიგენციის ერთი ნაწილი ამავე ტელევიზიით გამოვიდა თავის მართლებით. სამწუხაროა, რომ მათ ყველას დაავიწყდათ, ეკითხათ ცვეტოვისთვის: რა სასწაულით შეინარჩუნა მან, „ათასი წლის" წინათ რუსეთში ჩამოსახლებული ებრაელი წინაპრების შთამომავალმა, ასე აშკარა ებრაული ფიზიონომია?

„მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ებრაელებს, განსხვავებით დანარჩენი მოსახლეობისაგან, ყოფა-ცხოვრების თუ სულიერი განვითარების სხვა მიმართულებები აქვთ. ამდენად, ებრაელებს არასდროს ეშინიათ ქვეყანაში ამორალური ატმოსფეროს გაძლიერებისა, რადგან ეს მოვლენა მათზე არავითარ უარყოფით გავლენას არ ახდენს და მე ვიტყოდი, პირიქით, არ იქნება გასაკვირი, თუ ვინმე არსებით განსხვავებას დაინახავს ისრაელისა და მის გარეთ მცხოვრებ ებრაელებს შორის.

ერთხელაც, კარგად მახსოვს, მოსკოვში მცხოვრებმა სომეხმა ამაყად მითხრა, რომ ის მტკიცე ინტერნაციონალისტია. თავი ვერ შევიკავე და, ალბათ, ვაწყენინე, როცა ვუპასუხე: შენთვის, „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ადამიანისათვის, ინტერნაციონალიზმი პირადი კეთილდღეობის პოლიტიკაა-მეთქი.

მე უკვე მოვიხსენიე ებრაელი ერი ძლევამოსილ ერად, სიტყვა ჰეგემონიაც ვახსენე. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: აშინებთ თუ არა ებრაელებს დღეს რაიმე? დღეს, რა თქმა უნდა, მათ აღარაფერი აშინებთ, გარდა „წარსულის გახსენებისა". ეს სტალინიზმის გახსენებაა, სოციალ-ეკონომიკური წყობილება აბსოლუტური უმრავლესობის, ანუ მკვიდრი ერის ინტერესებში.

სტალინიზმი სახელმწიფოს თუ საზოგადოების მოწყობის ის მექანიზმია, რომლის იდეოლოგიაზე აღზრდილ ადამიანებს ერთსულოვნად სწადიათ, საკუთარ სამშობლოში დამკვიდრდეს თავისუფლება, სამართლიანობა და თანასწორობა. აქ, ალბათ, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას. კერძოდ, იმას, რომ მკვიდრ ერებში ვგულისხმობ, როგორც ისტორიულ, ისე ახალ ერებს, ანუ ვგულისხმობ კაცობრიობის უმრავლესობას, რის წინააღმდეგაც დღესაც წარმოებს „ბრძოლა". ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ის მიგრაციული პროცესები, რომლებიც დღეს მიმდინარეობს მსოფლიოში, თავიდან ბოლომდე მიმართულია ერთი მიზნისაკენ — დაირღვეს თანაფარდობა მკვიდრ ერსა და „ჩამოსახლებულთა" შორის, ჩამოსახლებულთა სასარგებლოდ.

კერძო კაპიტალით საქართველოს დაპყრობის დღიდან მოყოლებული ჩვენი პოლიტიკოსები ამაყად გაიძახიან, რომ საქართველოდან „გასულია" უკვე მილიონზე მეტი ქართველი, რაც პატრიოტებისათვის უდიდეს ეროვნულ უბედურებას წარმოადგენს. როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ბედის უკუღმართობით დემოგრაფიულ უკიდურესობაში ჩავარდნილი მცირერიცხოვანი ერია, აქ კიდევ ერთბაშად ერთ მილიონზე მეტი დაკარგული ადამიანი, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ქართველები უკვე უმცირესობაში ვართ.

XX საუკუნეში ებრაელთა ჰეგემონიზმის წინააღმდეგ ორი ისტორიული პიროვნება გამოვიდა: **სტალინი და ჰიტლერი.** გამოვიდნენ ურთიერთგანსხვავებულად, სხვადასხვა ისტორიული მისიით. ჰიტლერმა ჩაიფიქრა და ნაწილობრივ განახორციელა ებრაელი ერის სრული ამოჟლეტა. სტალინმა ჩაიფიქრა და განახორციელა ებრაელთა სულიერი გაკეთილშობილება. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა კავშირში მოსახლე ებრაელების უდიდესმა ნაწილმა იშრომა და იცხოვრა თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებით და ამ პრინციპების ერთგული გახდა.

ნურავის მოეჩვენება უცნაურად, თუ სტალინის მიერ დედამიწაზე თავისუფლების, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების მცდელობა, რომლითაც სამყაროს გარკვეულ ნაწილზე დროებით შეწყდა ებრაელთა ჰეგემონიზმი, ებრაელთა მსოფლიო „ანტისაზოგადოებამ" არანაკლებ სახიფათოდ მიიჩნია, ვიდრე ჰიტლერისეული გეგმა მათი სრული ამოწყვეტის შესახებ.

ასეთი განცხადების შემდეგ ჩნდება კითხვა: თუ ებრაელები მართლაც მოწინააღმდეგეები არიან თავისუფლების, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის იდეალების, მაშ, რამ გამოიწვია რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, როგორც მენშევიკურ, ასევე ბოლშევიკურ ნაწილში, ებრაელი ეროვნების რევოლუციონერების იმ რაოდენობით მოსვლა, რომელიც ამეტებდა სასურველს ქვეყანაში, რომელსაც რუსეთი ერქვა.

განვმარტავ: უდავოა, რომ, უწინარესად, კომუნიზმის იდეალების მომხიბვლელობამ... ამასთანავე, მაშინდელი რუსეთი არ ქმნიდა ყველა იმ პირობას, რაც მისაღები იქნებოდა უკვე პრეტენზიაგაჩენილი ებრაელებისათვის. ამ ისტორიულ პერიოდში ებრაელები ეძებდნენ გზას თანასწორობისაკენ. **ამისათვის აუცილებელი იყო რუსეთში თავადურ-არისტოკრატიული პრივილეგიების გაუქმება და ისეთი რუსეთის შექმნა, რომელშიც იბატონებდა მხოლოდ ფულადი რეჟიმი. დიახ, ფულით სამყაროს მართვა, სწორედ ის ბერკეტია, რომელსაც უთუოდ მივყავართ ებრაელთა ჰეგემონიზმისკენ.**

ბუნებრივია, ასეთი ვერსიების პირობებში არ გამოვრიცხავ ებრაელი მენშევიკებისა და ებრაელი ბოლშევიკების პოზიციურ ერთიანობას. რადგან არ გამოვრიცხავ, ბუნებრივია, იმასაც ვფიქრობ, რომ სოციალ-დემოკრატული... პარტიის გახლეჩა და ებრაელ რევოლუციონერთა გადანაწილება ბოლშევიკებად და მენშევიკებად ერთი პოზიციის არსებობის შემთხვევაში უდავოა, რომ ეს იყო სადაზღვევო, შორსმჭვრეტელური პოლიტიკა სახელმწიფოს სათავეში უცილობლად ებრაელი მოღვაწის გაყვანისა რუსეთის ტახტიდან მეფის ჩამოგდების შემთხვევაში.

ჩემი ეს მოსაზრება მართლდება იმითაც, **რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ყველა მნიშვნელოვანი ებრაელი რევოლუციონერი წინ აღუდგა სტალინის ბოლშევიკურ იდეოლოგიას, საზოგადოებისა და ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნას აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესებში, წინ აღუდგა და თავი დაილუპა.**

დიახ, ჩემთვის ეს უდავოა და უეჭველი, რომ სტალინიზმი, იგივე სოციალიზმი — ეს არის ქვეყნის თუ დედამიწის მოწყობის კეთილშობილური პატრიოტული ვერსია დაფუძნებული თანასწორობის, თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის ამაღლებულ პრინციპებზე.

თარიღი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კავკასიისა და სტალინგრადის ფრონტებზე შექმნილი საგანგაშო ვითარება გადამჭრელი ზომების მიღებას მოითხოვდა. 28 ივნისს უმაღლესმა მთავარსარდალმა იოსებ სტალინმა გასცა ბრძანება, რომელშიც ხაზგასმული იყო: „კიდევ უკანდახევა — ეს ნიშნავს საკუთარი თავისა და ჩვენი სამშობლოს დაღუპვას. არც ერთი ნაბიჯი უკან!“ თავდაცვით ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში შექმნილი მსროლელი ეროვნული დივიზიები“.**


ტიტე ლეფსაია

# კავკასიისთვის ბრძოლის დასრულების 75 წლისთავისთვის

## თავდაცვიდან შეტევით ოპერაციამდე

**„გმირი ქართველი, მოსკოვისთვის ბრძოლაში დაცემული, ისევე ახლოსაა ჩვენს გულებთან, როგორც გმირი რუსი, რომელმაც სიცოცხლე გაწირა საქართველოსთვის“, — პოეტ გიორგი ლეონიძის ეს სტრიქონები, დაწერილი 1942 წელს კავკასიისთვის ბრძოლის დღეებში, განსაკუთრებით ისმის ახლა, როდესაც 75 წელი გავიდა კავკასიისთვის ბრძოლის დასრულებიდან.**

**ამ ბარაქიანი მხარის ხელში ჩაგდებას ჰიტლერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა: ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ გერმანელი ფაშისტების ხელში გადადიოდა გროზნოსა და ბაქოს ნავთობი, ჭიათურის მარგანეცი, ყუბანის ხორბლით მდიდარი რაიონები, იხსნებოდა გზა ახლო აღმოსავლეთისკენ...**

**გვესაუბრება თბილისის ომის ვეტერანებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების კავშირის თავმჯდომარე, თადარიგის პოლკოვნიკი ტიტე ლეფსაია:**






გერმანელთა ტანკები კავკასიონზე

**— კავკასიისთვის ბრძოლის საწყისი ეტაპი თავდაცვა იყო...**

— კავკასიის ხელში ჩაგდების გერმანიის სარდლობის გეგმას ეწოდებოდა „ედელვაისი“.

ფაშისტები ჩრდილოეთ კავკასიაში 1942 წლის ივლისში შემოიჭრნენ, როცა სტალინგრადზე მიიტანეს იერიში. აგვისტოში ამიერკავკასიის ფრონტის მოწინავე ნაწილები არმიის გენერლის, **ივანე ტიულენევის,** მეთაურობით უკვე ებრძოდნენ გერმანელთა 1-ელი სატანკო არმიის ქვედანაყოფებს. გერმანელებს ძალიან დიდი უპირატესობა ჰქონდათ საბრძოლო ტექნიკის მხრივ, ისინი ავიწროებდნენ საბჭოთა მეომრებს, ხელში ჩაიგდეს როსტოვი, კრასნოდარი, მიუახლოვდნენ ორჯონიკიძეს (ამჟამად ვლადიკავკაზს), გავიდნენ კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებზე.

კავკასიასა და სტალინგრადის ფრონტზე შექმნილი საგანგაშო ვითარება გადამჭრელი ზომების მიღებას მოითხოვდა. 28 ივნისს უმაღლესმა მთავარსარდალმა **იოსებ სტალინმა** გასცა ბრძანება, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ **„კიდევ უკანდახევა — ეს ნიშნავს საკუთარი თავისა და ჩვენი სამშობლოს დაღუპვას. არც ერთი ნაბიჯი უკან!..“** თავდაცვით ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში შექმნილი მსროლელი ეროვნული დივიზიები.

**— ცნობილია, რომ ქართული დივიზიებისთვის პირველი ბრძოლები მძიმე აღმოჩნდა.**

— აგვისტოს შუაგულში, მდინარე თერგის სამხრეთ ნაპირზე უკანდახევის მხარდასაჭერად 392-ე მსროლელი დივიზიის მებრძოლებმა, პოლკოვნიკ **ი. სილაგაძის** მეთაურობით, მოიგერიეს მტრის ტანკების შეტევები, თვითონ გადავიდნენ იერიშზე და დამპყრობლები რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან განდევნეს. ყაბარდო-ბალყარეთის პრავო ურვანსკის ხუტორთან ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი კაპიტანი **მიხეილ ბუხაიძე** განაგრძობდა ბატალიონის ხელმძღვანელობას — თითქმის სისხლისგან დაცლილმა, მებრძოლებთან ერთად, შეუტია გერმანელ ფაშისტებს და ისინი დასახლებული პუნქტიდან გააძევა. ბუხაიძე დაიღუპა, სიკვდილის შემდეგ ის დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, პოეტმა **ირაკლი აბაშიძემ** კი მას მიუძღვნა ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელიც გამოქვეყნდა ქართულ საფრონტო გაზეთში „წინ, გამარჯვებისკენ!“. ეს ლექსი რუსულ ენაზე თარგმნა პოეტმა **ვერა ზვიაგინცევამ** და შემდეგ გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდა.

1942 წელს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს 392-ე დივიზიის სამ ოფიცერს: **ალექსი პირმისაშვილს, ვლადიმერ ლურსმანაშვილსა** და **ვლადიმერ კანკავას** (სიკვდილის შემდეგ). მეოთხე ქართველსაც მიანიჭეს გმირის წოდება, ოღონდ ის 276-ე დივიზიაში იბრძოდა, ის იყო **ნიკოლოზ გოგიჩაიშვილი.**

კავკასიის დასაცავად ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. კავკასიის ბრძოლების მატიანეში სამუდამოდ ჩაწერილია სახელები საბჭოთა კავშირის გმირებისა: **ვ. პეტროვის, დ. კალინინის, ა. ნოსოვის, უ. ავეტისიანის, კ. მამედოვის, ს. ბორზენკოს, ხ. მანსუროვისა** და სხვ.

**— როგორც ცნობილია, იმ სამხედრო მეთაურებს შორის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს კავკასიის დაცვისას, იყო გენერალი კონსტანტინე ლესელიძეც...**

— **კონსტანტინე ლესელიძემ** სახელი გაითქვა მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლისას, როდესაც დასავლეთის ფრონტის 50-ე არმიის არტილერიას ხელმძღვანელობდა და ფაშისტი გენერლის, **გუდერიანის,** ტანკებს ტულაში შეჭრისა და საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვთან სამხრეთიდან მიახლოების საშუალება არ მისცა. არტილერიის გენერალ-მაიორის წოდების მინიჭებისა და წითელი დროშის ორდენის მიღების შემდეგ კონსტანტინე ლესელიძე 1942 წლის ივნისში სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფის მე-3 მსროლელ კორპუსს. ამიერკავკასიის ფრონტს ხელმძღვანელობდა გენერალ-ლეიტენანტი **მასლენიკოვი.** აგვისტოში კონსტანტინე ლესელიძე მეთაურობდა 46-ე არმიას, რომლის ამოცანაც იყო კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე შემოჭრილი მტრის განადგურება. მოსკოვის მისადგომებთან მიღებული გამოცდილების გამოყენებით ლესელიძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ ამოცანას და სრულიად გაწმინდა ფაშისტებისგან ქლუხორის, სანჩარისა და მარუხის უღელტეხილები.

ლესელიძის არმიის მებრძოლები მედგრად იცავდნენ შავი ზღვის სანაპიროს გერმანელთა დესანტის შეტევებისგან. მათ, აგრეთვე, საიმედოდ ჰქონდათ ჩაკეტილი სსრკ-თურქეთის საზღვარიც. 1942 წლის ოქტომბერში ლესელიძეს მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება და დააჯილდოვეს ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

**— თუ შეიძლება, კავკასიისთვის ბრძოლის შეტევით ნაწილზეც გვიამბეთ.**

— სტალინგრადის მისადგომებთან წითელი არმიის გამარჯვების შემდეგ ქვეყნის სამხრეთში ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. კავკასიისთვის ბრძოლაში დადგა გარდამტეხი მომენტი. საბჭოთა მეომრები თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდნენ, გერმანელებმა კი 1-ელი სატანკო არმია უკან დახიეს. ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის დაჯგუფებამ ბრძოლებით გაიარა 430 კილომეტრი და ჰიტლერელებს დიდი დანაკარგები განაცდევინა. მათი დევნა ამიერკავკასიის ფრონტის მებრძოლებმა 1943 წლის 24 იანვარს დაას- ▶

**«1942 წლის აგვისტოში დივიზია «ედელვაისის» ალპინისტებმა იალბუზზე აღმართეს მესამე რაიხის დროშა. გერმანული გაზეთები გაჰყვიროდნენ: «დამორჩილებული იალბუზი დაცემული კავკასიის გვირგვინია». ფაშისტების დროშას დიდხანს არ უფრიალია იალბუზზე. 1943 წლის იანვარში არმიის გენერალმა ივანე ტიულენევმა გასცა ბრძანება, ალპინისტები ასულიყვნენ იალბუზზე, ჩამოეგდოთ ფაშისტების დროშა და აღემართათ საბჭოთა კავშირის წითელი ალამი. 13 თებერვალს, ლეიტენანტ ნიკოლაი გუსაკის ხელმძღვანელობით, ალპინისტები ავიდნენ იალბუზზე, ჩამოაგდეს ფაშისტური და აღმართეს საბჭოთა კავშირის წითელი დროშა»**

თარიღი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„9 ოქტომბერს, გამთენიისას, 56-ე არმიამ, გენერალ-ლეიტენანტ ანდრეი გრეჩკოს სარდლობით, გაარღვია „ცისფერი ხაზის“ ცენტრალური უბანი, შემდეგ კი კავკასია სრულიად გაწმინდა ფაშისტი დამპყრობლებისგან. ამ დღეს გენერალ კონსტანტინე ლესელიძეს მიანიჭეს გენერალ-პოლკოვნიკის წოდება და დააჯილდოვეს კუტუზოვის სახელობის პირველი ხარისხის ორდენით. გენერალ ლესელიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს სიკვდილის შემდეგ, 1971 წელს. ნოვოროსიისკ-ტამანის შეტევითი ოპერაციის შემდეგ, რომელშიც გერმანელი ფაშისტები დამარცხდნენ, კავკასიისთვის ბრძოლა დასრულდა“.**


კონსტანტინე ლესელიძე


ივანე პეტროვი


ივანე ტიულენევი


მედალი კავკასიის დაცვისთვის

რულეს. მებრძოლების ეს ჯგუფი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტად გარდაიქმნა და მას სათავეში ჩაუდგა გენერალ-პოლკოვნიკი **ივანე პეტროვი.** მალე ფრონტი გადაკეთდა შავი ზღვის დაჯგუფებად. გენერალი კონსტანტინე ლესელიძე კი დაინიშნა სარდლად 47-ე არმიისა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა კრასნოდარის შეტევით ოპერაციაში.

**— შეუპოვარი ბრძოლები იყო გაჩაღებული ნოვოროსიისკის მისადგომებთან...**

— ამ დიდი სამრეწველო ცენტრისა და შავი ზღვის მნიშვნელოვანი პორტისთვის ბრძოლები დაიწყო თებერვალში და გრძელდებოდა 7 თვის განმავლობაში — 1943 წლის სექტემბრამდე. **კონსტანტინე ლესელიძეს, რომელიც იმხანად უკვე ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის მე-18 არმიას სარდლობდა, დაევალა, მთავარი დარტყმა მიეყენებინა ნოვოროსიისკისთვის ხმელეთიდან და ზღვიდან. ფაშისტები უკანასკნელ ვაზნამდე იბრძოდნენ, მაგრამ 16 სექტემბერს საბჭოთა მეომრებმა ქალაქი სრულიად გაწმინდეს ოკუპანტებისგან.**

ნოვოროსიისკის გათავისუფლების ოპერაცია დიდი სამამულო ომის მატიანეში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ბრწყინვალე ოპერაცია. მისი ათასობით მონაწილე დაჯილდოვდა, გენერალ კონსტანტინე ლესელიძეს კი გადაეცა სუვოროვის სახელობის I ხარისხის ორდენი.

„მცირე მიწაზე“ 7 თვის განმავლობაში გმირულად იბრძოდნენ მედესანტეები, მათ მოიგერიეს ასობით გააფთრებული შეტევა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მაიორ **ც. კუნიკოვის** მეზღვაურებმა. ეს საზღვაო ქვეითი სასიკვდილოთ დაიჭრა ჭურვის ნამსხვრევით. კუნიკოვს სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

„მცირე მიწაზე“ თავი გამოიჩინა პოდპოლკოვნიკმა **კ. გიორგაძემ,** რომელიც სიკვდილის შემდეგ სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

**— როგორი იყო ავიაციის როლი შეტევით ოპერაციაში?**

— ყუბანის ცაზე ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საჰაერო ბრძოლები. გერმანელების ავიაციამ ათასზე მეტი თვითმფრინავი დაკარგა, მათ შორის 800 ჩამოგდებული იყო. უმაღლესი სამხედრო ოსტატობა გამოავლინეს საბჭოთა კავშირის გმირებმა: **დ. გლინკამ, ო. ჩეჩელაშვილმა, ზ. ხიტალიშვილმა, ვ. ემიროვმა.** სწორედ იმხანად დაჯილდოვდა გმირის პირველი ვარსკვლავით სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სახელგანთქმული ასი **ალექსანდრე პოკრიშკინი.** თავი გამოიჩინეს ქალთა საავიაციო პოლკის მებრძოლებმაც მაიორ **ევდოკია ბერშანსკაიას** მეთაურობით. მათ შორის იყვნენ ქართველი ქალებიც: **თ. მელაშვილი, ი. ოსაძე, გ. ტურაბელიძე.**

1942 წლის აგვისტოში დივიზია „ედელვაისის“ ალპინისტებმა იალბუზზე აღმართეს მესამე რაიხის დროშა. გერმანული გაზეთები გაჰყვიროდნენ: „დამორჩილებული იალბუზი დაცემული კავკასიის გვირგვინია“.

ფაშისტების დროშას დიდხანს არ უფრიალია იალბუზზე. 1943 წლის იანვარში არმიის გენერალმა ივანე ტიულენევმა გასცა ბრძანება, ალპინისტები ასულიყვნენ იალბუზზე, ჩამოეგდოთ ფაშისტების დროშა და აღემართათ საბჭოთა კავშირის წითელი ალამი. 13 თებერვალს ლეიტენანტ ნიკოლაი გუსაკის ხელმძღვანელობით ალპინისტები დასავლეთის ფერდობიდან ავიდნენ იალბუზზე, ჩამოაგდეს ფაშისტური და აღმართეს საბჭოთა კავშირის წითელი დროშა.

17 თებერვალს ჯგუფმა **ა. გუსევის** ხელმძღვანელობით დაიპყრო იალბუზის აღმოსავლეთი ფერდობი და აღმართა წითელი დროშა.

ამ უნიკალურ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდნენ: **ა. სიდორენკო, გ. სულაქველიძე,** ძმები **გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, ნ. პერსიანინსკი,** ერთადერთი ქალი, ინსტრუქტორი **ლ. კოროტაევა** და სხვები — სულ 20 ადამიანი.

**— სად დასრულდა ეს გრანდიოზული ბრძოლა?**

— მტრის მიერ დაკავებულ ბოლო პლაცდარმზე — ტამანის ნახევარკუნძულზე. საბჭოთა მეომრებისთვის მთავარი წინაღობა იყო „ცისფერი ხაზი“ — გერმანელთა მძლავრი თავდაცვითი ზღუდე, მაგრამ საბჭოთა მეომრებმა შეუპოვარი მოქმედებებით ყველა ბარიერი დაძლიეს და 21 სექტემბერს გენერალ ლესელიძის მე-18 არმიის მსროლელთა 414-ე ქართული დივიზია პირველი შეიჭრა ანაპაში. მათ სხვა ნაწილებთან ერთად გაათავისუფლეს ქალაქი ფაშისტი დამპყრობლებისგან. მოგვიანებით ამ დივიზიამ მიიღო საპატიო სახელი — „ანაპის“ დივიზია.

9 ოქტომბერს, გამთენიისას, 56-ე არმიამ გენერალ-ლეიტენანტ ანდრეი გრეჩკოს სარდლობით გაარღვია „ცისფერი ხაზის“ ცენტრალური უბანი, შემდეგ კი კავკასია სრულიად გაწმინდეს ფაშისტი დამპყრობლებისგან. ამ დღეს გენერალ კონსტანტინე ლესელიძეს მიანიჭეს გენერალ-პოლკოვნიკის წოდება და დააჯილდოვეს კუტუზოვის სახელობის პირველი ხარისხის ორდენით. გენერალ ლესელიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს სიკვდილის შემდეგ, 1971 წელს. ნოვოროსიისკ-ტამანის შეტევითი ოპერაციის შემდეგ, რომელიც გერმანელი ფაშისტების მარცხით აღინიშნა, კავკასიისთვის ბრძოლა დასრულდა.

ესაუბრა
**ბორის ზამბახიძე**

**«აგვისტოში კონსტანტინე ლესელიძე მეთაურობდა 46-ე არმიას, რომლის ამოცანაც იყო კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე შემოჭრილი მტრის განადგურება. მოსკოვის მისადგომებთან მიღებული გამოცდილების გამოყენებით ლესელიძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ ამოცანას და სრულიად გაწმინდა ფაშისტებისგან ქლუხორის, სანჩარისა და მარუხის უღელტეხილები. ლესელიძის არმიის მებრძოლები მედგრად იცავდნენ შავი ზღვის სანაპიროს გერმანელთა დესანტის შეტევებისგან. მათ, აგრეთვე, საიმედოდ ჰქონდათ ჩაკეტილი სსრკ-თურქეთის საზღვარიც»**





საბჭოთა დროშა იალბუზის მწვერვალზე


ბრძოლა კავკასიისთვის

**«კავკასიისთვის გრანდიოზული ბრძოლა დასრულდა მტრის მიერ დაკავებულ ბოლო პლაცდარმზე — ტამანის ნახევარკუნძულზე. საბჭოთა მეომრებისთვის მთავარი წინაღობა იყო «ცისფერი ხაზი» — გერმანელთა მძლავრი თავდაცვითი ზღუდე, მაგრამ საბჭოთა მეომრებმა შეუპოვარი მოქმედებებით ყველა ბარიერი დაძლიეს და 21 სექტემბერს გენერალ ლესელიძის მე-18 არმიის მსროლელთა 414-ე ქართული დივიზია პირველი შეიჭრა ანაპაში. მათ სხვა ნაწილებთან ერთად გაათავისუფლეს ქალაქი ფაშისტი დამპყრობლებისგან. მოგვიანებით ამ დივიზიამ მიიღო საპატიო სახელი — «ანაპის» დივიზია»**

ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პოჩაევის მიძინების ლავრის გადაცემა კრემენეც-პოჩაევის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმისთვის უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის მასშტაბურ წნეხში მოქცევაა“, — განაცხადა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების უფროსის მოადგილემ, დეკანოზმა ნიკოლაი ბალაშოვმა.**

# «კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში სულ უფრო მეტი კლირიკი და მრევლის წარმომადგენელი აღარ უწოდებს ბართოლომეოსს საწმყსოს მამას»



**„მოსკოვის საპატრიარქოს გადაწყვეტილება — გაწყვიტოს ურთიერთობა კონსტანტინოპოლთან — მისი უკრაინაში მოქმედების გამო მეტისმეტად მკაცრი ნაბიჯია და უნდა გაუქმდეს“, — მიაჩნია ხარიუპოლის არქიეპისკოპოს იოანეს, კონსტანტინოპოლის ეგზარქოსს დასავლეთ ევროპაში.**

არქიეპისკოპოს იოანეს აზრით, მაგალითად, პეტერბურგელი მართლმადიდებელი მორწმუნეები, რომლებიც კრეტაზე გადასახლდნენ, „აღარ არიან რუსეთის ეკლესიის წევრები, ისინი ითვლებიან სრულუფლებიან წევრებად კრეტის ეკლესიისა, რომელიც ეკუთვნის მსოფლიოს საპატრიარქოს“.

„კლირიკებისგან განსხვავებით, მრევლს არ სჭირდება ეპისკოპოსის კანონიკური ნებართვა საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას“, — აღნიშნავს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელი.

**კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში უპასუხეს, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი თავს იმიტომ კი არ არიდებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტაძრებში მისვლასა და ზიარებას, რომ ეს აკრძალული აქვს, არამედ იმიტომ, რომ ერთგულია თავისი ეკლესიისა, რომელსაც ვნებს კონსტანტინოპოლი თავისი მოქმედებებით.**

„ბოლოს და ბოლოს, ადამიანები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს, თავიანთი სინდისის შესაბამისად“, — განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მდივანმა **იგორ იაკიმჩუკმა.**

მანვე აღნიშნა, რომ თვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშიც კი სულ უფრო მეტი კლირიკი (ეკლესიის მსახური) და მრევლის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია საწმყსოს მამა უწოდო პატრიარქს, რომელიც პოლიტიკური ინტერესების გამო დემონსტრაციულად თელავს ფეხქვეშ საეკლესიო სწავლებას, კანონებს და ცინიკურად ეპყრობა მილიონობით ერთმორწმუნეს უკრაინაში.

ასეთი კლირიკებისა და მრევლის წარმომადგენლების მიმართ იყენებენ დისციპლინურ ზომებს, როგორც ეს მოხდა რამდენიმე დღის წინათ სტოკჰოლმში, როდესაც კონსტანტინოპოლის თემიდან 16 წევრი გარიცხეს, რადგან არ დაეთანხმნენ პატრიარქ ბართოლომეოსის მოქმედებას უკრაინაში. „ასეთ შემთხვევებში, კარგი იქნებოდა გახსენება ქრისტიანული სიყვარულისა, რომელზეც ლაპარაკობს ხარისუპოლის არქიეპისკოპოსი“, — აღნიშნა საეკლესიო კავშირების განყოფილების მდივანმა.

**კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში უპასუხეს, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი თავს იმიტომ კი არ არიდებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტაძრებში მისვლასა და ზიარებას, რომ ეს აკრძალული აქვს, არამედ იმიტომ, რომ ერთგულია თავისი ეკლესიისა, რომელსაც ვნებს კონსტანტინოპოლი თავისი მოქმედებებით**

# პოროშენკო ავიწროებს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ბართოლომეოსისა და «რასკოლნიკების» საამებლად



## «მხოლოდ პოჩაევის ლავრაში ბერი იმაზე მეტია, რამდენი «რასკოლნიკიცაა» სრულიად უკრაინაში»

**უკრაინის იუსტიციის სამინისტრომ მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას პოჩაევის ლავრის კომპლექსის გამოყენების უფლების 2013 წლის სახელმწიფო რეგისტრაცია გაუუქმა. ოფიციალური კიევის განცხადებით, ეს მოხდა 2003 წელს კანონმდებლობაში დაშვებული შეცდომის გამო.**

„პოჩაევის მიძინების ლავრის გადაცემა კრემენეც-პოჩაევის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმისთვის უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის მასშტაბურ წნეხში მოქცევაა“, — განაცხადა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების უფროსის მოადგილემ, **დეკანოზმა ნიკოლაი ბალაშოვმა.**

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა გაიხსენა უკრაინის ხელისუფლების ადრინდელი ნათქვამი, რომ ახალ ავტოკეფალიურ ეკლესიას სხვადასხვა თემი ნებაყოფლობით შეუერთდებოდა. „მიღებული ინფორმაცია კი მიუთითებს უკრაინის კანონიკური ეკლესიის, მისი მონასტრებისა და ტაძრების მასშტაბურ წნეხში მოქცევაზე.

დეკანოზმა ნიკოლაი ბალაშოვმა განმარტა, **რომ „მხოლოდ პოჩაევის ლავრაში ბერი იმაზე მეტია, რამდენი „რასკოლნიკიცაა“ სრულიად უკრაინაში“.**

ამასთანავე, მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში აღნიშნავენ, რომ უკრაინის იუსტიციის გადაწყვეტილება ლავრის გამოყენების უფლებას არ ზღუდავს.

„პოჩაევის ლავრას მომავალშიც კანონიერად გამოიყენებს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მამათა მონასტრის საძმო“, — დაწერა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იურიდიული განყოფილების უფროსმა, დეკანოზმა **ალექსანდრე ბახოვმა** სოციალურ ქსელში.

მან განმარტა, რომ 2003 წლის შეთანხმება პოჩაევის ლავრის შენობა-ნაგებობების (ტაძრების, სამრეკლოს და სხვ.) გამოყენების თაობაზე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მამათა მონასტრის მიერ დღესაც „მოქმედია და გაუქმებული არ არის“.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარმა იურისტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ უკრაინის იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება სახელმწიფო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ (ლავრის შენობა-ნაგებობების გამოყენების უფლების ამოღება ჩანაწერების რეესტრიდან) არ აუქმებს 2003 წლის შეთანხმებას გამოყენების თაობაზე.

# უკრაინის ხელისუფლება მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის ეკლესიას 20-ზე მეტი საეკლესიო ობიექტის წართმევას უპირებს

**უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო ამზადებს „გადაცემას“, ხოლო კონსტანტინოპოლის საპატრიარქო გეგმავს 20-ზე მეტი საეკლესიო შენობა-ნაგებობის უკრაინაში „დაბრუნებას“. ეს შენობა-ნაგებობები კონსტანტინოპოლს XVII საუკუნის ბოლომდე ეკუთვნოდა, ახლა კი მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაა.**

ამ დღეებში სტამბოლში უნდა ჩატარდეს სინოდის სხდომა, რომელზეც შეიძლება დასახელდეს ჩატარების თარიღი ე.წ. გამაერთიანებელი კრებისა, რომელზეც აპირებენ მოსკოვისგან დამოუკიდებელი „ავტოკეფალიური“ ეკლესიის შექმნას... თავდაპირველად ეს თარიღი, რომელიც კიევში დათქვეს, იყო 21 ნოემბერი, შემდეგ 22 ნოემბერს გადაიტანეს, შემდეგ ისიც გააუქმეს და თარიღის განსაზღვრა სტამბულს გადაულოცეს. „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, რომელიც ამზადებს ამ ავტოკეფალიას, ტომოსში ავტოკეფალიის შესახებ განზრახული აქვს, გადმოსცეს თავისი უფლებები და აღადგინოს ყველა სტავროლიგია, რომლებიც კონსტანტინოპოლს ოდესმე ჰქონია უკრაინაში“, — განაცხადა სინოდის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა **ილარიონმა.** მან აღნიშნა, რომ ლაპარაკია მონასტრებზე, ტაძრებზე, სხვადასხვა შენობაზე, საერთო ჯამში, 20-ზე მეტ ობიექტზე.



**ამ დღეებში სტამბოლში უნდა ჩატარდეს სინოდის სხდომა, რომელზეც შეიძლება დასახელდეს ჩატარების თარიღი ე.წ. გამაერთიანებელი კრებისა, რომელზეც აპირებენ მოსკოვისგან დამოუკიდებელი «ავტოკეფალიური» ეკლესიის შექმნას... თავდაპირველად ეს თარიღი, რომელიც კიევში დათქვეს, იყო 21 ნოემბერი, შემდეგ 22 ნოემბერს გადაიტანეს, შემდეგ ისიც გააუქმეს და თარიღის განსაზღვრა სტამბულს გადაულოცეს**

**ამ მომენტისთვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გადაეცა კიევში არსებული ანდრიას ტაძარი. ეს მოხდა უკრაინის ხელისუფლების ინიციატივით უკრაინის „ერთიანი ადგილობრივი ეკლესიის“ შექმნის ფარგლებში, რომელიც პატრიარქ ბართოლომეოსისგან ე.წ. ტომოსს ელოდება.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

**„მათ ჩვენი დასჯა სურთ, მაგრამ ეს უფრო მეტად ევროკავშირს დააზარალებს. ისინი ნამდვილად გაგიჟებულან, თუ მართლა აპირებენ ჩვენს დაჯარიმებას“, — განაცხადა იტალიის პრემიერმინისტრის მოადგილე მატეო სალვინიმ და დასძინა, რომ, თუ ასეთ ღონისძიებებს განახორციელებენ იტალიის მიმართ, მაშინ ევროკავშირის წინააღმდეგ მოსახლეობის 60 პროცენტი გამოვა, „ეს უფრო მეტია, ვიდრე იმ ბრიტანელების წილი, რომლებმაც ხმა „ბრექსიტს“ მისცეს“.**

ევროკავშირის პრობლემები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რომისა და ბრიუსელის კონფლიქტი ევროკავშირს ანგრევს

## რომი წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას ცდილობს, ევროკომისია წინააღმდეგია

**ევროკომისიის მორიგ სხდომაზე განიხილეს იტალიის ბიუჯეტის საკითხი და არ დაამტკიცეს წარდგენილი დოკუმენტი. ქვეყანას წინ უდევს ე.წ. გადაჭარბებული დეფიციტის პროცედურა, უარის შემთხვევაში — სანქციები. იტალიელების რეაქცია მყისიერი იყო: მოსახლეობის უმრავლესობა მზად არის, ევროკავშირიდან გამოვიდეს ახალი მთავრობის კურსის შესანარჩუნებლად.**
**ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში (№42) გამოქვეყნდა წერილი „იტალიასა და ევროკავშირს შორის უფსკრული ღრმავდება“. დღეს დამატებით ინფორმაციას გთავაზობთ.**



### ულტიმატუმების ენა

მკაცრი ეკონომიის პოლიტიკით დაღლილმა იტალიის მთავრობამ გადაწყვიტა, გაზარდოს ხარჯები, რათა, ბოლოს და ბოლოს, დაიწყოს ეკონომიკის გაზრდა. ასეთი იყო იმ პარტიების წინასაარჩევნო დაპირებები, რომლებიც მმართველ კოალიციაში გაერთიანდნენ. შედეგად 2019 წლის ბიუჯეტი ეკონომიკის გაზრდის უზრუნველყოფის გათვალისწინებით შედგა. ევროკავშირს ეს ძალიან არ მოეწონა, თუმცა ფორმალურად განაცხადა, რომ ბიუჯეტი ვერ დაფარავს გაზრდილ ხარჯებს. **ბრიუსელში მიიჩნევენ, რომ მათ უკეთ იციან, რა უკეთესია იტალიელებისთვის და რა — უარესი.**

**იტალიის მთავრობა რადიკალურად განსხვავებული აზრისაა. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხალხის ინტერესები ბრიუსელის წინაშე აღებულ ვალდებულებებზე მაღლა დგას და არ ვაპირებთ, გავაღარიბოთ ადამიანები სხვათა მიერ დაწესებული შეზღუდვებისა და მოთხოვნების გამო“, — ხაზგასმით აღნიშნა მემარჯვენე პოლიტიკური პარტიის — „ჩრდილოეთის ლიგის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლორენცო ფონტანამ.**

ევროკომისიამ უარი თქვა იტალიის ბიუჯეტის დამტკიცებაზე, რადგან ზომაზე მეტი ხარჯი გაზრდის იტალიის სახელმწიფო ვალს.

ევროკომისია რომს დაემუქრა დიდი ჯარიმით, რომლის მოცულობა 3,4-დან 8.5 მილიარდ ევრომდე იქნება. იტალიელებმა, რომლებიც თავიანთი ტემპერამენტით გამოირჩევიან, პასუხი არ დააუგვიანეს: **„მათ ჩვენი დასჯა სურთ, მაგრამ ეს უფრო მეტად ევროკავშირს დააზარალებს. ისინი ნამდვილად გაგიჟებულან, თუ მართლა აპირებენ ჩვენს დაჯარიმებას“, — განაცხადა იტალიის პრემიერმინისტრის მოადგილე მატეო სალვინიმ და დასძინა, რომ, თუ ასეთ ღონისძიებებს განახორციელებენ იტალიის მიმართ, მაშინ ევროკავშირის წინააღმდეგ მოსახლეობის 60 პროცენტი გამოვა, „ეს უფრო მეტია, ვიდრე იმ ბრიტანელების წილი, რომლებმაც ხმა „ბრექსიტს“ მისცეს“.**

### როცა ზომას ვერ საზღვრავენ

დაჯარიმების სცენარი იტალიის დაშინების მცდელობაა. სანქციებით რომ ემუქრება, ევროკომისია რომის დაყოლიებას ცდილობს ე.წ. ზედმეტი დეფიციტის მოთხოვნის პროცედურის შესასრულებლად. ეს პროცედურა გულისხმობს, რომ სამიდან ექვსი თვის განმავლობაში მთავრობამ უნდა წარადგინოს ბიუჯეტის იმ ხარჯვით ნაწილზე უარის თქმის გეგმა, რომელიც უარყო ევროკომისიამ. ახალ ბიუჯეტში უნდა აისახოს იმ ღონისძიებების განხორციელების დეტალური გეგმა, რომელიც უპასუხებს ევროპულ წესებს.

მსგავსი ღონისძიება 2009 წელს განხორციელდა ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი) მიმართ.

მაშინ **სანქციების მუქარით ბრიუსელმა აიძულა აღნიშნული ქვეყნები, დათანხმებულიყვნენ ევროკომისიის მოთხოვნებს, რამაც მკვეთრად უარყოფითი მოვლენები გამოიწვია ამ ქვეყნების ეკონომიკაში, მაგალითად, უნგრეთში ნეგატიურად აისახა ჯანდაცვისა და საპენსიო გადასახადებზე, გაუქმდა და შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები; პოლონეთში გააუქმეს პენსიაზე ადრე გასვლის წესი, საპენსიო ასაკი 67 წლამდე გაზარდეს; ჩეხეთში გაყინეს სოციალური დახმარებები; სლოვაკეთში შეამცირეს სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები და პენსიის რეფორმა განახორციელეს.**

ამას გარდა, ყველა ქვეყანაში გაზარდეს პირდაპირი და ირიბი გადასახადები. ყველგან გაიზარდა აქციზები, ჩეხეთში კი უძრავ ქონებაზე გადასახადი გაორმაგდა.

რომი არ აპირებს დამორჩილებას, თუმცა პრემიერმინისტრმა **ჯუზეპე კონტემ** ფორმალურად განაცხადა, რომ იმედოვნებს, კონსტრუქციულად ითანამშრომლოს ევროკომისიის ხელმძღვანელ **ჟან-კლოდ იუნკერთან**. ამასთანავე, მთავრობა არ აპირებს, უარი თქვას პენსიისა და უმუშევართათვის დახმარებების გაზრდაზე.

იტალიელებს განზრახული აქვთ ბიზნესისთვის გადასახადების შემცირება, რადგან ზოგიერთი ქალაქის ბიუჯეტს ეს გადასახადები მოგების 70 პროცენტს აკარგვინებს. შედეგად ბიზნესმენებს არ რჩებათ ფული წარმოების მოდერნიზაციისა და განვითარებისთვის. **ისე ჩანს, რომ ამ ვითარებაში იტალიისთვის უფრო ადვილი იქნება ევროკავშირიდან გასვლა, ვიდრე ბრიუსელის მითითებების შესრულება.**

**ბრიუსელში მიიჩნევენ, რომ მათ უკეთ იციან, რა არის უკეთესი იტალიელებისთვის და რა — უარესი. იტალიის მთავრობა რადიკალურად განსხვავებული აზრისაა. «ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხალხის ინტერესები ბრიუსელის წინაშე აღებულ ვალდებულებებზე მაღლა დგას და არ ვაპირებთ, გავაღარიბოთ ადამიანები სხვათა მიერ დაწესებული შეზღუდვებისა და მოთხოვნების გამო», — ხაზგასმით აღნიშნა მემარჯვენე პოლიტიკური პარტიის «ჩრდილოეთის ლიგის» ერთ-ერთმა ლიდერმა ლორენცო ფონტანამ**




### დომინოს პრინციპი

თუ რომი უარს იტყვის ზედმეტი დეფიციტის პროცედურაზე, ევროკომისია იძულებული იქნება, დაიწყოს სანქციების დაწესებაზე ხმის მიცემის პროცედურა. ნაკლებ სავარაუდოა, რომ „ევროპული კონცერტი“ ერთხმად მხარს დაუჭერს ამ ღონისძიებებს, რადგან ევროკავშირში ბევრი გულწრფელად თანაუგრძნობს იტალიას.

ასე რომ, **თუ მაინც დააწესებენ სანქციებს, რეალურად დადგება ევროკავშირიდან იტალიის გასვლის საკითხი, თუ არა, მნიშვნელოვნად შემცირდება ბრიუსელის გავლენა პრობლემურ ქვეყნებზე. თუ ეროვნული მთავრობები გადაწყვეტენ, განახორციელონ დამოუკიდებელი საბიუჯეტო პოლიტიკა, ევროკავშირი ფორმალურ გაერთიანებად გარდაიქმნება... თუ დარჩება საერთოდ.**

**სანქციების მუქარით ბრიუსელმა აიძულა აღნიშნული ქვეყნები, დათანხმებულიყვნენ ევროკომისიის მოთხოვნებს, რამაც მკვეთრად უარყოფითი მოვლენები გამოიწვია ამ ქვეყნების ეკონომიკაში, მაგალითად, უნგრეთში ნეგატიურად აისახა ჯანდაცვისა და საპენსიო გადასახადებზე, გაუქმდა და შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები; პოლონეთში გააუქმეს პენსიაზე ადრე გასვლის წესი, საპენსიო ასაკი 67 წლამდე გაზარდეს; ჩეხეთში გაყინეს სოციალური დახმარებები; სლოვაკეთში შეამცირეს სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები და პენსიის რეფორმა განახორციელეს**

## საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სამი რამ სჩაგრავს კაცს: პირველს ვერ ვიტყვი, მეორეს არ მათქმევინებენ და მესამეს ვერ გავბედავ... სსსუო! სსსუო! და სსსუო! და მაშ რაღა არის ეს ჩემი სიცოცხლე? – მიკვირს! ან აქამდე როგორ გავსძელი? მაგრამ გაკერპებული იმედი ისე შემტკიცებია ამ ჩემ გლახ-გულს, რომ საფლავშიც კი უპირებს ჩაყოლას; ვერც ჭაღარით მომიშორებია და ვერც ნიკრისის ქარებით გამიდენია“**

# «მაშ, ნუ გძინავს! გაილვიძე, იცან ქვეყანაო!»

დღეს 28 ნოემბერია — საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დღე, რომელმაც მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა მოახდინოს ჩვენი ქვეყნის წინსვლის საქმეში, მას შემდეგ, რაც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ხალხმა, რომ იტყვიან, ცივი წყალი გადაასხა ხელისუფლებას.

ეს იყო გაფრთხილება, რომ ქართველი ხალხი ბრბო არ არის და აღარ აპირებს თავის მოტყუებას ცრუ დაპირებებით!

რომ ნამდვილი თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად ახალი ძალითა და ენერგიით უნდა გაიშალოს ბრძოლაც და შრომაც!

საზოგადოებას იმედი აქვს, რომ 28 ნოემბერი ახალი გზის დასაწყისი იქნება; იმ გზისა, რომელიც ქვეყნის მართვის სადავეებს აღარასოდეს ჩაუგდებს ხელთ ანგარებიან ადამიანებს; რომ ამიერიდან უმთავრესი იქნება „სამშობლო, — უპირველეს ყოვლისა!“.

„დიდს ისტორიულს ეპოქაში ვცხოვრობთ. ამ გარემოების მნიშვნელობა ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეგვიგნია. სიდიადეს გადაჩვეულნი ვართ და ვერ წარმოგვიდგენია, რომ შესაძლებელია, ისტორია ჰფარავდეს ჩვენს ყოველ-დღიურს ცხოვრებას. დიდს საგნებს ყოველთვის წარსულში ვეძებთ. პერიკლეს, ალექსანდრე მაკედონელის ან ოქტავ ავგუსტის დრო დიდს ისტორიულს ეპოქას წარმოადგენს. ეს უეჭველია. აგრეთვე ჩვენი მეთორმეტე საუკუნე ან კიდევ ევროპიელთა რენესანსის, რეფორმაციის და რევოლუციის ხანა.

ჩვენი უახლოესი აწმყო არაფრით ჩამოუვარდება ამ დიდ წარსულ ეპოქებს: არც შემოქმედებითი ნაყოფიერებით, არც განმანადგურებელი ძლიერებით, არც გმირული აღფრთოვანებით. ყველა ამის დანახვა და გაზომვა დღეს როდი ძალგვიძს. მაგრამ მომავალი თაობა ადვილად გაარჩევს ჩვენი დროის დიდს საგნებს, დიდს ადამიანებს“(„ახალი ეპოქის დასაწყისი“), — წერდა გერონტი ქიქოძე. მომავალი თაობა ნამდვილად გაარჩევს „ჩვენი დროის დიდს საგნებს, დიდს ადამიანებს“ და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ისტორიის ნარეკლიან გზაზე ერის ღირსეულ შვილებს უამრავი იმედგაცრუების, უმადურობის, შეურაცხყოფის გადატანა მოუხდათ, მაგრამ მათთვის იმდენად ძლიერი იყო „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“, რომ უკან არ დაუხევიათ, არ წაუბორძიკებიათ, სინდისნამუსი არ გაუყიდიათ.

„კილო ჩემის მწერლობისა, — აცხადებდა აკაკი, — სულ სხვაგვარი იქნება: ისეთს, ისეთს დავყეფ, რომ კურდღლები ჩირგვებში აკანკალდნენ და მხეცები სოროებიდან გამოვიყვანო. ვიცი, ბევრჯერ მესვრიან ქვას, ბევრჯერაც დამიტატანებენ, მაგრამ მე მაინც, სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემსას არ მოვიშლი: პატარა ხელ-ფეხის მსლაქველ ფინიასავით სხვის კალთაში თბილად წოლას და ნებივრობას, შარაგზაზედ ყეფის დროს სიკვდილი მირჩევნია“.

ეს განწყობა აქვს დღეს საქართველოში ამომრჩეველს და „ქართულ ოცნებას“ ისევე მოუწოდებს, როგორც დიდი მგოსანი თანამემამულეებს თავის დროზე:

„მაშ, ნუ გძინავს! გაილვიძე, იცან ქვეყანაო!“

ჩვენი ცხოვრების ცხელ-ცხელი ამბების მომლოდინე მკითხველს კი ამჯერად აკაკი წერეთლის „ცხელ-ცხელი ამბებიდან“ კიდევ ერთ ფრაგმენტს შევთავაზებთ.



**საზოგადოებას იმედი აქვს, რომ 28 ნოემბერი ახალი გზის დასაწყისი იქნება; იმ გზისა, რომელიც ქვეყნის მართვის სადავეებს აღარასოდეს ჩაუგდებს ხელთ ანგარებიან ადამიანებს; რომ ამიერიდან უმთავრესი იქნება «სამშობლო — უპირველეს ყოვლისა!»**

## ცხელ-ცხელი ამბები

სამი რამ ამშვენებს კაცს: მარილიანი სიცილი, ტკბილი ხმა და მოხდენილი სიარული. ამაებს მე სამივეს მოკლებული ვარ...

სამი რამ ამხიარულებს კაცს: **საიდუმლო ტრფიალი, მოვალეების გასტუმრება და მონობიდამ თავის გამოხსნა.** ესეები ჯერ მე არც ერთი არ მღირსებია!!

**სამი რამ სჩაგრავს კაცს: პირველს ვერ ვიტყვი, მეორეს არ მათქმევინებენ და მესამეს ვერ გავბედავ... სსსუო! სსსუო! და სსსუო!**

და მაშ რაღა არის ეს ჩემი სიცოცხლე? — მიკვირს! ან აქამდე როგორ გავსძელი? მაგრამ გაკერპებული იმედი ისე შემტკიცებია ამ ჩემ გლახ-გულს, რომ საფლავშიც კი უპირებს ჩაყოლას; ვერც ჭაღარით მომიშორებია და ვერც ნიკრისის ქარებით გამიდენია.

**მაგრამ იმედი ხომ მისი წარმოდგენაა, რაც ცხადათ გვაკლია?.. დიახ, თავის მოტყუებაა?.. და მაშ რაღა სიცოცხლეა? „ვაის“ მაედანზედ გავსულვარ და „უის“ ტახტზედ ვზივარ.** არა, არა; ისევ სიკვდილი სჯობს... უნდა დავიხრჩო თავი, მაგრამ დალახვროს ღმერთმა, არ კი აქაც ხელი მეშლება. მტკვარი ამღვრეულია და გამაჩირქიანებს, ზღვა მარილიანია და თვალებს დამწვავს! ვეღარ ვახერხებ თავის დახრჩობას!.. არავინ იცით სხვა საშუალება რამ, რომ მირჩიოთ და ამ სოფელს მომაშოროთ როგორმე?!

**უჰ, უჰ, ღმერთო ჩემო! რამდენი მეგობრები მყოლია და მე კი აქამდე არა მცოდნია!.. ყოველის მხრით ათასობით მეგობრულად მირჩევენ და მასწავლიან სხვა და სხვა საშუალებას. ყოვლის უსასყიდლოთ მზათ არიან, რომ მეგობრულად მემსახურონ ამ შემთხვევაში. აი, პატიოსანი კაცები!.. მე რაღა მეთქმის? ღმერთმა გადაგიხადოთ, ჩემო მეგობრებო, სამაგიერო. ბევრი გზა მიჩვენეთ თავის მოსაკლავი, მაგრამ ვაი, რომ ვერც ამაებით ვსარგებლობ. სულ სხვა და სხვა საშუალობებს მირჩევენ; ერთის თუ დავიჯერე, სხვებს ხომ გული დასწყდებათ? და რომ არც ერთს არ ვაწყენიო, ისევ ასე დავრჩები; არ მოვიკლავ თავს! რა გაეწყობა!! სჩანს, არა ვყოფილვარ ღირსი და უნდა ვეხეტიალო აქეთ-იქით დღეის იქითაც!**

მაგრამ ხელობა რა ავარჩიო მისთანა, რომ გულს გადამყაროს? – მგონი ვერაფერი! ჰე, ისევ ისა სჯობს, რომ ვიარო ამ წუთის სოფელში, ვათვალიერო ხალხი და, რაც შევნიშნო, დავიყვირო სახალხოთ. პირველათ კი ჩემი თავიდამ უნდა დავიწყო, დაუზოგავათ უნდა შევამკო და მერე თუ სხვებზედაც რამ წამცდეს, ნურას უკაცრავად!

ჰე, გამოვსულვარ, და ვინც პირველი შემხვდება, იმას მივმართავ! აი, შემხვდა პირველად ვირი... მე აქ მართლა ვირზედ მოგახსენებთ, სახედარზედ, – ხუმრობათ არ ჩამომართვათ! ვხედავ, მოდის ნელ-ნელა, ფილოსოფურად და მეც მსურს, რამოდენიმე სიტყვა მოვახსენო ამ პატიოსან ქმნილებას:

სიტყვა

**„ეი, შენ პატიოსანო ვირო! იაფო და ხშირო! საწყლე-სანახშირეო! ნეტავი შენ, რომ ბუნებას მანგრე შეუმკიხარ: ფეხები პატარა გაქვს; მაგრამ დიდფეხიანებზედ კი უფრო სწორა დადიხარ. ყურები დიდი გაქვს; მაგრამ პატარა ყურებიანებზედ კი უფრო ნაკლებ უგდებ ყურს ათას-გვარ ჭორებსა და მავნებელ-სიტყვაობას. ხმა მაღალი გაქვს, მაგრამ ხშირად კი მაინც არ ჰყვირი, მაშინ, როდესაც უფრო მდაბალ ხმიანებისაგან ყურთა-სმენა აღარა გვაქვს.** დარწმუნდით, უ. ვირო, რომ თქვენსავით მაღალი ხმა ზოგიერთსა ჰქონდეს, სხვა და სხვა გვარ რჩევაბაასობის დროს, მეორეთ მოსვლის საყვირს დასცემდენ... და რაც შეეხება შრომას, ვხედავ, რომ მოცალებაც არა გაქვს!.. მე კი უსაქმურად აქეთ-იქით დავეხეტები. ეჰ, რაღა ბევრი ვილაპარაკო. მე შენ ვერ მოგწვდები, უნდა შენ წინ თითი მოვიკაკვო. აწ კი მშვიდობით“.

აი, შემხვდა კიდევ მეორე ცხოველი: ძაღლი! დალახვროს ღმერთმა. რაღა ზედიზედ შემეყარენ... აბა, ჩემო მკითხველო, ამ ძაღლსაც მიუბრუნდი და მეც სიტყვას ვეტყვი.

სიტყვა

„პატიოსანო ძაღლო!... ნეტა ვინ შეგედრება ოჯახის ერთგულებაში? ოთხი ფეხი გაქვს, მაგრამ მაინც არსად მიდიხარ და არ შორდები იმ ოჯახს, სადაც შენა ხარ, მაშინ, როდესაც ორფეხები კი აღარ იცდიან: ცოლები ქმრებს ექცევიან და ქმრები ხომ, რასაკვირველია, ცოლებს! შენა გაქვს ბასრი კბილები, მაგრამ მაინც ისე არ იკბინები, როგორც ზოგიერთი უკბილოები!

**და ყველაზედ უფრო მომეტებული ღირსება კი ისა გაქვს, რომ ერთგული ხარ და ბეჯითი: იმ სახლ-კარსა და იმ ეზოს, სადაც შენა ხარ, უვლი შეუპოვრად და უძინრად უცდი! ვერ შემოგეპარება ქურდ-ავაზაკი! ვერვინ მოგატყუებს და ვერავინ მიგიბირავს! რა გინდ ძლიერიც იყოს, შენ მაინც ყეფას არ მოუშლი ხოლმე!**

პატივი და დიდება შენ, ჩემო უ. ძაღლო!.. მე კი შენზედ უფრო სუსტი ვარ და უხასიათო. თუმცა ბევრსა ვხედავ ქურდ-ავაზაკსა, მაგრამ, არა თუ კბენას, შეყეფასაც ვერა ვჰბედავ. არა, არა; მე შენზედ სუსტი ვარ და შენ წინ მოვიკაკვავ თითს, ჩემო მურავ!“

ვიცი, ზოგიერთი ამხანაგები მიწყენენ, თუ რათ ვედარები ვირსა და ძაღლსა; მაგრამ იმათ რა ენაღვლებათ: მე მხოლოდ ჩემს თავზედ ვამბობ, რომ, როგორც ძაღლს, ისე ვირსაც ჩამოვრჩები, და ისინი კი ჩემსავით გლახები არ არიან: ისინი ვირზედაც უაღრესები არიან და ძაღლზედაც უმაღლესები! ძლიერები არიან, სუსტი მხოლოდ მე ვარ და ჩემს თავზედ ვამბობ! ვის რა დავა აქვს!... რომ შევადაროთ ეს ორი ზემომოყვანილი პირუტყვი იმ....., ჰმ... კინაღამ არ გავჰყარყუმდი!!!.. ბევრს არ იამებოდა?! ტფუი! ტფუ! ტფუ!.. ეშმაკს თვალი არ უჩანს!!.

**«კილო ჩემის მწერლობისა, – აცხადებდა აკაკი, – სულ სხვაგვარი იქნება: ისეთს, ისეთს დავყეფ, რომ კურდღლები ჩირგვებში აკანკალდნენ და მხეცები სოროებიდან გამოვიყვანო. ვიცი, ბევრჯერ მესვრიან ქვას, ბევრჯერაც დამიტატანებენ, მაგრამ მე მაინც, სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემსას არ მოვიშლი: პატარა ხელ-ფეხის მსლაქველ ფინიასავით სხვის კალთაში თბილად წოლას და ნებივრობას, შარაგზაზედ ყეფის დროს სიკვდილი მირჩევნია». ეს განწყობა აქვს დღეს საქართველოში ამომრჩეველს და «ქართულ ოცნებას» ისევე მოუწოდებს, როგორც დიდი მგოსანი თანამემამულეებს თავის დროზე: «მაშ ნუ გძინავს! გაილვიძე, იცან ქვეყანაო!»**

დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“
1875 წელს, №68,

**ხელმოწერით აკაკი**

რუბრუკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

დედაქალაქის ისტორია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრძოლიდან დაბრუნებულ ქართველებს უპოვიათ დახოცილები და სამივე ცალ-ცალკე დაუსაფლავებიათ. მეომრებმა მათ საფლავებს სათითაოდ დააყარეს თითო მუჭა მიწა. მას მერე წესად შემოუღიათ: ყოველი ბრძოლის შემდეგ აქ მოდიოდნენ და საფლავებს მუჭით მიწას აყრიდნენ. ასე წამოიზარდა იმ ადგილას სამი გორა, რის გამოც იმ ადგილს სამგორი ეწოდა.**

# სამგორი

**სამგორი ისტორიული უბანია თბილისში. დღეს ის დედაქალაქის ერთ-ერთი ხალხმრავალი რაიონია, რომელშიც 168 801 ადამიანი ცხოვრობს.**

ტოპონიმის წარმოშობის თაობაზე ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ლოჭინის ხევში ცხოვრობდა ცალხელა მოხუცი, რომელსაც ქალაქისთვის მტრის შემოსევის შეტყობინება ევალებოდა, ამ მიზნით ის საჭირო დროს მაღალ სვეტზე ცეცხლს ანთებდა ხოლმე. ერთხელ მან სიკვდილისგან იხსნა შვლის ნუკრი და თავის ქოხში წაუყვანია და შვილებთან ერთად ზრდიდა. გავიდა დრო და კაცი გარდაიცვალა, მისი საქმიანობა კი მისმა ვაჟებმა განაგრძეს. ერთ დღეს, როცა ამ ადგილებში მტერი გამოჩენილა, უფროსი ძმისთვის ჩირაღდნით ხელში სვეტზე ასვლისას მტრის ისარს გულმკერდი გაუგმირია და ძირს ჩამოუგდია; ახლა მეორე ძმას უცდია ცეცხლის ატანა, მაგრამ მტრის ისარს ისიც უსულოდ დაუნარცხებია მიწაზე. მანამდე კი ჭაბუკს მოუფიქრებია და ქალაქში შველი გაუშვია წერილით კისერზე. ასე შეუტყვიათ ქალაქში მტრის შემოსევის ამბავი და ლაშქარიც შეკრებილა. შინ დაბრუნებულ შველს თავისი ძმობილები დახოცილი რომ უნახავს, თურმე თავი ქვას ახალა და თავადაც სული განუტევებია. **ბრძოლიდან დაბრუნებულ ქართველებს უპოვიათ დახოცილები და სამივე ცალ-ცალკე დაუსაფლავებიათ. მეომრებმა მათ საფლავებს სათითაოდ დააყარეს თითო მუჭა მიწა. მას მერე წესად შემოუღიათ: ყოველი ბრძოლის შემდეგ აქ მოდიოდნენ და საფლავებს მუჭით მიწას აყრიდნენ. ასე წამოიზარდა იმ ადგილას სამი გორა, რის გამოც იმ ადგილს სამგორი ეწოდა.**

**რევაზ ინანიშვილი** კი თავის ერთ პატარა მოთხრობაში ასეთ ამბავს გვიყვება:

„კოშკის თავზე იდგნენ.

თავადის ასულმა ლამაზად ასწია ხელი:

– ერთი, ორი, სამი.

არტური ღიმილით მიადევნებდა თვალს თავადის ასულის ხელს.

მდინარის იქით, გრძელი მაღალი კბოდის თავზე, ტრიალი მინდორი იწყებოდა.

მიდიოდა ის მინდორი ჰორიზონტამდე ერთფეროვნად, სულ ყვითლად, იქ ოქროსფერი სუფთა ცა კვეთდა. გადაკვეთის სწორ ხაზზე სამი პატარა გორაკი იყო გამწკრივებული.

მზე იმ გორაკების უკან ჩასულიყო და ახლა სამივე მკვეთრად იყო მიხატული ცაზე.

— დააკვირდით, ბატონო არტურ: შუალა გორა ოდნავ მომცროა. იმ შუალასთან ერთი გორა უფრო ახლოსაა, ვიდრე მეორე, ხომ აშკარაა?

— რა თქმა უნდა, — ისევ ეღიმებოდა არტურს.

— იცით, რას ჰყვება ჩვენი ხალხი ამ სამ გორაზე? შუალა გორა ყოფილა მთავრის ქალიშვილი, რა თქმა უნდა, ლამაზი, მზეთუნახავი. ეს ქალიშვილი შეჰყვარებია ორ ვაჟკაცს, ორივე დიდგვაროვანს, ყოვლად შემკულს. ქალიშვილს ვერც ერთისთვის ვერ ეთქვა თანხმობა ცოლობაზე. ბოლოს გადაეწყვიტა: გაიქეცით, აი, ამ ველს შემოურბინეთ, ერთმა ამ მხრიდან, მეორემ იმ მხრიდან, და, რომელიც პირველი მოვა, მისი გავხდებიო. გაიქცნენ ჭაბუკები, შემოურბინეს ველს და ხედავს ქალიშვილი, აი, ის, მარცხნიდან წასული, მოდის ადრე, ვისკენაც უფრო ნაკლებად მიუწევდა გული, და შესთხოვა უფალს, ადგილზევე გაექვავებინა სამივე, და აუსრულა უფალმა, გაქვავდნენ სამივენი.

თავადის ასული ოდნავ შეყოვნდა და ისევ მიუბრუნდა არტურს.

— ხომ არის ამ ლეგენდაშიც ლამაზი აზრი, ბატონო არტურ? **ქართველები ან ისე ცოცხლობენ, როგორც მათ სურთ, ან სულ არ ცოცხლობენ, გაქვავება ურჩევნიათ ულამაზოდ ყოფნას.**

გაღიმებულ არტურს ცრემლების მოწოლამდე მოუნდა პატარა ბავშვსავით მოჰფერებოდა თავადის მშვენიერ ასულს, ეს კი არ შეიძლებოდა — თავადის ასული უკვე თექვსმეტი წლისა იყო — და ამასღა ამბობდა აჩქარებით:

— თქვენთან ყველაფერი ლამაზია, თავადის ასულო, მინდორიც, მთაც, ქვებიც, ბალახებიც.

— რადგან ყველაფერს განწირულების შუქი ადგას, არა?

არტური შეკრთა. ახლა უკვე თავადის ასული იღიმებოდა გამომწვევად. ო, ეს ღიმილი!.. ღმერთო, სად ენახა ასეთი ღიმილი!.. სად ენახა!..

და უცებ მიხვდა:

„ბებერი დედოფლები იღიმებიან ასე“.

ორმოცდაშვიდი წლის არტური იმ ღამის ჩანაწერს ამთავრებს სიტყვებით: **„ოჰ, ეს ძველი პატარა ხალხები! მე, დიდი ძლიერი ერის შვილს, სიკვდილი მომინდა მთლად ნორჩი თავადის ასულის ამ ღიმილის ქვეშ“.**

რას შეეხება ისტორიულ წყაროებს, სამგორი მოხსენიებულია 502 წელს, როდესაც სპარსეთის ურდო ისევ შემოესია ქართლს. მტერი ივრის ხეობაში შემოსულა — **რუსთავსა და სამგორში**. ქართველთა ჯარი სპარსელებზე ხუთჯერ ნაკლები ყოფილა. ბრძოლის წინ **კათალიკოს პეტრეს** დაულოცია **მეფე ვახტანგ გორგასალი** და მისი ჯარი. სისხამ დილით მეფეს მტერზე იერიში უბრძანებია. შეუპოვრად მიიწევდა თურმე სამოცი წლის ქართველი მეფე შაჰის კარვისკენ. მიუღწევია და შევარდნილა კიდეც შაჰის კარავში. გრიგალივით მოვარდნილი მთაკაცის ხილვით შეძრწუნებულ კავადს წამსვე ცხენი შეუტრიალებია და ბრძოლის ველიდან გაუქუსლავს. გორგასალს შეერკინა უფლისწული ბარტამი, მაგრამ ქართველმა მეფემ სძლია და სიცოცხლეს გამოასალმა. მზის ამოსვლიდან საღამომდე იბრძოდა ვახტანგი, მაგრამ მისმა ყოფილმა მონამ მოწამლული ისარი ესროლა იღლიაში. საქმე ისაა, რომ ქართული აბჯარი იღლიაში ღია იყო, რათა მებრძოლს ხელი თავისუფლად ემოძრავებინა. მოღალატემ, რომლის სამარცხვინო სახელი ისტორიამ არ შემოგვინახა, იცოდა ამის შესახებ. ისარი იღლიიდან „გავიდა ფირტუამდეო“, — წერია წყაროში. მეფემ ჭრილობიდან ისარი ვერ გამოიძრო და, მიუხედავად ამისა, მაინც გმირულად იბრძოლა კიდევ რამდენიმე საათის განმავლობაში. ქართველებმა მტერი დაამარცხეს, რის შემდეგაც ვახტანგ გორგასალი ცხენზე შეჯდა და დიდი გაჭირვებით თვითონ მივიდა **უჯარმის ციხემდე,** რათა ქართველებს იგი დასუსტებული არ დაენახათ.

არსენ კათალიკოსის სიტყვით, მეფე ვახტანგი ძალიან მაღალი ტანის კაცი ყოფილა. იგი ამბობს: ვახტანგ მეფე იყო **„ჰასაკითა უმეტეს ყოველთა კაცთა, რამეთუ ათორმეტი ბრჭალი კაცისა იყო სიმაღლე მისი** (2.40 სმ — რედ.) **და აწცა რომე არა აბჯარი და სამოსელი მისი, მისგან უფროს საცნაურ არს“** მეფის გოლიათური სიმაღლეო. იმავე ავტორის მოწმობით, ვახტანგ გორგასალი დასაფლავებული ყოფილა მისგანვე აგებულ მცხეთის დიდებულ ტაძარში, **„თვით ეკლესიაში, წინაშე სუეტსა ცხოველსა და მისსა ზედა საფლავსა წერილ არს ხატი მისი სწორი ჰასაკისა მისისა“-ო**. ე.ი, საფლავის ქვაზე მისი გამოსახულება ყოფილა გამოყვანილი იმავ ზომისა, რა ზომისაც დიდებული გვირგვინოსანი ყოფილა. ეს, ალბათ, მისი საფლავის ქვის ძეგლი იქნებოდა. საუკუნეთა მანძილზე ქართველნი და მათი მტერმოყვარენი გაოცებულნი შესცქეროდნენ იქვე, სვეტიცხოველში გამოფენილ უზარმაზარ სამოსელსა და საჭურველს, ხოლო ქართული სახელმწიფოს დროშას საუკუნეთა მანძილზე „ვახტანგიანსა“ და „გორგასლიანსაც“ უწოდებდნენ.

დღეს სამგორი დედაქალაქის ყველაზე ხალხმრავალი რაიონია 168 801 მკვიდრით. იგი თბილისს 1951 წელს შეუერთდა, როდესაც მდინარე ივრის წყალი სამგორის არხით თბილისისკენ გამოუშვეს და ე.წ თბილისის ზღვა შეიქმნა.

დღეს თბილისის ზღვა საქართველოს დედაქალაქის მნიშვნელოვანი რეკრეაციული ობიექტია; აქ აშენდა იახტკლუბი, მოქმედებს აკვაპარკი „ჯინო პერედაისი“, ღია და დახურული აუზებით, ატრაქციონებითა და „ველნეს“ ცენტრით. თბილისის ზღვის ვარკეთილის მხარეს დგას 50-იან წლებში აღმართული ორი ობელისკი, რომელიც წყალსაცავის გახსნას უკავშირდება.

სამგორის რაიონში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებზეც 2018 წლის 9 თვეში 13 460 472 ლარი დაიხარჯა. ამ თანხით მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი; ახალი სკვერები, სპორტული მოედნები, ფანჩატურები, ფიტნესტრენაჟორები, განახლდა მიწისქვეშა კომუნიკაციები და სხვ.

რაც შეეხება ღირსშესანიშნაობებს, ისანი-სამგორის რაიონს ეკუთვნის მახათას მთა, სადაც 2012 წლის 17 აპრილს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით **ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის, სამონასტრო კომპლექსის** მშენებლობა დაიწყო, რომელიც 2017 წელს დასრულდა.

მახათას მთაზე არის შედარებით მცირე ზომის **ცხრა ყრმა კოლაელის სახელობის ტაძარი.**



მახათის საკათედრო ტაძარი



ცხრა კოლაელი ყრმა



9 ყრმა კოლაელის ტაძარი

**დღეს სამგორი დედაქალაქის ყველაზე ხალხმრავალი რაიონია 168 801 მკვიდრით. იგი თბილისს 1951 წელს შეუერთდა, როდესაც მდინარე ივრის წყალი სამგორის არხით თბილისისკენ გამოუშვეს და ე.წ თბილისის ზღვა შეიქმნა. სამგორის რაიონში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ორივე გოგონამ განაცხადა, რომ 2015-დან 2017 წლამდე სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ კორი ფრენჩთან. ამ პერიოდში ისინი ნეპტუნ ბიჩის სკოლაში სწავლობდნენ. გაირკვა ისიც, რომ პატივცემული მასწავლებელი თითოეულს ცალ-ცალკე სიყვარულს ეფიცებოდა და ან კოლორადოში, ან ალიასკაზე მასთან (ერთ-ერთთან) ერთად გადახვეწა ჰქონდა დაგეგმილი.**



## მამასა და მის ქალიშვილს ინცესტში დასდეს ბრალი

**მამა-შვილის ინცესტის შესახებ მას შემდეგ შეიტყვეს, რაც მათი შვილი სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ჩარლტონის საავადმყოფოში გარდაიცვალა.**

**პოლიცია ადგილზე ექიმების გამოძახებით მას შემდეგ მივიდა, რაც ექიმებმა დაადგინეს, რომ ჯეტლინ ედვარდსი თავისი ბიოლოგიური მამის — ჯეიმს ბრაუნისგან დაოსრულდა. მედიკოსებს ეჭვი შეეპარათ, რომ ადგილი ჰქონდა ძალადობას. მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ეს წყვილი ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდა, — იუწყება The Sun.**

ბავშვი გარდაიცვალა გართულებების გამო, რომლებიც გამოწვეული იყო სისხლის აღრევით. ქეთლინი მაშინ დააკავეს, როცა ჯეიმსი დაპატიმრებული ჰყავდათ სხვა ქვეყანაში ჩადენილი სხვა დანაშაულის გამო. გამოძიების დეტალები არ საჯაროვდება.

ეს შემზარავი ფაქტი სისხლის აღრევის ერთადერთი შემთხვევა არ არის. წლევანდელ აპრილში დიდი სკანდალი აგორდა ჩრდილოეთ კაროლინაში მამისა და მისი ქალიშვილის ურთიერთობის გამო, მაგრამ, როგორც კი გამჟღავნდა სისხლის აღრევის ეს შემთხვევა, **სტივენ პადლმა** სიცოცხლეს გამოასალმა თავისი ბიოლოგიური ქალიშვილი, მათი საერთო შვიდთვიანი შვილი და ქეთის მამობილი. ბოლოს თვითონაც თავი მოიკლა.



## 98 წლის ვეტერანი 25-დოლარიანი ტელევიზორისთვის მოკლეს

**მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი პიტერ გოლდსტოუნი უმოწყალოდ სცემეს და სიკვდილის პირზე მიიყვანეს ქურდებმა, რომლებიც მის სახლში შეიჭრნენ და იქიდან 25-დოლარიანი ტელევიზორი გამოიტანეს. 98 წლის მოხუცს ტვინში სისხლი ჩაექცა, — იუწყება Daily Mail.**

ნიშანდობლივია, რომ სამხრეთ ლონდონის რაიონში, სადაც ეს კაცი ცხოვრობდა, ქურდობა რეგულარულად ხდება და, როგორც წესი, დამნაშავეებს მოხუცები ეწირებიან.

მეორე მსოფლიო ომის დროს პიტერ გოლდსტოუნი იტალიაში მსახურობდა. ომის შემდეგ ფოსტის ინჟინრად მუშაობდა და პენსიაზე 1980 წელს გავიდა.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## რა დაემართა ახალგაზრდა კაცს, რომელმაც ლატარიაში 314 მილიონი დოლარი მოიგო

**16 წლის წინათ ეს რეკორდული თანხა იყო და ჯეკი ნამდვილი ამერიკელი გმირი გახდა. ეს მოხდა დასავლეთ ვირჯინიაში. ჯეკ უიტაკერის სახელი ყველას პირზე ეკერა, მაგრამ ამ მოულოდნელმა „ბედნიერებამ“ თავგზა და ცხოვრება ერთიანად აურია: რამდენიმე წელიწადში „ნულზე დაჯდა“, ცოლმა მიატოვა, შვილიშვილი ნარკოტიკის ზედმეტი დოზით გარდაეცვალა. ამ უბედურებას The Sun ასე აფასებს: „ფულმა შთანთქა ყველა სიკეთე, რომელიც კი ჰქონდა. ფულს შეუძლია გაგაქროს, როგორც ადამიანი, და გაქციოს ფულად. თქვენ ადამიანი აღარ ხართ“.**




ამბავი ასე ვითარდებოდა. ჯეკმა მოგება მთლიანად გამოიტანა და გადაიხადა 112 მილიონის გადასახადი: „მადლობას ვუხდი ღმერთს იმისთვის, რომ დამეხმარა, ამერჩია სწორი რიცხვები... ან დანადგარი, რომელმაც ეს რიცხვები გამოაჩინა“.

მაგრამ მადლიერების განწყობილება მალევე ჩაანაცვლა თაღლითობამ, ძარცვამ, ნარკომანიამ, სექსუალურმა ძალადობამ, ბოლოს — სიკვდილმა.

პირველი, ვისთვისაც ჯეკმა არმად ნაშოვნი ფული დახარჯა, იყო მაღაზიის მოლარე **ბრენდა ჰიგინბოტემი** (ამ ქალისგან შეიძინა ლატარიის ბედნიერი ბილეთი), მას სახლი და მანქანა უყიდა. სიკეთის ამგვარ გადახდას, სამწუხაროდ, ცუდი შედეგი მოჰყვა: ბევრი ადამიანი სთხოვდა ფულს, მათ შორის ისინიც, ვისაც არ იცნობდა, ისიც უშურველად ეხმარებოდა ყველას. „ბევრი კიბოთი იყო დაავადებული ან ბავშვი უკვდებოდა. ისეთი უბედურები იყვნენ, რომ გული მისკდებოდა“, — ყვება ჯეკი.

უაზროდ ხელგაშლილი გახდა. ერთ დღეს სტრიპტიზკლუბში 50 ათასი დოლარი დახარჯა. ხშირად ღამეს შინ არ ათევდა, პატივს არ სცემდა ცოლს, ოჯახის წევრებს, თანამშრომლებს, ყურადღებას არ აქცევდა საკუთარ გარეგნობას — „დაჭმუჭნული პერანგით დადიოდა, ქუდი ჭუჭყიანი ეხურა, გაუპარსავი იყო. ტრაბახობდა: „მე ვარ ჯეკ უიტაკერი. მთელი ეს ფული მე მოვიგე, ვაშა მე!“ ან: „მე ჯეკ უიტაკერი ვარ. შენ გააკეთებ იმას, რასაც გეტყვი... მე ღმერთზე მეტი ფული მაქვს“ და ა.შ.

ამასობაში ქურდებმა ჯეკის მანქანიდან მოიპარეს ჩემოდანი, რომელშიც ნახევარი მილიონი ნაღდი ფული ედო. შემდეგ სტრიპტიზკლუბის პატრონმა და მისმა თანაშემწემ განიზრახეს გამილიონერებული ჯეკის ნარკოტიკებით გაბრუება და ამ გზით ფულის მოპარვა. ერთი წელიწადი ისინი საშინაო პატიმრობაში იმყოფებოდნენ.

ჯეკის შვილიშვილი, **ბრენდი ბრეგი,** ბაბუასთან ცხოვრობდა. გამარჯვებული რომ გამოაცხადეს, გოგონა გადაცემას ბაბუასთან ერთად უყურებდა. მისი ერთადერთი სურვილი რეპვარსკვლავ **ნელის** გაცნობა იყო, სურვილი აისრულა, მაგრამ ერთი წლის თავზე მან ყველა მეგობარი დაკარგა. ჯეკმა ეს შემდეგნაირად ახსნა: „ისინი მასთან ფულის






გამო მეგობრობდნენ“. მალე ეს გოგონა ნარკოდამოკიდებული გახდა. 2003 წელს მისი შეყვარებული ნარკოტიკის დიდი დოზით გარდაიცვალა. მომდევნო წელს ბერნდაც დაიკარგა. იგი 2 კვირის ძებნის შემდეგ იპოვეს. მისი სხეული ცელოფანში იყო გახვეული და ფურგონის გვერდით მიწაზე იყო დასვენებული. დამნაშავე ვერ იპოვეს.

2003 წელს სამორინეს თანამშრომელმა **კრიტი ფრენჩმა** ჯეკს სექსუალური თავდასხმის ბრალდება წაუყენა. 4 წლის შემდეგ ჯეკი დამნაშავედ ცნეს.

2007 წელს ჯეკმა განაცხადა, რომ გაკოტრდა.

2009 წელს ჯეკის შვილი, ბრენდის დედა, თავის სახლში მკვდარი იპოვეს. 2016 წელს ჯეკის სახლი, რომელიც დაზღვეული არ იყო, დაიწვა.

მისმა ყოფილმა ცოლმა განაცხადა, რომ ლატარეამ დაანგრია მათი ცხოვრება. ჯეკიც იმავეს იმეორებს: „ჩემი შვილიშვილი ფულის მიზეზით მოკვდა. ჩემთვის იგი პატარა ვარსკვლავი იყო. ჩემმა ცოლმა თქვა, რომ გადახევდა იმ ბილეთს. მეც ასე მოვიქცეოდი“.

## მოსწავლე გოგონებმა საყვარელი მასწავლებელი ცოლთან დააბეზღეს

**ფლორიდის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე გოგონები აღშფოთდნენ მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ მათ მასწავლებელ კორი ფრენჩს ორივესთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი. აღიარეს, რომ მასწავლებელს ხან მის სახლში, ხან კლასში ხვდებოდნენ, — იუწყება New York Post.**

ორივე გოგონამ განაცხადა, რომ 2015-დან 2017 წლამდე სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ **კორი ფრენჩთან.** ამ პერიოდში ისინი ნეპტუნ ბიჩის სკოლაში სწავლობდნენ. გაირკვა ისიც, რომ პატივცემული მასწავლებელი თითოეულს ცალ-ცალკე სიყვარულს ეფიცებოდა და ან კოლორადოში, ან ალიასკაზე მასთან (ერთ-ერთთან) ერთად გადახვეწა ჰქონდა დაგეგმილი.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, გოგონები კორის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას არ აპირებენ. ადვოკატის განცხადებით, მათ არ სურთ, მიიპყრონ საზოგადოების ყურადღება.





სირიის არმიამ შეტევას მძლავრი კონტრდარტყმით უპასუხა, მაგრამ ავი საქმე უკვე ჩადენილი იყო — ნახევრად დანგრეულ ქალაქში ხან აქ, ხან იქ ჩნდებოდა სიბნელეში უხილავი მომწავლელი აირის ღრუბლები. მსხვერპლის შესახებ არ იუწყებიან, ცნობილია მხოლოდ ის, რომ მოწამვლის ნიშნებით ასზე მეტი ადამიანი საავადმყოფოში მოხვდა. შეტევა მოგერიებულია და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მოთარეშეთა მხრიდან მსხვერპლი ქალაქისთვის მიყენებულ ზარალზე ბევრად მეტია.

ახალი აღმოსავლეთი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ უბრძანა მოთარეშეებს, მომწამვლელი ყუმბარებით დაებომბათ ალეპო

**სირიის სააგენტო SANA იუწყება, სულ ცოტა, 107 დაჭრილის შესახებ ქალაქ ალეპოზე განხორციელებული ქიმიური შეტევის შედეგად. საერთაშორისო შეთანხმებებით აკრძალული ყუმბარებით ქალაქის დაბომბვა 24 ნოემბერს, დაახლოებით 22 საათზე დაიწყო. ქლორის მსგავსი აირით დატენილ ყუმბარებს ელ-ბურაიკატიდან (ალეპოს ერთ-ერთ რაიონიდან) ისროდნენ, სადაც განლაგებულია ტერორისტული ორგანიზაცია „ჯებჰათ ან-ნუსრის“ მემკვიდრე „ჰაიათ ტახრირ აშ-შამის“ დაჯგუფების შეიარაღებული ბანდები.**

სირიის არმიამ შეტევას მძლავრი კონტრდარტყმით უპასუხა, მაგრამ ავი საქმე უკვე ჩადენილი იყო — ნახევრად დანგრეულ ქალაქში ხან აქ, ხან იქ ჩნდებოდა უხილავი მომწავლელი აირის ღრუბლები. მსხვერპლის შესახებ არ იუწყებიან, ცნობილია მხოლოდ ის, რომ **ასზე მეტი ადამიანი საავადმყოფოში მოხვდა.** შეტევა მოგერიებულია და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მოთარეშეთა მხრიდან მსხვერპლი ქალაქისთვის მიყენებულ ზარალზე ბევრად მეტია.

რა იყო ეს? — იკითხავს ყველა ნორმალური ადამიანი, რომელსაც ახსოვს ჩვეულებრივი ომები. „ნორმალური“ ყუმბარებით დაბომბვა გაცილებით ეფექტიანი იქნებოდა: მსხვერპლიც მოჰყვებოდა ასეთ შეტევას, მეტი შენობა განადგურდებოდა, მაგრამ ჰიბრიდულ ომებს თავისი ლოგიკა აქვს.

## წინაისტორია

მთავარია გვახსოვდეს, რომ **წინა კვირაში ქიმიური იარაღის აკრძალვის მსოფლიო ორგანიზაცია, ფაქტობრივად, გამოვიდა გაეროს უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებიდან და ცალმხრივად მნიშვნელოვნად გაიფართოვა საკუთარი უფლებამოსილება, ქიმიურ შეტევებში მონაწილეთა ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის დადგენის უფლება მიისაკუთრა.**

საქმე, უწინარეს ყოვლისა, ეხება სირიას, სადაც 2011 წლიდან არაერთხელ დაარღვიეს ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონვენციები. **ასეთი ოპერაციის განხორციელების შესახებ ბრძანების გაცემის დამტკიცებული ფაქტი საკმარისი იქნებოდა ნებისმიერი ოფიცრისთვის სამხედრო დამნაშავის სტატუსის შესაფარდებლად, ხოლო სახელმწიფოსთვის, რომლის არმიაშიც იგი მსახურობს, აგრესორისა და საომარ მოქმედებათა არაადამიანური საშუალებებით წარმართვის ბრალდების წასაყენებლად.**

ქიმიური იარაღის აკრძალვის მსოფლიო ორგანიზაციის უფლებების გაფართოებამდე რამდენიმე კვირით ადრე სპეცსამსახურებმა მოიპოვეს ინფორმაცია, რომ მოთარეშეებმა იდლიბში მომწამვლელი ნივთიერებების ახალი პარტია მიიღეს. იდლიბი ალეპოს 40 კილომეტრით არის დაშორებული, შუა გზაზე ელ-ბურაიკატი მდებარეობს. აქ დეესკალაციის ერთ-ერთი ზონაა, რომლის პერიმეტრიდან 15 ოქტომბრამდე უნდა გაეყვანათ ყველა რადიკალური ფორმირება, მაგრამ არ გაუყვანიათ. დეესკალაციის ზონაში მშვიდობის დამყარებაზე პასუხისმგებლობა თურქეთმა ითავა.

## ალტრუისტები

აქ აუცილებელია, ორიოდე სიტყვა ვთქვათ არასამთავრობო ჰუმანიტარულ ორგანიზაცია „თეთრ ჩაფხუტებზე“ (ოფიციალური სახელწოდება „სირიის სამოქალაქო თავდაცვა“), რომლის წევრები, როგორც თვითონ დეკლარირებენ, მოწოდებულნი არიან, დაეხმარონ მშვიდობიან მოსახლეობას, მაგალითად, მოამარაგონ მედიკამენტებით და ალაჰის მოსაწონებელი სხვა კეთილი საქმიანობა გასწიონ. მაგრამ ეს ორგანიზაცია მუსლიმებმა კი არ შექმნეს, არამედ ბრიტანელმა ოფიცერმა **ლე მეზურიემ** და მისმა ყოფილმა თანამშრომლებმა. **„თეთრი ჩაფხუტები“ მოქმედებენ მხოლოდ სირიის ოპოზიციის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და, შესაბამისად, შესაძლო სამხედრო დანაშაულში ბრალს დებენ სამთავრობო ჯარებსა და რუსეთს.**

ეს მშვიდობიანი ალტრუისტები, რა თქმა უნდა, სიმპათიურად არ არიან განწყობილი იმათ მიმართ, ვინც უტევს მათი დისლოკაციის ადგილებს. 200-ზე მეტი მოხალისე დაიღუპა ძირითადად სამთავრობო და რუსეთის სამხედრო ძალების შეტევისას. ნაღმსატყორცნის ჭურვი, სამწუხაროდ, ვერ არჩევს, ჩასაფრებულთა შორის ვინ არის მოთარეშე, ბოროტი „ბოევიკი“ და ვინ — კეთილი სამარიტელი.

ამ სამარიტელების ამოცანები კეთილშობილური რომ არ არის, ესაა სამწუხარო. „თეთრმა ჩაფხუტებმა“ იკისრეს **ბაშარ ასადისა** და რუსეთის ფედერაციისთვის სამხედრო დანაშაულთა დაბრალების ძნელი მისია, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ქიმიური იარაღის გამოყენების კუთხით. რუსეთის დაზვერვის მონაცემებით, სწორედ ისინი („თეთრი ჩაფხუტები“) ინახავენ ქლორის მარაგს, რომელიც გათვალისწინებულია სამთავრობო შეტევების იმიტაციისთვის.

## პროვოკატორები

პროვოკაცია სამხედრო-პროპაგანდისტური ხელოვნების ძველისძველი ელემენტია. ყველა აგრესორი ცდილობს, თავი მსხვერპლად წარმოაჩინოს. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი ომი დაიწყო ოპერაცია „კონსერვებით“ 1939 წლის 31 აგვისტოს პოლონეთის სამხედრო მოსამსახურეების „უსინდისო“ თავდასხმით „მშვიდობიან“ გერმანულ რადიოსადგურზე ქალაქ გლიავიცში. ეთერში გადაიცა ექსტრემისტული მოწოდებები პოლონურ ენაზე. ერთდროულად თავს დაესხნენ გერმანულ სატყეოსა და საბაჟოს. სასაზღვრო ჯარებმა შეძლეს პოლონელთა თავდასხმის მოგერიება, და მეორე დღესვე გერმანული გაზეთები გამოვიდა პოლონელთა ბრალეულობის „უტყუარი“ მამხილებელი საბუთებით — პოლონეთის არმიის სამხედრო ტანსაცმლიანი ცხედრების ფოტოსურათებით.

**ეს ყველაფერი გერმანულმა პრესამ მსოფლიო საზოგადოებას მიაწოდა, როგორც ომის დაწყების საფუძვლიანი აუცილებლობა. სინამდვილეში, ის, რაც მოხდა, წმინდა წყლის პროვოკაცია იყო: პოლონელების სამხედრო ტანსაცმელი ჩააცვეს საკონცენტრაციო ბანაკის მოკლულ პატიმრებს, რომლებსაც აქციის ორგანიზატორებმა „კონსერვები“ დაარქვეს.**

დაახლოებით ამავე სქემით მოქმედებს სირიის ოპოზიცია, რომელსაც წარმართავენ „მშვიდობიანი“ კონსულტანტები „თეთრი ჩაფხუტების“ ორგანიზაციიდან. სამთავრობო ჯარების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე თავდასხმა, ქიმიური იარაღით დაბომბვა, მძიმე დანაშაულის დაფიქსირება, ქიმიური იარაღის აკრძალვის მსოფლიო ორგანიზაციისადმი მიმართვა შესაბამისი ბრალდებებით — ასეთია „სირიის სამოქალაქო თავდაცვის“ უსინდისობის გეოგრაფია.

ამ შემთხვევაში **ალეპოს დასავლეთიდან შეუტიეს, ოპოზიციის კონტროლს დაქვემდებარებული დასახლებიდან, დაბომბეს ჭურვებით, რომლებიც ოპოზიციას წინასწარ ჰქონდა მომარაგებული. ამ დარტყმებს სირიის არმიას ვერავინ დააბრალებს, მოტივის არარსებობის გამო: ალეპოს მშვიდობიანი ცხოვრება „ასადის რეჟიმის“ მთავარი სამხედრო მიღწევაა და სტაბილურობის ნებისმიერი დარღვევა მხოლოდ მის მოწინააღმდეგეებს აძლევთ ხელს.**

**P.S.** **როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, ქიმიური შეტევის ჩამდენი ბანდიტები ლიკვიდირებული არიან.**

*მომზადებულია უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით*



**ქიმიური იარაღის აკრძალვის მსოფლიო ორგანიზაციის უფლებების გაფართოებამდე რამდენიმე კვირით ადრე სპეცსამსახურებმა მოიპოვეს ინფორმაცია, რომ მოთარეშეებმა იდლიბში მომწამვლელი ნივთიერებების ახალი პარტია მიიღეს. იდლიბი ალეპოს 40 კილომეტრით არის დაშორებული, შუა გზაზე ელ-ბურაიკატი მდებარეობს. აქ დეესკალაციის ერთ-ერთი ზონაა, რომლის პერიმეტრიდან 15 ოქტომბრამდე უნდა გაეყვანათ ყველა რადიკალური ფორმირება, მაგრამ არ გაუყვანიათ. დეესკალაციის ზონაში მშვიდობის დამყარებაზე პასუხისმგებლობა თურქეთმა ითავა**





**ალეპოს დასავლეთიდან შეუტიეს, ოპოზიციის კონტროლს დაქვემდებარებული დასახლებიდან, დაბომბეს ჭურვებით, რომლებიც ოპოზიციას წინასწარ ჰქონდა მომარაგებული. ამ დარტყმებს ოპოზიციას ვერავინ დააბრალებს, მოტივის არარსებობის გამო: ალეპოს მშვიდობიანი ცხოვრება «ასადის რეჟიმის» მთავარი სამხედრო მიღწევაა და სტაბილურობის ნებისმიერი დარღვევა მხოლოდ მის მოწინააღმდეგეებს აძლევს ხელს**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ათეულში მოულოდნელად აღმოჩნდა ისეთი ავტომობილებიც, რომლებიც ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილი არ არის. ყველაზე სწრაფი მანქანების სიაში არ არის არც ერთი იაპონური ავტო, სამაგიეროდ, არის შვედური. საერთოდ კი, პირველ ათეულში ყველაზე მეტია იტალიური, ამერიკული და ბრიტანული ავტომობილები.**

# 10 ყველაზე სწრაფი ავტომობილი მსოფლიოში

მანქანები ერთმანეთს შეიძლება შევადაროთ მრავალი მონაცემით, მაგალითად, განვსაზღვროთ საუკეთესო ავტომობილი საწვავის ნაკლები ხარჯვის ან ფასის მიხედვით, მაგრამ მთავარი, აფასებენ ბედაურებს, მათ შორის, რკინის ბედაურსაც —
ეს არის სიჩქარე, ამიტომ გთავაზობთ ყველაზე სწრაფი მანქანების სარეიტინგო სიას, რომლის შედგენისას გათვალისწინებულია:
* საავტომობილო კომპანიის მონაცემები;
* გინესის რეკორდების წიგნის მონაცემები;
* პროფილური გამოცემების კვლევები.

ათეულში მოულოდნელად აღმოჩნდა ისეთი ავტომობილებიც, რომლებიც ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილი არ არის. ყველაზე სწრაფი მანქანების სიაში არ არის არც ერთი იაპონური ავტო, სამაგიეროდ, არის შვედური. საერთოდ კი, პირველ ათეულში ყველაზე მეტია იტალიური, ამერიკული და ბრიტანული ავტომობილები.



## 10. Lamborghini Aventador-ი (350 კმ/სთ)

* მოცულობა — 6,5 ლ.
* სიმძლავრე — 700 ცხ.ძ.
* მაქსიმ. სიჩქარე — 350 კმ/სთ
* ფასი — 350 ათასი დოლარი

Lamborghini Aventador-ი ერთ-ერთი სწრაფია სერიულ ავტომობილებში. იტალიური სუპერკარი აღჭურვილია 6,5-ლიტრიანი ძრავით, რომელიც სიმძლავრეს ოთხივე ბორბალს გადასცემს. აქვს 7-საფეხურიანი ნახევრადავტომატური გადაცემათა კოლოფი.



## 9. Ferari Laferari (350 კმ/სთ)

* მოცულობა — 6,5 ლ.
* სიმძლავრე — 790 ცხ.ძ.
* მაქსიმ. სიჩქარე — 350 კმ/სთ
* ფასი — 1 მლნ დოლარი

აღჭურვილია 6,3 ლიტრის მოცულობის ძრავით, რომელიც 790 ცხენის ძალის სიმძლავრისაა. ეს ავტომობილს საშუალებას აძლევს, განავითაროს საათში 350 კმ სიჩქარე. Laferari, აგრეთვე, აღჭურვილია ელექტრული ძრავით, რომელიც დამატებით 160 ცხენის ძალას იძლევა.



## 8. Aston Martin One-77 (355 კმ/სთ)

* მოცულობა — 7,3 ლ.
* სიმძლავრე — 750 ცხ.ძ.
* მაქსიმალური სიჩქარე — 355 კმ/სთ
* ფასი — 1,5 მლნ დოლარი

ყველაზე სწრაფი ავტომობილების სიაში მოხვედრას Aston Martin One-77 უნდა უმადლოდეს 7,3-ლიტრიან ძრავას, რომელიც აწარმოებს 750 ცხ. ძალის სიმძლავრეს. ხოლო კარბონისა და ალუმინისგან დამზადებული ძარის მსუბუქი კონსტრუქცია უზრუნველყოფს სუპერავტოს სიმძლავრისა და მასის შესანიშნავ შეფარდებას.



## 7. Noble M600 (360 კმ/სთ)

* მოცულობა — 4,4 ლ.
* სიმძლავრე — 650 ცხ.ძ.
* მაქსიმალური სიჩქარე — 362 კმ/სთ
* ფასი — 265 ათასი დოლარი

Noble M600-ის შემქმნელებს გამოყენებული აქვთ 4,4-ლიტრიანი V8 ძრავი, რომელსაც „ვოლვოსთვის“ აწარმოებს „იამაჰა“. შვედები ამ ძრავას, აგრეთვე, იყენებენ „ვოლვო XC-90“-ზეც. Noble M600-ის ინჟინრებმა 650 ცხ. ძ სიმძლავრის ძრავით ავტომობილს შეაძლებინეს საათში 263 კმ-ის განვითარება.



## 6. Pagani Huayra (365 კმ/სთ)

* მოცულობა — 6 ლ.
* სიმძლავრე — 738 ცხ.ძ.
* მაქსიმალური სიჩქარე — 365 კმ/სთ
* ფასი — 1 მლნ დოლარი

იტალიური სუპერავტოს — Pagani Huayra-ს კაპოტის ქვეშ 6-ლიტრიანი ტურბო ძრავაა (V12), რომელიც კომპანია „მერსედესის“ დამზადებულია, აგრეგატი 728 ცხ. ძალის სიმძლავრისაა, რაც შესაძლებლობას აძლევს, მას საათში 365 კმ განავითაროს.



## 5. McLaren F1 (390 კმ/სთ)

* მოცულობა — 6,1 ლ.
* სიმძლავრე — 672 ცხ.ძ.
* მაქსიმალური სიჩქარე — 390 კმ/სთ
* ფასი — 715 ათასი დოლარი

1990-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ავტომობილი იყო Aston Martin One-77, რომელიც საათში 355 კმ-ს ავითარებდა. ამ სიჩქარეს უზრუნველყოფდა „ბე-ემ-ვეს“ ძრავი — 6,1 ლიტრიანი V12, რომლის სიმძლავრე იყო 672 ცხ. ძ. ეს იყო ბოლო ავტომობილი, რომელმაც ეს სიჩქარე განავითარა ატმოსფერული ძრავით, ყველა შემდგომი რეკორდი დამყარებულია ტურბოაგრეგატებით.





## 4. SSC Ultimate Aero TT (415 კმ/სთ)

* მოცულობა — 6,3 ლ.
* სიმძლავრე — 1 183 ცხ.ძ.
* მაქსიმალური სიჩქარე — 414 კმ/სთ
* ფასი — 860 ათასი დოლარი

2007 წელს SSC Ultimate Aero TT მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ავტომობილად აღიარეს. მან დაამხო ლეგენდარული Bugatti Veyron-ის რეკორდი. გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა სუპერავტოს მაქსიმალური სიჩქარე საათში 414 კმ-ის ნიშნულზე აღრიცხეს. თვით მწარმოებელმა კი განაცხადა, რომ SSC Ultimate Aero TT-ს 435 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია, თუმცა ეს მონაცემი დოკუმენტურად დამტკიცებული არ არის.



## 3. Hennessey Venom GT (435 კმ/სთ)

* მოცულობა — 7 ლ.
* სიმძლავრე — 1 244 ცხ.ძ.
* მაქსიმალური სიჩქარე — 435 კმ/სთ
* ფასი — 1 მლნ დოლარი.

ამერიკული ავტომობილი Hennessey Venom GT აღჭურვილია „შევროლე კორვეტის“ მიერ დამზადებული 7-ლიტრიანი V8 ძრავით. ამ აგრეგატით ავტომობილმა საათში 435 კმ განავითარა.



## 2. Bugatti Veyron Super Sport (435 კმ/სთ)

* მოცულობა — 8 ლ.
* სიმძლავრე — 1 183 ცხ.ძ.
* მაქსიმალური სიჩქარე — 435 კმ/სთ
* ფასი — 2 მლნ დოლარი

Bugatti Veyron-ი იყო პირველი სერიული ავტომობილი, რომელმაც გადალახა საათში 400 კმ-ის ნიშნული. 2010 წელს კი სუპერავტომობილის ფლაგმანმა მოდიფიკაციამ — Super Sport-მა თამასა 435 კმ/სთ-მდე ასწია. Veyron-ი ყველაზე სწრაფი ავტომობილის სტატუსს 2017 წლამდე ინარჩუნებდა, სანამ მისი ადგილი შვედურმა ავტომობილმა არ დაიკავა.

## 1. Koenigsegg Agera RS (447 კმ/სთ)

* მოცულობა — 5 ლ.
* სიმძლავრე — 1 348 ცხ.ძ.
* მაქსიმალური სიჩქარე — 447 კმ/სთ
* ფასი — 1,5 მლნ დოლარი

Koenigsegg Agera RS-ი მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ავტომობილია. 2017 წელს შვედურმა სუპერავტომ საათში 447 კმ განავითარა. Agera RS-ის კაპოტის ქვეშ 5-ლიტრიანი ძრავია, რომელიც საკმარისია იმისთვის, რომ დაეჩაგრა „ბუგატი“ და 12 კმ/სთ-ით გაეუმჯობესებინა Veyron Super Sport-ის სიჩქარის რეკორდი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კროიფისა და მისი პარტნიორების შესანიშნავი თამაშის წყალობით „აიაქსმა“ 6-ჯერ მოიგო ჰოლანდიის ჩემპიონატი 1966-1973 წლებში (გამონაკლისი იყო 1968-1969 და 1970-1971 წლების სეზონები). 1971 წელს კი „აიაქსმა“ პირველად მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი — ფინალში ბერძნული „პანათინაიკოსი“ დაამარცხა ანგარიშით 2:0. იმავე წელს იოჰან კრუიფმა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა და „ოქროს ბურთი“ დაიმსახურა ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა „ფრანს ფუტბოლისგან“. 1972 და 1973 წლებში „აიაქსმა“ გაიმეორა მიღწევა. ჰოლანდიურმა კლუბმა ფინალებში დაამარცხა იტალიური გრანდები — „ინტერი“ და „იუვენტუსი“. 1973 და 1974 წლებში კროიფი კვლავ საუკეთესოა ევროპაში და კიდევ 2-ჯერ ზედიზედ დაიმსახურა „ოქროს ბურთი“.**

# «მფრინავი ჰოლანდიელი»

**ჰენდრიკ იოჰანეს კროიფი, იგივე იოჰან კროიფი დაიბადა 1947 წლის 25 აპრილს ნიდერლანდების დედაქალაქ ამსტერდამში. ამ ლეგენდარულ ფეხბურთელს „მფრინავი ჰოლანდიელი“ შეარქვეს. სწორედ მის სახელთან, აგრეთვე, მწვრთნელ რინუს მიხელსთან არის დაკავშირებული ტიტების ქვეყნის, ანუ ჰოლანდიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის“ აყვავება. იოჰან კროიფი განასახიერებდა ახალ, ტოტალური ფეხბურთის ეპოქას. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ კროიფმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი და ახალ ამპლუაში შესაძლებლობები ისეთივე წარმატებით გამოავლინა, როგორც ფეხბურთელობისას.**



პატარა იოჰანმა ბავშვობის წლები „აიაქსში“ გაატარა, თანაც პირდაპირ ამსტერდამული კლუბის ბაზაზე. საქმე ის არის, რომ კროიფი უმამოდ იზრდებოდა, დედა კი კლუბის სტრუქტურაში მუშაობდა, ამიტომ ბიჭი გამუდმებით დედის გვერდით იმყოფებოდა — უყურებდა ფეხბურთელებს, აგორებდა ბურთს და ოცნებობდა, წლების შემდეგ მათი ადგილი დაეკავებინა. 12 წლის იოჰანმა დედისგან შესანიშნავი საჩუქარი მიიღო — კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შემდეგ მოზარდი სახელგანთქმულ გუნდში ჩარიცხეს.

იოჰანი უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდა. ისე მონდომებით ვარჯიშობდა, რომ 4 წლის შემდეგ მასთან პროფესიონალური კონტრაქტი გააფორმეს. იმ პერიოდში „აიაქსის“ მთავარმა მწვრთნელმა **რინუს მიხელსმა** გუნდში დიდი გარდაქმნა წამოიწყო. მან დანერგა „აიაქსში“ ე.წ. ტოტალური ფეხბურთი, რომლის შინაარსი არის ის, რომ როგორც შეტევაში, ისე დაცვაში მონაწილეობდეს გუნდის ყველა ფეხბურთელი ამპლუისგან განურჩევლად. ფეხბურთელებს ბევრი უნდა ემოძრავათ მოედანზე, გაეცვალათ ადგილები, ემუშავათ უბურთოდ. დამცველები ხშირად გადადიოდნენ შეტევაზე, თავდამსხმელები კი უკან იხევდნენ — დაცვის პოზიციებთან ახლოს, შეტევა მოედნის ნებისმიერი უბნიდან შეიძლებოდა დაწყებულიყო, რაც მოწინააღმდეგეს საგონებელში აგდებდა. განსაკუთრებით ზარალდებოდნენ ის გუნდები, რომელთაც დაცვის პერსონალურ სისტემას მისდევდნენ. დღეს ასეთი ფეხბურთით ვერავის გააკვირვებთ, იმხანად კი მოწინააღმდეგესაც აცვიფრებდა და მაყურებელსაც, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ „აიაქსი“ მოკლე ხანში იქცა ვარსკვლავურ გუნდად. ის 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იან წლებში ევროპას ყველაზე ძლიერი საფეხბურთო კლუბი იყო. თავისი იდეების განსახორციელებლად რინუს მიხელსს სჭირდებოდა ფეხბურთელები, რომლებიც ითამაშებდნენ როგორც დაცვაში, ისე, თავდასხმაში და საჭირო მომენტში გაჩნდებოდნენ მოედნის იმ ადგილას, რომელსაც სათამაშო სიტუაცია მოითხოვდა.

სწორედ აქ გამოადგა მიხელსს 17 წლის კროიფი, რომელიც, როგორც გაირკვა, არა მხოლოდ იდეალურად ჩაეწერა დიდი ჰოლანდიელი მწვრთნელის სქემაში, არამედ ასეთ ახალგაზრდულ ასაკში შეეძლო ლიდერის როლი ეთამაშა და გუნდი აეყოლიებია.

იოჰან კროიფს, პრაქტიკულად, არ ჰქონდა სუსტი ადგილი, ხოლო გიჟური სიჩქარე (იოჰანი 30 მეტრს 3,8 წამში გარბოდა) და ფანტასტიკური კოორდინაცია (სრული სვლით გადაადგილებისას ტრაექტორიის შეცვლა კროიფისთვის მარტივი საქმე იყო) უმწეოს ხდიდა მოწინააღმდეგის დაცვას. მეტსახელი „მფრინავი ჰოლანდიელი“ კი იმიტომ შეარქვეს, რომ მოედანზე ისე გრაციოზულად მოქმედებდა, თითქოს კი არ დარბოდა, არამედ ფარფატებდა.

ლეგენდარული კროიფი უბურთოდ თამაშშიც დიდოსტატი იყო — გამუდმებით მოძრაობდა, გადაადგილდებოდა მოედანზე, შეეძლო გაჩენილიყო იქ, სადაც არავინ ელოდა, მაგრამ უფრო მეტად ყველას აცვიფრებდა მისი ბრწყინვალე თამაში ბურთით — დრიბლინგი და ტექნიკა. მიუხედავად მოჩვენებითი სიმსუბუქისა, იოჰანი შესანიშნავად თამაშობდა კორპუსით — მისთვის ბურთის წართმევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი



პლუსი „მფრინავი ჰოლანდიელის“ თამაშში — ეს იყო შესანიშნავი პასი და დარტყმა, რომელსაც ტერფის გარე ნაწილით ასრულებდა და შედეგად ბურთი საოცარი ტრაექტორიით მოძრაობდა. კროიფს მხარს უბამდნენ მისი პარტნიორები „აიაქსიდან“, მოგვიანებით ნიდერლანდების ნაკრების წევრები.

**კროიფისა და მისი პარტნიორების შესანიშნავი თამაშის წყალობით „აიაქსმა“ 6-ჯერ მოიგო ჰოლანდიის ჩემპიონატი 1966-1973 წლებში (გამონაკლისი იყო 1968-1969 და 1970-1971 წლების სეზონები). 1971 წელს კი „აიაქსმა“ პირველად მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი — ფინალში ბერძნული „პანათინაიკოსი“ დაამარცხა ანგარიშით 2:0. იმავე წელს იოჰან კრუიფმა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა და „ოქროს ბურთი“ დაიმსახურა ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა „ფრანს ფუტბოლისგან“. 1972 და 1973 წლებში „აიაქსმა“ გაიმეორა მიღწევა. ჰოლანდიურმა კლუბმა ფინალებში დაამარცხა იტალიური გრანდები — „ინტერი“ და „იუვენტუსი“. 1973 და 1974 წლებში კრუიფი კვლავ საუკეთესოა ევროპაში და კიდევ 2-ჯერ ზედიზედ დაიმსახურა „ოქროს ბურთი“.**



კროიფის აღიარებას ხელი შეუწყო ნიდერლანდების ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებში დამაჯერებელმა თამაშმაც, რომელშიც ის 19 წლისა მოხვდა უნგრეთის ნაკრების წინაღმდეგ მატჩში და 88-ე წუთზე ბურთის გატანაც შეძლო.

აღსანიშნავია, რომ „აიაქსი“ არასოდეს ყოფილა სუპერმდიდარი გუნდი და ხშირად თანხას თავისი აღზრდილების გაყიდვით გამოიმუშავებდა. 1973 წელს „მფრინავი ჰოლანდიელი“ შეიძინა კატალონიურმა „ბარსელონამ“ — იმხანად მდიდარმა, ამბიციურმა, მაგრამ არც ისე წარმატებულმა კლუბმა. ახალ გუნდში იოჰან კროიფის ძალისხმევამ მალე გამოიღო შედეგი — იმავე წელს „ბარსელონამ“ ესპანეთის ჩემპიონობა მოიპოვა. „აიაქსმა“ კი თავისი კიდევ ერთი ლიდერის — იოჰან ნეესვენსის გაყიდვის შემდეგ დაკარგა ძველებური ბრწყინვალება და ევროპის წამყვან კლუბებს შორის მოწინავე პოზიციები. სამაგიეროდ, „ტოტალური ფეხბურთი“ დარჩა საფირმო ნიშნად ჰოლანდიის ნაკრებისა, რომელიც 1974 წლის საფეხბურთო ჩემპიონატზე მთელი თავისი ბრწყინვალებით წარდგა. ოდესღაც დიადი ამსტერდამული კლუბის ყოფილმა მოთამაშეებმა კვლავ აჩვენეს განსაცვიფრებელი ფეხბურთი. ერთადერთი, ვინც შეძლო დაუდეგარი კროიფისა და **ნეესკენსის** შეჩერება, იყო **ბეკენბაუერი** — გერმანიის ნაკრების კაპიტანი. კაიზერ ფრანცი წაუძღვა თავის გუნდს, დაიწყო შეტევა, რომელიც **გერდ მიულერმა** გოლით დააგვირგვინა. შედეგად ჰოლანდიელები დამარცხდნენ (1:2), მაგრამ მათი მონაწილეობა იმ მუნდიალზე ყველას დაამახსოვრდა, ყველამ დააფასა და შეიყვარა იოჰან კროიფი. 4 წლის შემდეგ არგენტინაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდია კვლავ გავიდა ფინალში და კვლავ წააგო მასპინძელ ქვეყანასთან — არგენტინასთან, მაგრამ ამჯერად კროიფის გარეშე, რომელიც, მიუხედავად ბევრი თხოვნისა, გამოეთხოვა ჯერ ჰოლანდიის ნაკრებს, შემდეგ — „ბარსელონას“ და 31 წლისა აშშ-ში გადაბარგდა ამ ქვეყანაში ფეხბურთის დონის ასამაღლებლად.

კროიფმა აშშ-ში რამდენიმე სეზონი გაატარა „ლოს-ანჯელეს აცტეკისა“ და „ვაშინგტონ დიპლომატსის“ შემადგენლობებში, შემდეგ კი ევროპაში დაბრუნდა და ესპანეთის „ლევანტეში“ დაიწყო თამაში. შემდეგ დიდი ფეხბურთელი სამშობლოში წავიდა და 1984 წელს დაასრულა საფეხბურთო კარიერა.

მოგვიანებით იოჰან კროიფი „აიაქსის“ მწვრთნელი გახდა, სადაც 1986-1988 წლებში იმუშავა და რამდენიმე ტიტული მოიგო, მათ შორის, თასის მფლობელთა თასი — 1987 წელს.

**1988 წელს „მფრინავი ჰოლანდიელი“ გადავიდა „ბარსელონაში“, სადაც 1996 წლამდე იმუშავა მთავარ მწვრთნელად. ამ ხნის განმავლობაში „ბარსელონა“ 4-ჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, 1992 წელს კი ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო.**

ფეხბურთელობისას და შემდეგ მწვრთნელად მუშაობისას კროიფს ჯანმრთელობა შეერყა და იძულებული შეიქნა, ადრე დაესრულებინა კარიერა. მას შემდეგ ბევრჯერ შესთავაზეს, სხვადასხვა კლუბს ჩადგომოდა სათავეში, მათ შორის ჰოლანდიის ნაკრებსაც, მაგრამ ყოველთვის უარზე იყო.

„მფრინავი ჰოლანდიელი“ 2016 წლის 24 მარტს 68 წლისა გარდაიცვალა ფილტვის კიბოთი, რომელსაც ლეგენდარული ფეხბურთელი ბოლო წლებში ებრძოდა. დაკრძალულია საყვარელ ქალაქ ბარსელონაში.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

## მიღწევები

**როგორც მოთამაშე:**
* 1974 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი;
* ნიდერლანდების ჩემპიონი — 1966, 1967, 1968, 1970, 1972, 1973 წლებში;
* ესპანეთის ჩემპიონი — 1974 წ.;
* ესპანეთის თასის მფლობელი — 1978 წ.;
* ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი — 1971, 1972, 1973 წწ.;
* უეფას სუპერთასის მფლობელი — 1972, 1973 წწ.;
* საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი — 1972 წ.

**როგორც მწვრთნელი:**
* ნიდერლანდების თასის მფლობელი — 1986, 1987 წწ.;
* ესპანეთის ჩემპიონი — 1991, 1992, 1993, 1994 წწ.;
* ესპანეთის თასის მფლობელი — 1990 წ.;
* ესპანეთის სუპერთასის მფლობელი — 1991, 1992, 1994 წწ.;
* ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი — 1992 წ.;
* უეფას თასის მფლობელთა თასის მფლობელი — 1987, 1989 წწ.;
* უეფას სუპერთასის მფლობელი — 1992 წ.

**პირადი:**
* ნიდერლანდების საუკეთესო ფეხბურთელი — 1954-2003 წწ.;
* „ოქროს ბურთის“ მფლობელი — 1971, 1973, 1974 წწ.;
* ნიდერლანდების საუკეთესო ბომბარდირი — 1967 და 1972 წწ.;
* მე-3 ადგილი XX საუკუნის უდიდესი ფეხბურთელების სიაში World Soccer-ის ვერსიით;
* 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი;
* ევროპის საუკეთესო მწვრთნელი — 1992, 1994 წწ.

# რა დრო დაგვიდგა?!




**ამ დღეებში ნაციონალური ხროვის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ „რუსთავი 2 "-ის ეთერში ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლისას, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, დიდი პათოსით განაცხადა, რომ მეორე მსოფლიო ომი მისთვის სამაგალითო ადამიანმა და მასწავლებელმა, ამერიკელმა ჯონ მარშალმა მოიგო, რომლის საფლავს ვაშინგტონში ჩასვლისას ყვავილებით ამკობს ხოლმე.**

ჩვენ, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, საშინლად აღგვაშფოთა ამ გაუნათლებელი, უვიცი, ქართველების მოძულე, ადამიანად წოდებული, უახლეს ისტორიაში ჩაუხედავი გრიგოლ ვაშაძის, საქართველოს პრეზიდენტობის მართლაც უღირსი კანდიდატის თავხედურმა განცხადებამ. მან ნამდვილად არ იცის და არც სმენია, რომ ჯერ კიდევ 1945 წელს მთელმა მსოფლიომ აღიარა: ომი მოიგო საბჭოთა კავშირმა გენერალისიმუს სტალინის მხედართმთავრობით. დიდი სირცხვილია და დასანანია, რომ XXI საუკუნეში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს ასეთი აბსურდული და არასწორი წარმოდგენა აქვს მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებზე...

ასე რომ ამაყობთ საქართველოს მტრის, ამერიკელი **ჯონ მარშალის**, სახელით, თქვენი ნებაა, მაგრამ ჩვენ, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, რომლებმაც ამიერკავკასიიდან ბერლინამდე და ჩინეთში იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ კვანტუნის მილიონიანი არმიის დამარცხებაში მივიღეთ მონაწილეობა, ვამაყობთ უსასტიკეს ბრძოლაში გამარჯვების სულისჩამდგმელის — დიდი სტალინის სახელით. ამ გამარჯვებით არა მხოლოდ სამშობლო, არამედ მსოფლიო გადავარჩინეთ ფაშისტური მონობისა და ტირანიისგან...

საქართველოს პრეზიდენტად ისეთი აზროვნების ადამიანის მოყვანა, როგორიც გრიგოლ ვაშაძეა, არის ნონსენსი, ქართველი ხალხისთვის იგი სრულიად უცხოა. 25 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე „პატრიოტთა ალიანსის" მიერ ჩატარებულმა გრანდიოზულმა მიტინგმა მსოფლიოს დაანახვა, რომ სააკაშვილსა და ნაცხროვას „არას" ვეუბნებით... ამიტომაც დიდი სამამულო ომის ვეტერანების სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულის გამოხატვა იქნება 28 ნოემბერს, საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილისთვის ერთსულოვანი მხარდაჭერა.

**დიდი სამამულო ომის ვეტერანები:**

**შოთა ბუაძე,**
**იოსებ ტუხაშვილი,**
**ტარას იჩქიტიძე,**
**გიორგი ნონიკაშვილი**

**P.S. შეუძლებელია, არ დაეთანხმო დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გამოვლილ პატივცემულ ვეტერანებს, რომელთა მონაპოვარია ფაშიზმზე გამარჯვება ქართველი მხედართმთავრის იოსებ სტალინის მეთაურობით. კაცი, რომელიც უარყოფს სტალინის დიდ როლს ფაშისტური გერმანიის დამარცხებაში და ამ დამსახურებას თავის კერპს — ჯ. მარშალს მიაწერს, საქართველოს პრეზიდენტობაზე პრეტენზიას როგორ უნდა აცხადებდეს?!**

**ტიტე ლეფსაია,**
ომის ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე


ლევან იზორია და ფონ დერ ლაიენი

# გერმანია დაგვცინის, იზორიას უხარია

## თურმე გერმანია ნატოში შესვლაში დახმარებას დაგვპირებია

„პირველად ჩვენი თანამშრომლობის ისტორიაში ხელი მოეწერა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებას, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა კვლავაც მხარს დაუჭერს ნატოს ღია კარის პოლიტიკას საქართველოს მიმართ და ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს გასაწევრებლად მაქსიმუმს გააკეთებს", — აღტაცებით განაცხადა ლევან იზორიამ ბერლინში გერმანელ კოლეგასთან — **ურსულა ფონ დერ ლაიენთან** შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ლევან იზორია ან თავს იტყუებს ან საქართველოს მოსახლეობას ატყუებს, ან კიდევ ორივე ერთად. სულ რამდენიმე დღის წინათ იმავე ურსულა ფონ დერ ლაიენმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა, განაცხადა, რომ ნატო საჭირო აღარ არის და ევროპის ქვეყნებმა ევროპული არმიის შექმნაზე უნდა იზრუნონ. იმავე აზრზეა ანგელა მერკელი და საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონიც, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის უარყოფითი დამოკიდებულება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართ საყოველთაოდაა ცნობილი.

მაშ, რა უხარია ლევან იზორიას?!

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ეტყობა, ვერ ხვდება, რომ გერმანელებმა დაგვცინეს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# «დედა ენა» დაცული იქნება ყოველგვარი ცვლილებებისგან და სკოლის მოსწავლეები შეუფერხებლად ისწავლიან აღნიშნული წიგნით

**პარლამენტის წევრებმა: ზაზა გაბუნიამ და მარიამ ჯაშმა პარლამენტს წარუდგინეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ექსპერტთა საბჭოს მეშვეობით, „დედა ენის" სწავლების იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს მოამზადებს და დაბეჭდავს სასწავლო პროცესისთვის.**

საკანონმდებლო ცვლილებები ხორციელდება იმისთვის, რომ ,,დედა ენა", რომელსაც მინიჭებული აქვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, დაცული იქნას ყოველგვარი ცვლილებებისგან და სკოლის მოსწავლეებმა შეუფერხებლად ისწავლონ აღნიშნული წიგნით.

„დედა ენა", გარდა იმისა, რომ არის საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ასევე არის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანილი ნომინაციის — „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა" — ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი.




საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ მოითხოვს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას, რაც კონვენციის შესაბამისად, გულისხმობს ზომების მიღებას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიცოცხლისუნარიანობა, მათ შორის მისი იდენტიფიკაცია, დოკუმენტირება, კვლევა, შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია, მისი როლის ამაღლება და მისი გადაცემა უმთავრესად ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით. აგრეთვე, ასეთი მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის აღორძინება, რაც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" სასწავლო პროცესში ჩართვის ვალდებულებას გულისხმობს.

# დონალდ ტრამპი: იმედია, სიტუაცია დარეგულირდება

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მას არ მოსწონს, რაც უკრაინასა და რუსეთს შორის ხდება. მისივე თქმით, ის ამ საკითხზე ევროპის ქვეყნების ლიდერებთან მუშაობს.**

„რაც შეეხება ქერჩის სრუტეში ინციდენტს, ჩვენ არ მოგვწონს ის, რაც ხდება. ევროპაშიც არ მოსწონთ და ისინიც მუშაობენ ამ საკითხზე. ჩვენ ყველანი ერთად ვმუშაობთ ამაზე. იმედია, სიტუაცია დარეგულირდება", — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

25 ნოემბერს რუსულმა ხომალდებმა ქერჩის სრუტეში ორი უკრაინული კატერი და ბუქსირი დააკავეს. კიევში განმარტავენ, რომ ხომალდები ყველა ნორმის დაცვით მოძრაობდა, თუმცა რუსები ამტკიცებდნენ, რომ მეზღვაურები სახიფათო მანევრებს ასრულებდნენ, მათ შესაჩერებლად კი რუს სამხედროებს ცეცხლის გახსნა მოუწიათ, შედეგად 6 უკრაინელი მეზღვაური დაიჭრა.

# ლონდონმა გადაწყვიტა, ხელი შეუშალოს ტრამპს დოკუმენტების გამომზეურებაში

**ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის სამსახური MI-6 იმედოვნებს, რომ ხელს შეუშლის აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, ამერიკის იუსტიციის სამინისტროს, გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ნაციონალური დაზვერვის სამმართველოს გამომზეურებაში დოკუმენტებისა, რომლებშიც ლაპარაკია ამერიკის არჩევნებში რუსეთის ჩარევაზე, — წერს Daily Telegraph-ი წყაროებზე დაყრდნობით.**

ლონდონი, გამოცემის მონაცემებით, შიშობს, რომ გამომზეურდება მონაცემები, რომლებიც ნათელს მოჰფენს ბრიტანეთის როლს ამ გამოძიების ინიცირებაში, რადგან „საქმის ბევრი საკვანძო ფიგურა წარმოშობით ბრიტანეთიდანაა და ისინი ერთმანეთს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე ხვდებოდნენ".

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**




## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი


www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894